



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“

(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY”

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ 3 (15) 2010

ღია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of
The Open Diplomacy Association


Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ბ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბაღათურია

პასუხისმგებელი მდივანი

რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი
აბრამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი
ბაღათურია, ვახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი, გენადი
იაშვილი, სერგო ლომინაძე, როინ მეტრეველი, ქეთი
ქოქრაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია
სუბაშვილი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის
პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები
გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ
ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.
რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,
VIII სართული, ტელ. 36-45-14, 874-40-56-77

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 364514; [+995 74] 405677

e-mail: office@odageorgia.ge

ვარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო
სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე ვ ი

თეორია

როზა გაფრინდაშვილი

კეთილი და ბოროტი საწყისი და ადამიანთა ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმები----- 4

ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, ვაჟა ზუბაშვილი
მედიის გავლენა: ყოველსმომცველი თუ შეზღუდული/სელექტური?----- 13

ისტორია

გიორგი ბაღათურია, თეა ხახუტაშვილი

სახელმწიფო მართვის სისტემა 1918-1921 წლების საქართველოში. მიღწევები და მარცხი----- 27

მაია ლაგვილავა
ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა ასპექტები-----41

ლია ნებიერიძე
ფეოდალური სამეფო-სამთავროების მართვის სტრუქტურა (VIII-IX სს-ში)-----53

ეკონომიკა

ანზორ აბრალავა

ეროვნული ეკონომიკის მართვა გლობალიზაციის ეპოქაში-65

გიორგი ბაღათურია, მერაბ ტაბატაძე
საქართველოს რკინიგზის მზავრთა გადაყვანის ფილიალი როგორც სახელმწიფო მართვის ობიექტი-----77

Tea Kbiltsetskhlashvili
The Importance of Foreign Direct Investments on Economic Development of Georgia-----91

კარლო ღურჭკაია, თათია ღურჭკაია
მართვა - მეცნიერება, პრაქტიკა, ხელოვნება-----106

Шуленбаева Фаина Ахмедовна, Шуленбаева Асель Саяновна
Решение проблем риска в сельском хозяйстве республики Казахстан-----117

საზოგადოება

ნათია ასათიანი

“ფერმწერი თეატრში” (მეფე ლირი მ.შველიძისეული სცენოგრაფიით)-----130

თ ე ო რ ი ა

როზა გაფრინდაშვილი კეთილი და ბოროტი საწყისი და ადამიანთა ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმები

რეზიუმე

ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზიგმუნდ ფროიდმა კეთილი და ბოროტი საწყისი (შექმნა-განადგურების იმპულსი) ადამიანის, არაცნობიერ ფსიქიკაში დაინახა. ამ უერთიერთ დაპირისპირებული ძალების არსებობის დასტურად მან ბერძნული მითოლოგიიდან სიცოცხლისა და სიკვდილის ღვთაებები – ეროსი (ახალი სიცოცხლის ჩასახვის, სიყვარულის ღმერთი) და თანატოსი (სიკვდილის, ნგრევისა და განადგურების ღვთაება) მოიშველია.

ფროიდის მოძღვრების მიხედვით, კულტურები ზღუდავენ ეროსული და თანატოსური ღტოლვების თვითნებური დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვას და საზოგადოებას გარკვეულ მარეგულირებელ ნორმებსა და აკრძალვებს უწყსებენ, ტაბუს სახით. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობები, თანამშრომლობა და განვითარება.

რეგულირებელი და აკრძალული ღტოლვების საფუძველზე აღმოცენებული და დაგროვილი ენერგიები კი სუბლიმირდება – სხვა არხებში გადაირთვება და კულტურის სხვადასხვა დარგებში, კონსტრუქციულ საქმიანობაში რეალიზდება. არასუბლიმირებული ენერგია კი დესტრუქციულ საქმიანობაში იჩენს თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ანგრევს ფსიქიკას და საქმე ფსიქიკურ აშლილობამდე მიდის.

ბოროტისადმი ღტოლვა რომ ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაში იმთავითვეა ჩადებული და სათანადო პირობებში იჩენს თავს, ადამიანის სიხლის ანალიზში აგრესიის ჰორმონის – ტესტოსტორონის აღმოჩენაც ადასტურებს (სხვაგვარად მას მამაკაცურ ჰორმონსაც უწოდებენ).

ვფიქრობთ ამით უნდა აიხსნას კაცობრიობას ბევრჯერ ამოდ რომ დაპირდნენ საყოველთაო ჰარმონიასა

და ბედნიერ ცხოვრებას ხან ღმერთის, ხან მეცნიერების, ხანაც სამართლიანი პოლიტიკური წყობილების იმედით.

როგორც ჩანს, იმ აზრს უნდა შევევუთო, რომ „კეთილი და ბოროტი“, სიცოცხლის არსებობის ორი აუცილებელი მხარეა და ამას თავად სიცოცხლე საჭიროებს. ადამიანს კი, ამ ორ დაპირისპირებას შორის ლავირების საშუალება აქვს, რაშიც მას მთელი რიგი ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმები – რელიგია, ზნეობა, ტრადიციები, სახელმწიფო, სამართალი, მეცნიერება, ხელოვნება და ა.შ. ესმარება. ამათგან თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და კაცობრიობის წინსვლა-განვითარების პროცესში. ადამიანი ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად, ზოგ რამეს ცვლის ამ „მექანიზმებში“, რაშიც მას ღმერთი, კაცობრიობის მიერ მოპოვებული სიბრძნე, გამოცდილება და დიდი მასწავლებლების შეგონებებიც ესმარება.

საკვანძო სიტყვები: კეთილი, ბოროტი, ეროსი, თანატოსი, აგრესია, ნგრევა, განადგურება, კონსტრუქციული, დესტრუქციული, ურთიერთ დაპირისპირებული.

„კეთილი“ და „ბოროტი“ ზნეობრივი ცნობიერების არსებითი შინაარსის გამომხატველი ცნებებია და აქსეოლოგიური შეფასებების კრიტერიუმადაა მიჩნეული.

ამ ცნების შესახებ, ეთიკის ისტორიაში, მრავალი ურთიერთ საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული; თუ ერთნი ადამიანს თავისი ბუნებით ბოროტად მიიჩნევენ, („ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ – ძველ-ბერძნული გამონათქვამი; „გმადლობთ შენ, ღმერთო, რომ არ მომეცი ჩემი ბოროტი ბუნების გამოძღვანების საშუალება“ – მარკუს ავრელიუსი; „სიცოცხლე არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მზისქვეშეთში ადგილისათვის“ – ნიცშე; „ადამიანი იძულებულია „უყვარდეს“, რადგან მას არ შეუძლია მარტოს“ – ჰემინგუეი; „ერთ მხარზე რომ ანგელოზი მაზის, მეორე მხრიდან ეშმაკი მეჩურჩულება“ – გოეთე და ა.შ.), მეორენი ამტკიცებენ, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა თავისივე მსგავსი, ანუ კეთილი, ბოროტობა კი ეშმაკისეულია; ადამიანის მოვალეობაა ებრძოლოს და დაამარცხოს ეშმაკისეული, რაშიც მას ღმერთიც ესმარება.

მესამეთა აზრით ადამიანი, ბუნებით, არც კეთილია და არც ბოროტი; იგი ისეთია, როგორსაც სიტუაცია (გარემო) უკარნახებს (ფრანგი ფილოსოფოსები, მარქსიზმი); ბრაჰმინიზმის საპირისპირო სექტის – ტანტრიზმის მიხედვით არ არსებობს „კეთილი“ და „ბოროტი“, „კარგი“ და „ცუდი“; ამ ქვეყნად ყველაფერი ღმერთის შექმნილი, მასასადამე „კარგია“, კანონიერია; „კარგი“ და „ცუდი“, „კეთილი“ და „ბოროტი“ თავად ადამიანის მიერ მოგონილი შეფასებებია; რაც ადამიანს ბოროტი ჰგონია, არ იცის, რომ ის სინამდვილეში რაღაცისათვის საჭირო და აუცილებელი, მაშასადამე კარგია.

მარქსიზმის ფუძემდებლები დუმიან კეთილობა-ბოროტობაზე, თუმცა მარქსისტულ ეთიკაში ერთმნიშვნელოვნად იცავენ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ადამიანი ისეთია, როგორადაც საზოგადოებრივმა ყოფიერებამ ჩამოაყალიბა.

მარქსიზმის მოდელით შექმნილი სახელმწიფოს მარცხის შემდეგ ეს იდეოლოგიაც უტოპიურ მოძღვრებათა სიაში მოხვდა; თუმცა, ამ იდეოლოგიის მიერ ჰეგელის დიალექტიკის კანონებით სამყაროს ახსნიდან გამომდინარეობს, რომ ბოროტის და კეთილის დაპირისპირება არის სამყაროში მიმდინარე პროცესების წონასწორობის გარანტი. [2]

ჰეგელმა ამ ძველისძველ სიბრძნეს „დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონი“ უწოდა. [1]

ურთიერთდაპირისპირება-კონფლიქტს, როგორც განვითარების მექანიზმს, არც ქრისტიანობა უარყოფს; ამის საბუთად პირველი ცოდვა – ღვთის ნებისადმი დაუმორჩილებლობა, პირველი კონფლიქტი და პირველი სასჯელი, სამოთხიდან განდევნა მოაქვთ. როგორც ერის ფრომი აღნიშნავს, კაცობრიობა თავის განვითარებას, პირველ ცოდვას და პირველ კონფლიქტს უნდა უმაღლოდეს. [3]

რუდოლფ შტაინერის აზრით ესაა ძველთაძველი სიბრძნე, რასაც ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, „ვარდისა და ჯვრის საიდუმლო ორდენის“ არსებობა ადასტურებს. ჯვრის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზთა გადაკვეთა და ვარდის ეკლიანი, მაგრამ სურნელოვანი მშვენიერება

სწორედ ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა ერთიანობას გულისხმობს. [3]

ევოლუციონიზმი, ადამიანის აგრესიულობას, სისხლში აგრესიის ჰორმონის არსებობით ხსნის; კულტურალური ახსნის მიხედვით, მას საფუძვლად ამპარტავნების ცოდვა (მანკიერება) უდევს; ამპარტავნება პრეტენზიებს ბადებს, პრეტენზიები – აგრესიას, აგრესია – ბოროტობებს იწვევს. [3]

ევოლუციონისტურ-კულტურალური ახსნით კი, ადამიანი ბიო-სოციალური არსებაა; აგრესიის მიზეზები ბიოლოგიურში – ინსტინქტებში უნდა ვეძებოთ; ხოლო ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, ტაბუირებული, ანუ მოწესრიგებული, აღვირ ამოდებული (შეკავებული) ინსტინქტებით ცხოვრება აქვს „მისჯილი“. [3]

ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზიგმუნდ ფროიდმა კეთილი და ბოროტი საწყისი (შექმნა-განადგურების იმპულსი) ადამიანის, არაცნობიერ ფსიქიკაში დაინახა. ამ უერთიერთ დაპირისპირებული ძალების არსებობის დასტურად მან ბერძნული მითოლოგიიდან სიცოცხლისა და სიკვდილის ღვთაებები – ეროსი (ახალი სიცოცხლის ჩასახვის, სიყვარულის ღმერთი) და თანატოსი (სიკვდილის, ნგრევისა და განადგურების ღვთაება) მოიშველია.

ეროსი – ბერძნული მითოლოგიის უძველესი ღვთაებაა, თავდაპირველად სამყაროს საწყისად იყო მიჩნეული, მოგვიანებით – სიყვარულის, ახალი სიცოცხლის ჩასახვის ღმერთი გახდა, ოქროსფერი თმით, მშვილდ-ისრითა და კაპარჭით ხელში. მისგან ნასროლი ისარი ადამიანებს სიყვარულის მძაფრი გრძნობით აავადებს, რასაც თან ახლავს როგორც შთამომავლობის გაჩენა, სიცოცხლის გაგრძელება და სხეულებრივი ტბობა, ისე ტკივილი და დაღუპვა.

თანატოსი – სიკვდილის ღმერთია, ეროსთან დაპირისპირებული, შავი ტანსაცმლით და ცვლით ხელში, რაც, ვითომ სიცოცხლის მოსათიბად სჭირდება; რკინის გული აქვს და არავინ ებრალება, ღმერთებსაც ეჯავრებათ და ადამიანებსაც (ქართულ მითოლოგიაში – მიქელგაბრიელი). ფროიდმა მისი სახელი აგრესიის, ნგრევისა და სიკვდილისადმი ქვეცნობიერი ლტოლვის აღსანიშნავად გამოიყენა.

ფროიდის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს სიკვდილის ეშინიათ, მისი გასხენება თავზარსა სცემთ და მასზე საუბარს თავს არიდებენ, ქვეცნობიერად მაინც მისკენ მიისწრაფიან. აქედან იღებს სათავეს ნარკოტიკის, ალკოჰოლისა და სასიკვდილო იარაღის სიყვარული, გემთმაძიებლობის ცოდვა-ნაყოფანებისადმი მიდრეკილება, რასაც ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ფროიდის მოძღვრების მიხედვით, კულტურები ზღუდავენ ეროსული და თანატოსური ლტოლვების თვითნებური დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვას და საზოგადოებას გარკვეულ მარეგულირებელ ნორმებსა და აკრძალვებს უწესებენ, ტაბუს სახით. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობები, თანამშრომლობა და განვითარება.

რეგულირებული და აკრძალული ლტოლვების საფუძველზე აღმოცენებული და დაგროვილი ენერგიები კი სუბლიმირდება – სხვა არხებში გადაირთვება და კულტურის სხვადასხვა დარგებში, კონსტრუქციულ საქმიანობაში რეალიზდება. არასუბლიმირებული ენერგია კი დესტრუქციულ საქმიანობაში იჩენს თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ანგრევს ფსიქიკას და საქმე ფსიქიკურ აშლილობამდე მიდის.

ბოროტისადმი ლტოლვა რომ ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაში იმთავითვეა ჩადებული და სათანადო პირობებში იჩენს თავს, ადამიანის სისხლის ანალიზში აგრესიის ჰორმონის – ტესტოსტერონის აღმოჩენაც ადასტურებს (სხვაგვარად მას მამაკაცურ ჰორმონსაც უწოდებენ).

აგრესიულობის დეტერმინაციის სასარგებლოდ მეტყველებს, აგრეთვე, კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივად არსებული ბრძოლა, რაც ყველა კულტურული რელიგიის მიერაა აღიარებული – ადამიანის სული ხომ ანგელოზისა და ეშმაკის ბრძოლის ველადაა აღქმული!

ფიქრობთ ამით უნდა აიხსნას კაცობრიობას ბევრჯერ ამაოდ რომ დაპირდნენ საყოველთაო ჰარმონიასა და ბედნიერ ცხოვრებას ხან ღმერთის, ხან მეცნიერების, ხანაც სამართლიანი პოლიტიკური წყობილების იმედით. სამი მთავარი ბოროტებიდან – ესენია ავადმყოფობა, სიღატაკე, უფიცობა, რაც ყველა დანარჩენი უბედურების

საფუძველია – ვერც ერთის დამარცხება ვერ მოხერხდა. ბოროტობები, ახალი პირობების შესაბამისად, მხოლოდ სახეს იცვლიან, რის გამოც, კაცობრიობამ, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინა, ადამიანები რომ ტყუილად ოცნებობენ „უბოროტებო არსებობაზე“, ანუ ამქვეყნიურ სამოთხეზე.

როგორც ჩანს, იმ აზრს უნდა შევევუთოთ, რომ „კეთილი და ბოროტი“, სიცოცხლის არსებობის ორი აუცილებელი მხარეა და ამას თავად სიცოცხლე საჭიროებს. ადამიანს კი, ამ ორ დაპირისპირებას შორის ლავირების საშუალება აქვს, რაშიც მას მთელი რიგი ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმები – რელიგია, ზნეობა, ტრადიციები, სახელმწიფო, სამართალი, მეცნიერება, ხელოვნება და ა.შ. ესმარება. ამათგან თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და კაცობრიობის წინსვლა–განვითარების პროცესში. ადამიანი ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად, ზოგ რამეს ცვლის ამ „მექანიზმებში“, რაშიც მას ღმერთი, კაცობრიობის მიერ მოპოვებული სიბრძნე, გამოცდილება და დიდი მასწავლებლების შეგონებებიც ესმარება.

ლიტერატურა:

References

1. rexviaSvili t., Wiaureli v., filosofia, t. IV, `teqnikuri universiteti~, 2006.
2. gafrindaSvili r., eTika, `teqnikuri universiteti~, 2001.
3. gafrindaSvili r., alternatiuli eTika da fsiqologia, `teqnikuri universiteti~, 2000.
4. Sesavali Tanamedrove azrovnebaSi, `ilia WavWavaZis unuversiteti~.
5. Freid Z., Vvedenie v psixoanaliz. Lekcii. M., Nayka, 1991
6. Maiers D., Socialnaia Psixologia. gl.9, M., 2003

Roza Gaprindashvili

Good and evil and mechanisms of regulation of human relations

Summary

The founder of psychoanalysis Sigmund Freud had seen good and evil (impulses of creation and demolition) in the non-conscious psyche of the human. In support of existence of these forces standing in

opposition to each other he mentioned as an instance the Gods of life and of death from the Greek mythology – Eros (the God of the germ of life, of love) and Tanatos (the God of death, demolition and annihilation).

According to Freud's doctrine cultures are limiting aspiration of erotic and tanatic wishes for self-willed satisfaction. Otherwise peaceful relations, collaboration and humans' development are simply impossible.

Energies arisen and accumulated on the basic of regulated and unalloyed wishes are sublimated (switched to other channels) and they are implemented in different areas of the culture, in constructive activity. Non-sublimated energy demonstrates itself in destructive activity. In other words it demolishes psyche and we have to deal with psychological disorder.

The fact that aspiration for the evil is initially inherent for the non-conscious psyche of the human and demonstrates itself under proper conditions is substantiated by detection of the hormone of aggression – testosterone (in other words male sex hormone) in the blood analysis.

We think that it explains the fact that the total harmony and happy life many times have been ineffectively promised to mankind amid hopes that God, science, and sometimes fair political order will help.

It seems that we must make up our mind to the idea that “good and evil” are two necessary parts of existence of life, and life by itself needs it. In its turn the human has a possibility to find a way round between these two opposite forces, and the number of mechanisms of regulation of relations lends a helping hand to him, among them are religion, morality, traditions, state, law, science, art etc. At the same time every one makes its contribution in the process of peaceful relations and in the development-advancement of the mankind. According to the call of new times the human changes something in these “mechanisms” and the God, acquired wisdom, experience and suggestions of great thinkers lend him a helping hand.

Keywords: Good, evil, Eros, Tanatos, aggression, destruction, constructive, destructive, resisting.

Reviewer: Professor Vano Chiaureli, Georgian Technical University

Гаприндашвили Роза Григориевна
Доброе и злое начало и механизмы регулирования
человеческих отношений

Резюме

Основоположник психоанализа Зигмунд Фрейд увидел доброе и злое начало (импульс созидания и разрушения) в неосознанной психике человека. В подтверждение существования этих противостоящих друг другу сил он привел в пример божества жизни и смерти из греческой мифологии – Эроса (бог зарождения новой жизни, любви) и Танатоса (божество смерти, разрушения и уничтожения).

Согласно учению Фрейда культуры ограничивают стремление эротических и танатосных желаний к самовольному удовлетворению. Мирные взаимоотношения, сотрудничество и развитие людей иным способом просто невозможны.

Энергии, возникшие и накопившиеся на основании регулируемых и запрещенных желаний сублимируются (переключаются на другие каналы) и реализуются в различных областях культуры, в конструктивной деятельности. Несублимированная энергия же проявляется в деструктивной деятельности. В противном случае она разрушает психику, и дело доходит до психического расстройства.

То, что стремление к злу изначально заложено в неосознанной психике человека и проявляется в соответствующих условиях, подтверждается и обнаружением гормона агрессии – тестостерона (иначе его называют мужским гормоном) в анализе крови.

Думается, этим объясняется то, что человечеству много раз безрезультатно обещали всеобщую гармонию и счастливую жизнь в надежде на бога, науку, иной же раз на справедливое политическое устройство.

По-видимому, мы должны смириться с мыслью, что «доброе и злое» являются двумя необходимыми сторонами существования жизни, и сама жизнь нуждается в этом. У человека, в свою очередь, есть возможность лавирования между этими противостоящими началами, в чем ему помогает ряд механизмов регулирования отношений – религия, нравственность, традиции, государство, право, наука, искусство и т.д. Вместе с этим каждый из них вносит свой вклад в процесс мирных взаимоотношений и в

развитие-продвижение человечества. Согласно требованиям нового времени человек кое-что меняет в этих «механизмах», в чем ему оказывает помощь бог, приобретенная человечеством мудрость, опыт и советы великих учителей.

Ключевые слова: Добро, зло, Эрос, Танатос, агрессия, разрушение, уничтожение, конструктивная, деструктивная, противостоящие.

Рецензент: профессор Чиаурели Вано Борисович, Грузинский технический университет.

ლასურა კუტუბიძე-ზუბაშვილი
ვაჟა ზუბაშვილი
მედიის გავლენა: ყოვლისმომცველი თუ
შეზღუდული/სელექტიური?

რეზიუმე

მედიის ფსიქოლოგიურ ზეგავლენაზე საუბარი დაიწყო გუტენბერგის საბჭოდი დაზვის გამოჩენის მომენტიდან. ნიკლას ლუმანი და უმბერტო ეკო, თავიანთ ესსეებში, მიანიშნებენ იმ შიშსა და ეჭვებზე, რაც თან ახლდა კომუნიკაციის დომინანტურ სახეთა ყოველ ახალ ცვლილებას.

მედიის გავლენისა და ზემოქმედების მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. მედიაზემოქმედების მეცნიერულ კვლევას საფუძვლად დაედო უოლტერ ლიპმანის, ჰაროლდ დ. ლასსუელისა და სხვათა ნაშრომები. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მეცნიერები და საზოგადოებაც მიიჩნევდნენ, რომ მასმედია ძლიერ ზეგავლენას ახდენს აუდიტორიის წევრთა ქცევაზე, შეხედულებებისა და რწმენის ჩამოყალიბებაზე. მედიაზემოქმედების ეს კონცეფცია “ტყვიის” ან “შპრიცის” თეორიის სახელით არის ცნობილი.

გასული საუკუნის შუახანებში ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ მასმედიის ზემოქმედება არც ისე ძლიერია, როგორც მიიჩნევდნენ. თითქოსდა პარადოქსია (პარადოქსულად უღერს), მაგრამ ამ ეტაპზე მკვლევარები თვლიან, რომ მედიას ერთსა და იმავე დროს შეუძლია სუსტი და ძლიერი გავლენის მოხდენაც.

ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, შევა თუ არა მოდელირებული “ქრონიკა” (ტ/კ “იმედი”, 12.03.10), როგორც ანთოლოგიური მაგალითი, მედიაზემოქმედების სახელმძღვანელოებში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი მიიპრობს მედიამკვლევართა ყურადღებას და, შესაძლოა, გამოდგეს მედიის მიერ გამოწვეული მასობრივი პანიკის ერთ-ერთ ილუსტრაციად (მაგალითად).

საკვანძო სიტყვები: მასმედიის ფსიქოლოგიური ზეგავლენა; მედიაზემოქმედების შესწავლა; “ტყვიისა” და “შპრიცის” თეორია; მედიის ყოვლისშემძლეობა; შეზღუდული გავლენა; ზომიერი გავლენა; ძლიერი გავლენა; მასობრივი პანიკა; მოდელირებული “ქრონიკა”.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ცნება *მედია* ამ შემთხვევაში გამოიყენება არა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აღსანიშნავად, არამედ, მისი ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს მასობრივი კომუნიკაციის ისეთ საშუალებებსაც, როგორცაა კინო და რეკლამა (მაკლუენის მიხედვით, “მედიაში” მოაზრება კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც: ტელეგრაფი, ტელეფონი და ა.შ.). [7]

მედიის გავლენისა და ზემოქმედების მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მეცნიერები ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნამდე მიდიან. პარადოქსია, მაგრამ თავდაპირველად მედიის ყოვლისშემძლეობის თეორია ჩამოყალიბდა, მოგვიანებით კი, როცა მასობრივი კომუნიკაცია და მისი მთავარი “მამოძრავებელი ძალა” – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მასმედია) თანამედროვე სინფორმაციო საზოგადოების ფუნდამენტად იქცა, მედიის გავლენა შეზღუდულად იქნა მიჩნეული. [1]. უფრო მეტიც, მკვლევარები თვლიან, რომ მედიას ერთსა და იმავე დროს შეუძლია სუსტი და ძლიერი გავლენის მოხდენაც. [2]

მიუხედავად იმისა, რომ მედიის მკვლევარებს ორივე თვალსაზრისისთვის საკმარისი მტკიცებულება აქვთ, უნდა ითქვას, რომ მედიის კვლევა ახალი დარგია და მისი საკვლევი მეთოდები, სტრატეგიები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ამასთან, როგორც ყველა დარგში, აქაც ემპირიული ცოდნისა და გამოცდილების თეორიად ჩამოყალიბება გარკვეულ დროსა და შესაბამისი პროცესების გავლას მოითხოვს. მაგალითად, კონკრეტული ფაქტები: რომ პოდმოსკოვიეს ოლქში, 5 წლის ბიჭუნა ნიკიტა, ფანჯრიდან გადმოხტა გაშლილი ქოლგით, რადგანაც ეგონა რომ მასაც ფრენა შეეძლო საყვარელი მულტფილმის გმირის – ვინი-პუხის მსგავსად [1]; რომ აშშ-სა თუ იაპონიაში მოზარდების სისასტიკის არაერთი შემთხვევა ფილმების გავლენას უკავშირდება; რომ მოდელირებული “ქრონიკის” ზეგავლენით არაერთი ადამიანი მოხვდა საავადმყოფოში და რამდენიმე გარდაიცვალა კიდევ... “უდანაშაულობის პრეზუმციას” ექვემდებარება მანამ, სანამ თითოეული ასეთი ფაქტი მეცნიერულად (და არა მხოლოდ!) არ იქნება შესწავლილი

და არ დადგინდება, რომ მათ მიღმა კონკრეტული მედიასაშუალებების კონკრეტული ზეგავლენა იდგა.

ჩვენ არ ვიცით, შევა თუ არა 2010 წლის 12 მარტის მოდელირებული “ქრონიკა” ანთოლოგიურ მაგალითად მასმედიის ზემოქმედების სახელმძღვანელოების ქვეთავში – მასმედიის ზემოქმედებით გამოწვეული მასობრივი პანიკა, მაგრამ სანამ ეს მომხდარა ან არ მომხდარა, ვნახოთ რა მაგალითებს ეყრდნობა მედიის ზემოქმედების ყველაზე მასობრივი გამოვლინება. ამ თემაზე მსჯელობისას პირველ რიგში ყველაზე ცნობილი ისტორია – *ორხონ უელსის* რადიოდადგმით (რომელსაც რადიოსადგური CBS გადასცემდა 1938 წელს) გამოწვეული მასობრივი პანიკა ფიგურირებს, მაგრამ საყურადღებოა, რომ მედიასტერიის პირველი შემთხვევები ბეჭდურ მედიას უკავშირდება და ერთი საუკუნით უსწრებს წინ ამ დადგმას.

1835 წელს პირველმა ამერიკულმა ტაბლოიდმა, *ნიუ იორკ სან-მა*, დაბეჭდა გამოგონილი ისტორია, რომელმაც ისე შესძრა მკითხველთა წარმოსახვა, რომ გამოცემის ტირაჟმა სარეკორდო ციფრს – 19 ათას ეგზემპლარს მიაღწია. ჟურნალისტი რიჩარდ ლოკი წერდა, რომ ვინმე ბრიტანელმა ასტრონომმა, ძლიერი ტელესკოპით მთვარის ზედაპირის დათვალიერებისას, განვითარებული ცხოვრების კვალი აღმოაჩინა. მკითხველებმა სტატიის ხელმეორედ გამოქვეყნება მოითხოვეს; სტატია მსოფლიოს ლამის ყველა გაზეთმა გადაბეჭდა. ქალთა ბიბლიური საზოგადოების წევრებმა მთვარეზე გაფრენაც კი მოიწადინეს... ედგარ ალან პოს შეფასებით, ეს მისტიფიკაცია ყველაზე წარმატებული იყო სენსაციების იტორიაში – ამერიკისა თუ ევროპის მასშტაბით.

1874 წლის 9 ნოემბერს გაზეთ *ნიუ იორკ ჰერალდში* გამოქვეყნებულ მისტიფიკაციას მკითხველთა მასობრივი ისტერია მოჰყვა. რეპორტიორმა კონერმა გადაწყვიტა მკითხველთა ყურადღება მიეპყრო *ცენტრალ პარკის* ზოოპარკის უსაფრთხოების პრობლემაზე და შეთხზა ისტორია, რომ თითქოსდა ზოოპარკის ბინადარნი თავისუფლებაში აღმოჩნდნენ. “*დასახიჩრებული, გადაქვლილი და ტრამვირებული ადამიანების რაოდენობამ ორასს მიაღწია, მათგან სამოცი, წინასწარი მონაცემებით, მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო სამმა მათგანმა საეჭვოა რომ ხვალამდე მიაღწიოს*”, – წერდა ჟურნალისტი: “*12 მტაცებელი*

ისევ თავისუფლებაში იმყოფება და ზუსტად არ არის ცნობილი, სად აფარებენ თავს”... მომდევნო აბზაცში განმარტებული იყო, რომ ეს “წმინდა წყლის გამონაგონი” და “მისტიფიკაციაა”, მაგრამ ამ ადგილამდე ბევრი მკითხველი ვეღარ მივიდა – ადამიანები ქუჩებში გამოვარდნენ – ვინ თავის საშველად და ვინ – შეიარაღებული, გაქცეული მხეცების მოსაკლავად. [147-49]

რაც შეეხება *ორსონ უელსის* რადიოდადგმას (ჰერბერტ უელსის სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანის “*სამყართა ომის*” მიხედვით), სიუჟეტის მიხედვით, მარსიანელებმა დაიპყრეს ჩვენი პლანეტა და მილიონობით ადამიანი გაანადგურეს მომწამვლელი გაზით. ბევრმა რადიომსმენელმა რადიო ჩართო მას შემდეგ, როცა უკვე გამოცხადებული იყო, რომ სიუჟეტი გამოგონილია. ტრანსლაციაში ამგვარი განცხადება სულ ოთხჯერ იყო ჩართული – ერთხელ დადგმის დასაწყისში, მეორედ – პირველ სარეკლამო პაუზამდე (დაახლოებით 8,5 წთ-ის შემდეგ), მესამედ – რეკლამის შემდეგ, მეოთხედ – ტრანსლაციის ბოლოს. უკვე პირველ სარეკლამო პაუზამდე დაპანიკებულ რადიომსმენელთა დიდი ნაწილი თავის საშველად გარბოდა. დაახლოებითი მონაცემებით, რამდენიმე მილიონიანი რადიომსმენელიდან თითქმის მილიონი მსმენელი დაწინაა, უმეტესობა კი დაპანიკდა და სახლიდან გაეარდა... [2:347]

ზემოაღნიშნულ მაგალითებს, გარდა პანიკის გამოწვევისა, ერთი საერთო აქვს – ეს მედიამასალები ახალი ამბების ფორმატში იყო წარმოდგენილი. უელსის რადიოდადგმის შემდეგ ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა პედლი ქანთრილმა რადიომაუწყებლობაზე ხალხის რეაქციის კვლევა დაიწყო. კვლევის მცირე მასშტაბებისა და ნაკლის მიუხედავად, ქანთრილის ნაშრომი მედიის კვლევის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. უმთავრეს შემდეგად შეიძლება მივიჩნიოთ პრობლემის წარმოჩენა ახალი რაკურსით: კვლევამ დილემისმაგვარი სიტუაცია წარმოშვა – იგი, ერთი მხრივ, ამტკიცებდა “ჯადოსნური ტყვიის” თეორიას, მეორე მხრივ კი – არა; ანუ, რადიომაუწყებლობას საკმაოდ ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს.

მოკლედ შევეხებით “ჯადოსნური ტყვიის” თეორიას. XX საუკუნის დამდეგს სოციალურ მეცნიერებათა

წარმომადგენლებსაც და საზოგადოებასაც სჯეროდათ, რომ მაშინდელი გავლენიანი პრესა (დიდტირაჟიანი გაზეთები) ძლიერი იარაღი იყო, რომელსაც მასობრივი საზოგადოების წევრთა აზრებისა და ქცევის კონტროლი და მართვა შეეძლო. შეხედულებათა ერთიანობა მასობრივი კომუნიკაციის გავლენის თაობაზე “ჯადოსნური ტყვიის” თეორიად მონათლა და მასში აისახა ძირითადი შეხედულებები ახალ, ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. ამ თეორიის მიხედვით, ყველა, ვინც მედიაგზავნილს მიიღებდა, მომენტალურად ექცეოდა უნიფიცირებული გავლენის ქვეშ.

ჯადოსნური ტყვიის თეორიის მეორე მხარის – მედიის სელექტური და შეზღუდული გავლენის დანახვა მეორე მსოფლიო ომის პერიოდს უკავშირდება. გენერალმა გ.ს. მარშალმა (შტაბის უფროსმა) გადაწყვიტა ამერიკელი მეომრებისთვის აესხნა, რატომ უნდა ებრძოლათ, ვინ იყვნენ მოკავშირეები, როგორი იყო მტრის სახე და რატომ იქნებოდა გამარჯვება ძნელად მოსაპოვებელი. ჯარისკაცების შეგნებისა და მორალის ასამაღლებლად კინოს შესაძლებლობებს მიმართეს და ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორმა ფრენკ კაპრამ გადაიღო შვიდნაწილიანი სერია “რატომ ვიბრძვით”. გარდა ამისა, ამერიკული არმიის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტებს დაევალებათ ჯარისკაცებზე ფილმების გავლენის შესწავლა. ექსპერიმენტს საუცხოო პირობები ჰქონდა შექმნილი – კითხვარების და ტესტირების მეთოდოლოგიიდან მოყოლებული მონაწილეთა საგანგებო სასწავლო-საწრთენელი მომზადებისა და ექსპერიმენტში მონაწილეობის პროცესის მკაცრი სამხედრო კონტროლის ჩათვლით.

ექსპერიმენტის მთავარი შედეგი აღმოჩნდა ის, რომ მან ვერ შეძლო მედიის ყოვლისმომცველი გავლენის შესახებ ადრინდელი შეხედულებების დადასტურება. ეს შედეგი მით უფრო ღირებული იყო, რამდენადაც კვლევის მეთოდები და დასკვნების სისწორე ეჭვს არ იწვევდა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ფილმებმა, რომლებიც ძლიერ პროპაგანდისტულ იდეებს შეიცავდა, ჯარისკაცებისათვის ომის დაწყების მიზეზების განმარტების საქმეში დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. ფილმების მცირე გავლენა, განათლების დონის მიხედვით, სხვადასხვა ჯარისკაცზე სხვადასხვაგვარი იყო. შედარებით უფრო მეტი

თვალსაწიერის მქონე ჯარისკაცებმა ფილმებიდან უფრო მეტი შეითვისეს. [2:341-352]

მეღვინ დეფლორისა და ევერეტ დენისის ნაშრომში, “მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის”, განხილულია ამავე პერიოდის კიდევ ერთი კვლევა, რომელიც ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგებმა (ლაზარსფელდმა, ბერელსონმა და გოლემ) ჩაატარეს 1940 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებზე მასობრივი კომუნიკაციის გავლენის შესასწავლად. კვლევამ, რომელიც თავისი მასშტაბისა და დახვეწილი მეთოდოლოგიის გამო მასობრივი კომუნიკაციის კვლევის ნიშანსვეტად ითვლება, “ძველი თეორია მედიის საყოველთაო გავლენის შესახებ სრულიად გაანადგურა და მის ნაცვლად მედიის ახალი ინტერპრეტაცია დაამკვიდრა: მედიას ადამიანებზე სელექტური და მინიმალური გავლენის უნარი აქვს და, საერთოდ, ადამიანებზე გავლენის მოხდენის ერთადერთი კი არა, ერთ-ერთი საშუალებაა.” [2:354] როგორც დეფლორი და დენისი აღნიშნავენ, ამ კვლევამ საბოლოოდ დაამტკიცა მედიის გავლენის შესახებ სრულიად ახალი თეორიის აუცილებლობა.

ჟურნალისტი და სოციოლოგი, პროფესორი თინათინ ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შემუშავებულ იქნა “ინფორმაციის “შერჩევითი აღქმის” თეორია, რომლის თანახმადაც მასობრივი ინფორმაციის ყოველი მომხმარებელი, საკუთარი გამოცდილებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, “ფილტრავს” მიღებულ ინფორმაციას და იზიარებს ამ ინფორმაციის მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც არ მოდის წინააღმდეგობაში მის უკვე არსებულ პოზიციასთან.” [9:76]

ერთ-ერთი უახლესი სახელმძღვანელოს “მასმედიის ზემოქმედების საფუძვლების” ავტორები, ალაბამას შტატის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის პროფესორი ჯენინგზ ბრაიანტი და მასმედიის ისტორიის სპეციალისტი სუზან ტომპსონი, თავიანთი ფუნდამენტური და ვრცელი ნაშრომის წინასიტყვაობაში უპირველესად იმ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში ამგვარი სახელმძღვანელოების მწვავე დეფიციტია. ისინი მასმედიის ზემოქმედების ისტორიულ მიმოხილვას იწყებენ 1450 წელს საბეჭდი დაზვის გამოჩენის მომენტიდან, როცა ნაბეჭდი სიტყვის

ფსიქოლოგიური ზეგავლენის შიში განხდა. თუმცა, ამგვარი შიში თან ახლდა კომუნიკაციის დომინანტურ სახეთა ყოველ ახალ ცვლილებას; გაეხსენოთ უმბერტო ეკოსა და ნიკლას ლუმანის ესსეები: პლატონისა თუ სოკრატეს ეჭვი და შიში, რომ დამწერლობა მოკლავს მესხიერებას; რომ ფოტოგრაფია მოკლავს ხელოვნებას; ტელევიზია – წიგნს და ა.შ. [3,5]

რაც შეეხება მედიაზემოქმედების მეცნიერული კვლევის “ოფიციალურ” ისტორიას, ამ მიმართულების სათავეს ბრაიანტი და ტომპსონი გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ნაშრომებში (უოლტერ ლიპმანის, ჰაროლდ ლასსუელის და სხვათა) ეძიებენ, რომელთაც საფუძვლად უდევს ზემოთგანხილული “ტყვიის” ან “შპრიცის” (იგულისხმება ნარკოტიკის ეფექტი) თეორია, ანუ, აუდიტორიაზე მასობრივი ინფორმაციის უზარმაზარი ძალაუფლების აღიარება. ეს მოდელი ყველაზე გავლენიანი იყო დიდი დეპრესიის პერიოდში და მის შემდგომაც; ხოლო უკვე 60-იანი წლებისთვის, ახალი ემპირიული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა მედიის შეზღუდული გავლენის/ზემოქმედების მოდელი. შემდგომი ათწლეულების სამეცნიერო კვლევების შედეგები და ახალი თეორიები აღარ თავსდებოდა შეზღუდული ზემოქმედების ჩარჩოებში, ამიტომაც “ოფიციალური” ისტორიის რედაქტირება მოხდა იმდაგვარად, რომ ის ერთდროულად შეიცავდა მედიის ზომიერი და ძლიერი გავლენის/ზემოქმედების შესაძლებლობას[1].

ბრაიანტისა და ტომპსონის დასკვნით, მედიის ზემოქმედების საყოველთაოდ მიღებული მოდელი *“ყოვლის შემძლეობა – შეზღუდული ზემოქმედება – ზომიერი ზემოქმედება – ძლიერი ზემოქმედება”* მარტივი და მოხერხებული სცენარი იყო სამეცნიერო კვლევებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი “ოფიციალური” ვერსია არც ზუსტია და არც მისაღები. მათი თვალთახედვით, მისაღებია იმ მეცნიერთა წვლილი, რომელთაც მედიაზემოქმედების თვისობრივად ახალი თვალსაზრისები წამოაყენეს – შეზღუდულიდან ძლიერ ზემოქმედებამდე, მაგრამ “ოფიციალური” ისტორია გადახედვას მოითხოვს: სამეცნიერო კვლევათა შედეგები აჩვენებს, რომ მედიის ზემოქმედება შესაძლოა იყოს ან კოგნიტური, ან ქცევითი, ან ემოციური; ასევე – ან პირდაპირი, ან არაპირდაპირი,

ხანმოკლე ან ხანგრძლივი (ან – შენელებული). კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ ინდივიდუალური თავისებურებები, ფსიქოლოგიური ფაქტორები, გარემო ფაქტორები, სოციალური ჯგუფების მახასიათებლები გავლენას ახდენს აუდიტორიის მიერ მედიის აღქმასა და რეაქციაზე.

ბრაიანტი და ტომპსონი მიიჩნევენ, რომ მომავლისთვის მედიაზემოქმედების მკვლევართა ამოცანაა შეიმუშაონ სტანდარტული ემპირიული კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მედიის ზემოქმედების კლასიფიცირება – როგორც ძლიერის, ზომიერის, ან შეზღუდულის. კიდევ ერთი ამოცანა იქნება იმ გარემოებათა დადგენა, რომლებიც განაპირობებენ მედიის გავლენის სპეციფიკას სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორმით.

მასმედიის ზემოქმედების შესწავლა, სოციოლოგიის გარდა, ფსიქოლოგიის ინტერესის არეალშიც ხვდება და ეს, შესაბამისად, აისახება მედიაზემოქმედების თეორიებშიც. ბრაიანტი და ტომპსონი განიხილავენ მედიაზემოქმედების შემდეგ თეორიებსა და ძირითად ცნებებს: *სოციალურ-კოგნიტური თეორია*, *ფრაიბინგის ეფექტი*, *კულტივაციის პიპოთეზა*, *ინოვაციათა დიფუზია*, *გამოყენებისა და დაკმაყოფილების თეორია*, *ახალი ამბების პრიორიტეტულობა*, *დარწმუნება*.

ამ ნაშრომის ფორმატში შეუძლებელია თუნდაც მოკლედ თითოეული ამ მიმართულების განხილვა; ამჯერად ჩვენი მიზანია შექმედებისდაგვარად კომპაქტურად მოვხაზოთ მედიის გავლენის გარშემო შექმნილი სურათის კონტურები.

ზემოთგადმოცემულ შეხედულებათა არეალი ძირითადად მოიცავს მედიის განვითარების ეტაპს ბეჭდური მედიიდან სამაუწყებლო მედიის ჩათვლით; რაც შეეხება ინტერნეტს როგორც მულტიმედირ ფენომენს, მედიაზემოქმედების თვალსაზრისით მისი შესწავლა უაქტუალურესი ამოცანაა და ახალ გამოწვევებს აყენებს მედიაზემოქმედების მკვლევართა წინაშე; მით უფრო, მედიის დემასიფიკაციის ტენდენციის გათვალისწინებით, რომელსაც აღრმავებს ინტერნეტი თუნდაც ბლოგინგისა და ფორუმების მეშვეობით.

ცალკე შევეხებით რეკლამას, რომელიც მედიის სისტემაში განიხილება და მედიასაშუალებების მეშვეობით

მძლავრად იპყრობს აუდიტორიას, მაგრამ, ამასთან, იგი სრულიად დამოუკიდებლად არსებობს, თავისი საკუთარი სტრუქტურა აქვს და უმნიშვნელოვანეს ფაქტორსაც წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირებისთვის. დეფლორისა და დენისის ზემოთგანხილულ ნაშრომში (*მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის*) მოხმობილია ეკონომიკის ისტორიკოსის, დევიდ მ. პოტერის მოსაზრება, რომ: *“რეკლამა თავისი სოციალური გავლენის მასშტაბით ისეთ უძველეს ინსტიტუტებს გაუტოლდა, როგორცაა სკოლა და ეკლესია. იგი მედიაზე დომინირებს და პოპულარული სტანდარტების შექმნის უზარმაზარ ძალას ფლობს.”* [2:247] ეს თვალსაზრისი, თავისთავად, რეკლამის უდიდეს ზემოქმედებას აფიქსირებს, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით რეკლამის გავლენის შესწავლა და შესაბამისი თეორიების ჩამოყალიბება გაცილებით რთული საქმეა.

გარდა სოციოლოგებისა და ფსიქოლოგებისა, რომლებიც იკვლევენ მედიამომხმარებელზე რეკლამის ზემოქმედებას, ეს თემა მარკეტოლოგებისა და სხვა სპეციალისტების შესწავლის საგანიცაა. ცნობილია, რომ სარეკლამო კვლევებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უდიდესი კაპიტალია დაბანდებული, მაგრამ მათი შედეგები უმეტესწილად კომერციული საიდუმლოების სფეროს განეკუთვნება და ხელმიუწვდომია მედიის მკვლევართათვის.

მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარები, მედიარეკლამის რთული და მრავალმხრივი ზემოქმედების კვლევის პროცესში დაინტერესდნენ იმ მედიაკონტექსტის დიფერენცირებული გავლენის შესწავლითაც, რომელშიც ჩართულია რეკლამა. (მედიაკონტექსტში იგულისხმება ჟანრი, რომელსაც განეკუთვნება ესა თუ ის კონკრეტული პროგრამა: კომედიური, დრამატული, სათავგადასავლო და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ რეკლამის ზემოქმედების კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის გავლენას არა ამა თუ იმ კულტურასა ან ადამიანთა ჯგუფებზე, არამედ, გავლენას კონკრეტულ ადამიანებზე; უფრო მეტიც, განიხილება კონკრეტული ინდივიდუალური მახასიათებელი (მაგალითად, განწყობილება), რომელიც განაპირობებს თითოეული ადამიანის სხვადასხვაგვარ რეაგირებას სარეკლამო შეტყობინებაზე; შეისწავლება

მედიაკონტექსტის გავლენა რეკლამის წარმატებაზე და სხვა ისეთი ფაქტორები, როგორცაა რეკლამის გამეორების სისშირე, ხანგრძლივობა, სარეკლამო შეტყობინებათა გავება/არ გავება და ა.შ.

სხვადასხვა ადამიანი მედიას სხვადასხვაგვარად იყენებს და სხვადასხვანაირად რეაგირებს მასზე; შესაბამისად, რეკლამის ზემოქმედებაც არაერთგვაროვანია. კვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის განწყობილება გავლენას ახდენს მის ჩართულობაზე, რეკლამისადმი მის რეაქციაზე და შემდგომში მისი, როგორც მომხმარებლის, ქცევაზე; რომ მაყურებლის რეაქცია რეკლამაზე დამოკიდებულია არა მხოლოდ კონკრეტულ სატელევიზიო გადაცემაზე, არამედ, მის მის ცალკეულ ეპიზოდებზე. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის დროს კომედიისა და ბოვეიკის მაყურებლებმა ერთნაირად შეაფასეს ტელეპროგრამის ამ ორივე სახეობაში ჩართული რეკლამის ეფექტურობა, მაგრამ სხვადასხვაგვარად შეაფასეს ცალკეული ეპიზოდების მიხედვით. ზოგიერთმა ეპიზოდმა უფრო მეტად იმოქმედა მაყურებლის მიერ რეკლამირებული ბრენდის აღქმასა და მისი შექენის მზაობაზე, ზოგიერთმა კი – ნაკლებად. სხვა კვლევა აქცენტირებული იყო რეკლამის აღქმაზე მხიარული და სევდიანი პროგრამების ყურებისას. საერთო ჯამში, მხიარული პროგრამების შუალედებში ნაჩვენები რეკლამა უფრო მაღალ შეფასებას იმსახურებდა და უკეთეს განწყობილებას ქმნიდა. მკვლევარებმა, ასევე, დაადგინეს, რომ მაყურებელზე უფრო მოქმედებს ემოციური სარეკლამო შეტყობინება და არა სწორხაზოვანი და ინფორმაციული.

შემდგომმა კვლევებმა უკვე განსაზღვრა რომ მნიშვნელოვანია კავშირი კონკრეტული პროგრამის მერ შექმნილ განწყობილებასა და ამ პროგრამაში ჩართული რეკლამის მიერ შექმნილ განწყობილებას შორის; უფრო უკეთ აღიქმება ის რეკლამა, რომელიც შეესაბამება მედიაკონტექსტს. მაყურებლებმა არა მხოლოდ მაღალი შეფასება მისცეს ასეთ რეკლამას, არამედ, დიდი ალბათობით, გამოთქვეს რეკლამირებული საქონლის შექენის სურვილიც. [1315-335]

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოზარდებზე რეკლამის გავლენის კვლევას, მაგრამ ამგვარი კვლევების უმეტეს ნაწილს საფუძვლად უდევს არა სამეცნიერო

ინტერესი, არამედ, რეკლამისადმი განსაკუთრებით მგრძობიარე ამ აუდიტორიის მარკეტინგული შესწავლა. ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტად ექცევა რეკლამის ზეგავლენს ქვეშ. ბავშვებსა და მოზარდებზე რეკლამის ზეგავლენა ცხარე დებატების საგანია; ერთი მხრივ, განიხილება ბავშვებზე რეკლამის ნეგატიური და არასასურველი ზეგავლენა და, მეორე მხრივ, პოზიცია, რომ რეკლამა ბავშვების კულტურისა და კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია. კიდევ ერთი თვალსაზრისი მარკეტინგულ სფეროს უკავშირდება: შემოსავალი რეკლამიდან საბავშვო პროგრამების (ძირითადად იგულისხმება ტელეპროგრამები) არსებობის აუცილებელი პირობაა.

საბავშვო აუდიტორიასთან მედიის მიმართება საგანგებოდაა გამოკვეთილი რეკლამის კანონებსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში. მაგალითად, აშშ-ის სენატმა გასული საუკუნის მიწურულს მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავს რეკლამების რაოდენობას საბავშვო პროგრამების დროს; საბავშვო რეკლამასთან დაკავშირებით გარკვეული აკრძალვები დააწესა აშშ-ის დამოუკიდებელი სატელევიზიო სადგურების ასოციაციის საბჭომაც.

მედიის არასათანადო ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა და ბავშვთა დაცვის კრიტერიუმები ასახულია 2006 წელს მიღებულ საქართველოს *საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში*, რომელიც აღგენს წყალგამყოფს (*საეთერო დროის გამყოფ ზღვარს, რომელიც საოჯახო ჩვენებისათვის და ზრდასრული აუდიტორიისათვის განკუთვნილი პროგრამების ერთმანეთისაგან გასამიჯნად გამოიყენება*) 21:00 საათიდან 08:00-მდე და აწესებს, რომ: *“შახალა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანების, განსაკუთრებით ბავშვების (15 წლამდე ასაკის მოზარდების), ფიზიკურ, გონებრივ თუ ხნობრივ განვითარებას, არ უნდა გადაიცეს წყალგამყოფამდე.”* [8:51] კოდექსის 21-ე თავში – *რეკლამა და სპონსორობა*, აღნიშნულია, რომ არ უნდა გადაიცეს ისეთი კომერციული რეკლამა, რომელიც *“შინაარსით ან ვიზუალურად მანე ზემოქმედებას ახდენს ბავშვის განვითარებაზე”* [8:57], მაგრამ არაფერია ნათქვამი საბავშვო პროგრამებში რეკლამის რაოდენობის შეზღუდვის თაობაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზრდასრული და საბავშვო/ არასრულწლოვანი აუდიტორიისათვის განკუთვნილი პროგრამების გამოჯენას ვერ ახერხებენ საქართველოს კომერციული ტელეარხები. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საეთერო კინოპროგრამების ანონსები, რომლებშიც ყველაზე მძაფრი კადრებია გამოყენებული, ე.წ. საბავშვო დროის პერიოდშიც ინტენსიურად ტრიალებს ტელეეთერში; რეკლამა მკაფიოდ არ არის გამოჯენული პროგრამისაგან; განსაკუთრებით ეხება ეს კინოპროგრამებს, რომლებშიც, არცთუ იშვიათად, ყველაზე მძაფრ და კრიტიკულ მომენტებში ერთგვება რეკლამა ყოველგვარი წინასწარი მინიშნების გარეშე.

ლიტერატურა:

References

1. Braiant, Djenjngz. Tompson, Suzan. Osnovi vozdeistvia SMI. Izdatelski dom Viliame, Moskva-Sankt-Peterburg-Kiev. 2004 (Russian)
2. Deflori, Melvin, Denisi, Everet. *Masobrivi komunikaciis gaazrebisaTvis*. Tbilisi: *SaqarTvelos sazogadoebriv saqmeTa instituti*. 2009 (Georgian)
3. Eko, Umberto. *Internetidan gutenbergamde: teqsti da hiperteqsti*. http://lib.ge/body_text.php?326 (Georgian)
4. KutubiZe-ZubaSvili, Laura. *Maskomunikaciisa da masmediis arsiisa da funqciis ramdenime zogadi aspeqti*. samecniero Jurnalali "xelisufleba da sazogadoeba" (istoria, Teoria, praqtika), #2(10). 2009 (Georgian)
5. Lumani, Niklas. *Sazogadoebrivi komunikaciis sistemis cvlilebani da masobrivi media*. Tbilisi: *Arxe*. 2007 (Georgian)
6. Lein, Y.Ronald. Rassel, Dj.Tomas. *Reklama. Osnovi. Razvitie. Funkcii*. Piter, 2004 (Russian)
<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124;>
<http://www.eLIBRARY.ru>
7. Makluen, Marshal. *Ponimanie media: vneshnie rasshirenia cheloveka*. Moskva-Jukovskii, 2003 (Russian)
8. *SaqarTvelos sazogadoebrivi mauwyebliis qcevis kodeqsi*. 2006 (Georgian)
<http://gpb.ge/uploads/documents/044b075e-3c2b-4859-9940-aa29a93fdd17GPBCodeofConduct.pdf>
9. ZurabiSvili, TinaTin. *Media, rogorc informirebuli arCevanis saSualeba*. krebuli _ *Media (ze)moqmedebaSi*. gamomcemeli: *mSvidobis, demokratiis da ganviTarebis kavkasiuri instituti*. Tbilisi. 2008 (Georgian)

10. Chaldini, Robert. Psiologia vliania, 4-t mejdunarodnoe izdanie, Piter, Sankt-Peterburg, 2001 (Russian)
11. <http://news.rambler.ru/Russia/r/3104840/Россия>

Laura Kutubidze-Zubashvili, Vaja Zubashvili
Influence of media: Powerful or limited/selective?

Summary

Concept of psychological influence of media appeared after invention of Gutenberg's printing machine. In their essays, Niklas Luhmann and Umberto Eco are giving the signs of those doubts and threats that followed each new change of dominant images of communication. The scientific studies on influence and impact of media started in the 20-ies of last century. Studies of Walter Lippman's, Harold D. Lasswell's and others are acknowledged as a basis of scientific studies on media influence. After the World War I scientists and society acknowledged that media plays very important role on behavior change, faith and development of psychological directions of the audience. This concept of media influence is known as a theory of "bullet" and/or "squirt".

In the middle of last century, the empirical researches have shown that the influence of mass media is not as powerful, as it was considered to be. It sounds like a paradox, but in this stage the researchers think, that media, at the same time, can have feeble, as well as powerful influence.

We cannot suppose whether the simulated "Khronika" (T/C "Imedi", 12.03.10) will be enclosed in the manuals as an anthological example of media influence, but we think, that this fact will attract attention of media researchers and, possibly, it will fit as one of the illustrations of mass panic provoked by media.

Keywords: The psychological influence of mass media; Studies of media influence; Theory of "bullet" and "squirt"; Omnipotence of media; Limited influence; Moderate influence; Powerful influence; Mass panic; Modelled "khronika".

Reviewer: Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Кутубидзе-Зубашвили Лаура Полиевна,
Зубашвили Важа Романович**
**Влияние медиа: всеобъемлющее или
ограниченное/селективное?**

Резюме

О психологическом воздействии медиа начали говорить еще с момента появления печатного станка Гутенберга. Никлас Луман и Умберто Эко, в своих эссе, указывают на страх и сомнения, которые сопутствовали каждому новому изменению доминантных средств коммуникации. Изучение медиавоздействия началось с 20-их годов XX века. В основе изучения медиавоздействия лежат научные исследования Уолтера Липпманна, Гарольда Д. Лассуэлла и других. В период после Первой мировой войны ученые и общественность считали, что СМИ оказывают сильное воздействие на убеждения, взгляды и действия членов аудитории. Такая концепция медиавоздействия получила название теории "шприца" или "пули".

В середине прошлого века эмпирические исследования доказали, что воздействие СМИ было не настолько сильным, как предполагалось. Кажется парадоксальным, но на данном этапе медиаисследователи считают, что медиа способна одновременно произвести и слабое и сильное воздействие.

Мы не можем предполагать, войдет или нет моделированная "Хроника" (т/к "Имеди", 12.03.10), как антологический пример в учебниках медиавоздействия, но предполагаем, что этот факт привлечет внимание медиаисследователей и, может быть, послужит примером массовой паники, как реакции на сообщения в СМИ.

Ключевые слова: Психологическое воздействие СМИ; изучение медиавоздействия; теория "шприца" или "пули"; всемогущество СМИ; ограниченное воздействие; умеренное воздействие; сильное воздействие; массовая паника; моделированная "Хроника".

Рецензент: профессор Кочорадзе Отар Георгиевич, Грузинский технический университет.

ი ს ტ ო რ ი ა

ბიორბი ბაღათურია, თეა ხახუტაშვილი
სახელმწიფო მართვის სისტემის 1918-1921 წლების
საქართველოში. მიღწევები და მარცხი

რეზიუმე

განხილულია საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის პრობლემები. ნახევრები, რომ მიუხედავად რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებისა ევროპასა და საქართველოში დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით შეძლო დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისათვის აუცილებელი ფუნდამენტური საფუძვლების ჩამოყალიბება – ჩატარდა მიწის რეფორმა, ამავე დროს დაცული იყო კერძო საკუთრება და წახალისებული სამეწარმეო ინიციატივა, ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ა.შ. ქვეყანაში სრული სოციალური თანხმობა სუფევდა. სწორი საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით ქართული ბონები ერთ-ერთი მტკიცე ვალუტა იყო იმდროინდელ ევროპაში, ხოლო ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე – უმტკიცესი. 1921 წლისთვის საქართველოში ფაქტობრივად დაძლეულ იქნა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, მიღებულ იქნა იმდროინდელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროგრესული კონსტიტუცია. ის პერიოდი საყიველტაოდ აღიარებულია, როგორც „პატარა ოქროს ხანა“

მაგრამ, ამასთანავე ხელისუფლებამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როდესაც ზედმეტად ენდო ძველ „პარტიულ ამხანაგებს“ - ბოლშევიკებს და მათ თითქოსდა მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას, ყურადღება არ მიაქცია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ფაქტობრივად არაფერი გააკეთა ბრძოლისუნარიანი ჯარის ჩამოყალიბებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამის საუკეთესო შესაძლებლობები არსებობდა. სწორედ ეს გარემოება გახდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი კრახის – დამოუკიდებლობის დაკარგვის უმთავრესი მიზეზი.

საკვანძო სიტყვები: სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, ნ.ჟორდანიას კაპუცი, რ.მაკონაღდსი, მიწის რეფორმა, კერძო ინიციატივა, „მშვიდობა და კანონიერება“, საფინანსო მდგომარეობა, ქართული „ბონები“, კონსტიტუცია, დამოუკიდებელი სასამართლო, სიკვდილით დასჯის გაუქმება, „პატარა ოქროს ხანა“, ბოლშევიკები, თავდაცვისუნარიანობა, ჯარი.

1. დამოუკიდებლობის გამოცხადება

1918 წ. 18 იანვარს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა. რუსეთმა დათმო ყველაფერი, რისი დათმობაც შეიძლებოდა. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობები მძიმე იყო საქართველოსთვისაც. მანამდე, 1917 წ. მარტში ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მოწერისათვის გერმანელებმა მოიწვიეს საქართველო და კავკასიის წარმომადგენლები საკუთარი ინტერესების დასაცავად, მაგრამ ვეგენი გეგეჰკორმა - მაშინ კავკასიის კომისარიატის მინისტრმა, გაგზავნა დეპეშა - „კავკასია და საქართველო რუსეთის ნაწილია და ზავის საკითხი რუსეთის კომპეტენციას შეადგენს“. შედეგად რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში ოსმალებს, როგორც გერმანიის მოკავშირეს, იმაზე მეტი ნაწილი დაუთმო საქართველო-კავკასიის ტერიტორიისა, ვიდრე ერგებოდათ ომის შედეგებით.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერებს გამბედაობა, სიმტკიცე გამჭრიახობა, მოვლენების პროგნოზის უნარი აკლდათ... ხელისუფლება კი პირდაპირ მათ ხელში მოცურავდა, ყველაფერი მათ სასიკეთოდ ეწყობოდა. „რაკი სხვა გამოსავალი არ იყო“ ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური მსოფლმხედველობა ეროვნულისკენ შემობრუნდა, „ზოგადსაკაცობრიო იდეების ტყვეობიდან“ ეროვნულ ნიადაგს დაუბრუნდა.

1918 წ. 22 მაისს, ბათუმში შედგა თათბირი, რომელიც საქართველოს შემდგომი ბედის გადაწყვეტას მიეძღვნა. შეადგენილ იქნა „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სანიმუშო პროექტი“. ბათუმის სხდომის მონაწილეებმა ეს პროექტი მოიწონეს და მიიღეს. ავალიშვილი იგონებს: „ჟორდანიას ეტყობოდა რყევა... საქართველოს დამოუკიდებლობა არ შეეფერებოდა არც მის წინანდელ მუშაობის მოძღვრებას, არც რუსეთის

სოც.დემ. პარტიის წევრობას, მაგრამ, როცა „ირწმუნა“, ახალი პროგრამის ჩატარებას გამოცდილის ხელით შეუდგა”.

შემდეგი ნაბიჯი ნოე ჟორდანიამ კვლავ შიშით და ფრთხილად გადადგა – ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების განზრახვა წინასწარ სომხებს გაანდო. ჟორდანია წერს: „მოვიწვიე სომხები ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თბილი სიტყვებით მომმართა – რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს, რა დაგვრჩენია, რომ არ დავადასტუროთ და მოვილოცოთ...”. მოლაპარაკებები აზერბაიჯანის მხარესთანაც წარმატებით დასრულდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო „სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი“ [1]. შექმნილი მდგომარეობა ნოე ჟორდანიამ გააცნო თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქალაქო საბჭოს, ბოლოს ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლუცია დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოცდილმა აგიტატორებმა სასწრაფოდ გააცნეს შექმნილი მდგომარეობა მოსახლეობას და „24 საათში მთელი მუშათა კლასი გადაიყვანეს საქართველოს ნაციონალურ რეესებსზე“. ბოლოს და ბოლოს 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა

2. ეკონომიკური აღმშენებლობა და სოციალ-პოლიტიკური რეფორმები

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საჭირო იყო ეროვნული სახელმწიფოს თეორიული და პრაქტიკული მშენებლობა. მიიმე საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, ნოე ჟორდანიამ და მისმა გუნდმა მაინც მოახერხა ეროვნული სახელმწიფოს ზოგადთეორიული ხასიათის კონცეფციის შემუშავება. არნახული ენთუზიაზმით დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა. მალე განხილულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი აგრარული (მიწის რეფორმის) და საფინანსო საკითხები. საქართველოს მოსახლეობის 90%-მდე გლეხობა შეადგენდა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწის საკითხის მართებულ გადაწყვეტას. ნოე ხომერკის სიტყვებით, „გლეხებს სწამდათ მიწის რეფორმა იმდენად, რამდენადაც მათ მიწა

მიეცემოდან. სხვა პოლიტიკური მოსაზრებაც ამას გვიკარნახებდა. თუ გლეხი მიწას მიიღებდა, ის დამცავი იქნებოდა იმ წყობილების, რომელმაც მას მიწა მიაკუთვნა, ეს იყო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ზომა.”.

მართალია საქართველოს საშინაო მდგომარეობა პოლიტიკურად მოწესრიგებული იყო, მაგრამ მთავრობა ხალხის მსურველ მხარდაჭერით სარგებლობდა, დიდი იყო დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული სიხარული და თავისუფალი ქვეყნის მშენებლობის ერთუზიანობა. ცხოვრება თანდათან ეწყობოდა „მშვიდობიანობის და კანონიერების ნიადაგზე“, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა – დაწესებულებები ითხოვდნენ დახმარებას, მთავრობას კი სახსრები არ გააჩნდა, ხაზინის ერთადერთი შემოსავალი გადასახადები იყო, მაგრამ გადასახადის აკრეფას მთავრობა ვერ ახერხებდა. ეს საქმე დავალებული ჰქონდა თემებს, ერობებს, ქალაქებს, მაგრამ აქ სრული ქაოსი, განუკითხაობა იყო. მთავრობამ სხვა გზის ძებნით თავი აღარ შეიწუხა და დაიწყო ფულის ბეჭდვა. ქართული ფული – ბონები დღითიდღე უფასურდებოდა.

მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, საქართველოში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე რუსეთსა და სხვა, იმპერიის ნანგრევებზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებში. იმდროინდელი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, რაც ბუნებრივად ახლდა პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულ ნგრევას და საყოველთაო ეკონომიკურ დაქვეითებას, მსოფლიოს თითქმის ყველა ვალუტა განიცდიდა ინფლაციას. ნაწილობრივ ომის მძიმე შედეგები მსოფლიოს ფინანსურ ჰეგემონ დიდ ბრიტანეთსაც შეეხო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რის გამოც იგი თავისუფალ მიმოქცევაში იყო როგორც ამიერკავკასიაში, ისე რუსეთსა და ყოფილი იმპერიის სხვა კუთხეებში, ერთხანს ვალუტის როლს ასრულებდა საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც კი.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, მოსახლეობა მაინც შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ევროპაშიც კი. ამის მიზეზი საკმაოდ კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა იყო, ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობას შესაძლებლობა ჰქონდა

სოფლიდან საკუთარი სურსათ-სანოვაგე ჩამოეტანა და ამით როგორმე გაეძლო ყოველდღიურად მზარდი სიძვირისათვის.

შრომის ანაზღაურება მეტად დაბალი იყო, უჭირდა ყველას, მუშასაც და მინისტრსაც, მათ შორის მთავრობის თავმჯდომარესაც. სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობის დიდი უმრავლესობა რიგითი მოქალაქეების ბედს იზიარებდა სოციალურად, რადგანაც სწამდათ, რომ არ ჰქონდათ უფლება თანამოქალაქეებზე უკეთესად ეცხოვრათ. მთავრობის პატიოსან, შეიძლება ითქვას, სამაგალითო დამოკიდებულებას თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი, თან ერთვოდა გააზრებული და ზნეობრივი საშინაო სოციალური პოლიტიკა.

მთავრობა ხვდებოდა, რომ საჭირო იყო ეფექტიანი და დროული ქმედები. საქართველო ვეღარ გაძლებდა ევროპის მოწინავე ქვეყნების დახმარებისა და უცხოეთის კაპიტალის მოწვევის გარეშე. ამას მიუთითებდა საქართველოში სტუმრად მყოფი კარლ კაუცკი, მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი: „თუკი თქვენ მოახერხებთ სესხის აღებას უცხოეთში – მაშინ უცხოელების მიერ თქვენში საწარმოთა დაარსების გვერდის ავლა შეუძლებელი იქნება ...უნდა გამონახოთ ისეთი ფორმები, რომლებიც უცხოურ კაპიტალს არ დააფრთხობს“.

ეკონომიკის გაჯანსაღების საერთო თეორიული გეზი სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული. საქართველოს დამოუკიდებლობის მომენტში გასასტუმრებელი დარჩა დაახლოებით 300 მილიონი მანეთი (ერთი მილიონი ფრანგული ფრანკი), ხოლო დიდი ბრიტანეთის მთავრობიდან მისაღები ჰქონდა 1918-1920 წლებში საქართველოს რკინიგზით სარგებლობისათვის დაახლოებით 78 ათასი გირვანქა სტერლინგი (ერთი მილიარდ ოთხასი ათასი მანეთი). ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი ცნობილი ქართველოლოგის, დევიდ ლანგის მოსაზრება – „მენშევიკებს არ დასცალდათ და არც ჰქონდათ მოქმედების თავისუფლება, თორემ მათ მიერ წამოწყებული ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს გადააქცევდა მდიდარ მიწათმოქმედ-იომენთა (თავისუფალ გლეხთა) და ვაჭარ-ხელოსანთა ქვეყნად.“ ესეც იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს არავითარი გარე დახმარება არ მიუღია და

არც რაიმე განსაკუთრებული ღირებულების ქონება არ დაუტოვებია საქართველოში რუსეთის იმპერიას. გადამწყვეტი იყო მთავრობის ძირითადად სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და პროფესიული, უმეტესად პატიოსანი ფინანსისტებით დაკომპლექტებული მთავრობა.

1920 წლის შემოდგომაზე სტუმრად მყოფმა მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა ვერ დამალეს აღფრთოვანება საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო. 1920 წლის 16 ოქტომბერს რამზეი მაკდონალდი წერდა გაზეთ „ატიონ“-ში:

„ქართველმა სოციალისტებმა შეძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფოს სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს, სახელდობრ: სრული ჰარმონია სოფელსა და ქალაქს შორის. გაატარეს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტოდ მიწის რეფორმა, უმიწაწყო გლეხებს დაურიგეს მიწები, მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა, შრომა დაუდეს საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას, მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით... მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდ მემამულეთა და საუფლისწულო მიწების... ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით“.

საქართველოში, პირველად კაცობრიობის ისტორიაში ქვეყნის სათავეში სოციალისტური მთავრობა იყო. სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავდა ცნობილი ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერვეელი ჟურნალში „ე პეოპლ“ (ბრიუსელი) 1920 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „პირველი სოციალისტური მთავრობა“:

„ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისზე? სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა – უმაღლესი საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა

აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლებების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით... ჩვენმა მეგობრებმა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ ფარგლებში ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები. აგრარული რევოლუცია მოხდა: ყველა ყოფილ სამეფო გვარეულობის და დიდ მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა უსასყიდლოდ და დარიგებული ღარიბ გლეხობაზე.

სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ... შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია, ქართველი სოციალ-დემოკრატების უადრესი გონიერება და სიბრძნე... მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იძლევა დიდ დადებით პერსპექტივებს ქართველ მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის ეკონომიკური წარმატებისათვის”.

შთაბეჭდილებები საქართველოს შესახებ “: „რევოლუციამ წაართვა ფეოდალებს მიწები, რომლებიც გადაეცა უმიწაწყლო გლეხებს... ეს იყო არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რევოლუცია. მაგრამ ნაკარნახევი იყო მოცემული პირობებით და ესაა მნიშვნელოვანი... სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ, სოციალისტები უტოპისტ-სოციალისტებისაგან; ვინაიდან ჩვენ ვაღიარებთ, რომ სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოცემულ განსაზღვრულ პირობებში... ქართული მეთოდი ნაციონალიზაციისათვის უფალია ყოველგვარი დაჩქარებისა და ჩავარდნებისაგან, ვინაიდან ეს მოხდა დემოკრატიული გზით... რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა შეიქმნა ცენტრალიზებული ბიუროკრატიული სისტემების ადგილზე“.

საქართველოში პრობლემები არ ილევოდა. მთავარი იყო რეფორმების დროული და მიზანმიმართული განხორციელება. რეფორმები ხორციელდებოდა, მაგრამ მათ ზედმეტად სოციალისტური ხასიათი ჰქონდა.

თუმცა სოციალ-დემოკრატიული შეხედულება ქვეყნის რეფორმის შესახებ არ იყო რადიკალური, მათ შორის

გათვალისწინებული იყო ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობის საძირკველი – კერძო საკუთრება, მაგრამ მაინც მათ ქმედებაში გამოსჭვიოდა რუსული ბოლშევიკური ექსპროპრიაციული ხასიათი, „დეკრეტებისა“, რაც საკუთრებაზე აგებულ ქართული საზოგადოებრივი კულტურის საფუძვლებს არყევდა. ამას აღნიშნავდა ქართული პრესა და კარლო ჩხეიძემაც განაცხადა: „გაუფრთხილდით ქართულ ღობეებს. ქართველ კაცს ღობე ნამეტნავად უყვარს“.

მაგრამ ყველაზე მეტად მარქსელები (ასე უწოდებდა ღათა ვანნაძე სოციალ-დემოკრატებს) განაცვიფრა თავადაზნაურობის წრეების უმაგალითო სიწუმემ: არსაიდან არც წინააღმდეგობის გაწევა, არც ხმა პროტესტისა. ზოგიერთნი სოციალური ბანაკიდან ამ მოვლენას ხსნიდნენ ამ წრეების „შიშით“ გამარჯვებული რევოლუციისა და წითელი გვარდიის წინაშე, მაგრამ ეს არ იყო მართალი. ჭეშმარიტება იმალებოდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის სიღრმეში, რომლისთვისაც უცნობი იყო შინაური სოციალური ომები წოდებათა შორის.

ამ ძველ გზას არ უღალატა მეოცე საუკუნის საქართველოს თავადაზნაურობამაც. ამბობდნენ: „დავერიოთ ერთმანეთს, რომ ქვეყანა საბოლოოდ დავაქციოთ? ეს ხომ საქართველოს მტრების ხელობა იყო და იქნება. იგი ქართველ წიგნში არ გვიწერია“. ასეთი სულისკვეთებით დაუხვდა ქართველი მარქსელების „რევოლუციური მარქსიზმის მონაპოვარს“ ქართველების ეროვნული შეგნება.

1921 წლისთვის საქართველომ, ფაქტობრივად, დაძლია ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენციები უკვე აშკარად ჩანდა. ამას ხელი შეუწყო სესხის მიღებამ ინგლისიდან, სააბრეშუმო კონცესიებმა საფრანგეთიდან, ტყვარჩელის წარმოების მოგვარებამ იტალიასთან და ა.შ..

საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას უტყუარად ასახავს მოვლენებისა და სიტუაციის უშუალო მონაწილე გრიგოლ ლორთქიფანიძე:

„საქართველოს იმ ხანად ხშირათ აღარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილ იმპერიის ანარქიულ უდაბნოში და უნდა ითქვას, რომ ეს შედარება საესებით სწორია“.

იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს დამოუფუნებელმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომელიც შემუშავებულ იქნა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ქართული პოლიტიკური აზრის დიდი მონაპოვარია. საქართველოში კონსტიტუცია მთელ განათლებულ ევროპას გააოცებს თავისი სრულყოფილებით და ჰუმანურობით, ადამიანის საყოველთაო უფლებების დაცვით, კონსტიტუციას, რომელიც დიდი ხნით გაუსწრებს კაცობრიობის განვითარებას. დაკანონდება სრულიად ახალი წესი ადამიანთა საქმიანობისა, ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის... გათვალისწინებულია სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა, გაუქმებულია სიკვდილით დასჯა და სხვ.

3. მცდარი სამხედრო პოლიტიკა

დამოუკიდებლობის პირველ დღეებში გერმანელებმა საქართველოს სერიოზული დახმარება აღმოუჩინეს, საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეებისაგან 1200 კაციანი რაზმი შეიქმნა, რომელმაც გერმანელი ოფიცრების მეთაურობით და ქართველი ოფიცრების თანხლებით საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების მთავარი პუნქტები დაიკავეს. გერმანელები იცავდნენ აგრეთვე რკინიგზას.

მაღლე საქართველოში გერმანელთა ჯარი ჩამოვიდა გენერალ ფონ-კრესენშტეინის მეთაურობით (სურვილით – „დავეხმაროთ პატარა, კეთილშობილი ქართველ ერს თავისი სახელმწიფოს აღდგენის საქმეში“), მას საგანგებო სამხედრო მრჩეველი მაიორი გრაფი ვოლფსკელი მოჰყვა. შემუშავდა ქართული რეგულარული ჯარის (3 დივიზია) ორგანიზაციის პროექტი. რეგულარული ჯარის შექმნა პარტიული გვარდიის ლიკვიდაციას მოითხოვდა. ქვეყნის სამხედრო მშენებლობისთვის ორი სამხედრო სისტემის არსებობა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ამ პროექტის წინააღმდეგ ერთხმად გამოვიდნენ სოციალისტები. ნოე ჟორდანიას ვერ განთავისუფლდა ვიწროპარტიული სულისკვეთებიდან.

„ადრე თუ გვიან, - ამბობდა გრაფი ვოლფსკელი, - ჩვენ, გერმანელები, წავალთ კავკასიიდან. თქვენი

მმართველი წრე კი არ ჩქარობს შექმნას საფუძვლიანი საარსებო დაწესებულებანი. ქართული ჯარის შექმნისათვის მიღებული პროექტი აქამდის გაუნადგებელია, მეზობლებთან არა გაქვთ კარგი განწყობილება. თუ თქვენ გსურთ დაიცვათ თქვენი თავისუფლება, გმართებთ დღე და დამ იმუშაოთ. თქვენი თანამემამულეთა დიდი ნაწილი უდარდელია, ამ უდარდელობით ვერ აშენდება ეროვნული სახელმწიფო” [2].

გენერალი ფონ კრესი მიმართავდა მთავრობას: „თქვენი პატარა ქვეყანა ნივთიერად ვერ გაუძლებს ორი წყება ჯარის ორგანიზაციას. ამასთანავე, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულნი, ქართული სამხედრო ძალის მთლიანობას დაარღვევენ”. არც ამ საბუთმა გაჭრა და პარლამენტის კომისია სოც.დემოკრატების ხმების უმრავლესობით, დათანხმდა პარტიული „გვარდიის” გვერდით თანაბარ პირობებში მცირე რეგულარული ჯარის დაარსებაზე.

რუსეთთან დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ არსებული სამხედრო პოტენციალის გამოუყენებლობა და შეიარაღებული ძალების არასწორი მოწყობა გახდა.

1920 წ. დეკემბერში, რაც იყო იმ მცირე ჯარის დემობილიზაციაც გამოცხადდა, თუმცა მთავრობაში იცოდნენ, რომ რუსეთი საომრად ემზადებოდა.

ჟორდანია არ ენდობოდა საზღვარგარეთის სკოლა გამოვლილ და ეროვნული ორიენტაციის კადრებს, ქართველ პოლიტიკოსებს და სამხედრო მოღვაწეებს. შემდეგ იტყვის კიდევ: „საზოგადოდ ჩვენ დაგვლუპა რუსის ჯარში ნამსახურმა ოფიცრობამ. მას არ ჰქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენის თვალსაზრისით, ძარცვავდნენ სისტემატურად პოლკებს – ერთი სიტყვით, ეს რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისათვის”. რადგან ჯარს ჟორდანია არ ენდობოდა, მისი ყურადღება წითელ გვარდიაზე იყო ორიენტირებული. წითელი გვარდია მაინც მეტისმეტად პარტიული სახელი იყო და შემდეგ გადაარქვეს კიდევ, სახალხო გვარდია უწოდეს, მაგრამ ამით საქმის არსი არ შეცვლილა – გვარდია რჩებოდა არასახელმწიფოებრივად მოქმედ, პარტიულ შეიარაღებულ ძალად.

რუსეთუმე ოფიცრობის უნდობლობის ობიექტური მიზეზი იყო ჟორდიანის სოციალისტური ორიენტაცია და

მონარქიის, თავად-აზნაურობის ბრმა სიძულვილი. როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი უფრო ბოლშევიკებს (ძველ „პარტიელ“ ამხანაგებს) ენდობოდა...

ამდენად, არა სწორად შეირჩა მთავრობის საკადრო პოლიტიკის კურსი. აქ გადამწყვეტი იყო არა პროფესიონალიზმი და ქვეყნისადმი ერთგულება, არამედ პარტიული წარმომავლობა. პატიოსანი და მცოდნე გრიგოლ ლორთქიფანიძე ექვს თვესაც არ გააჩერეს სამხედრო მინისტრად, ხოლო გინეკოლოგ ლორთქიფანიძეს (სოციალ დემოკრატს!) ჩააბარეს რკინიგზა, უვარგის ექიმ ჭიჭინაძეს – ჯარი, როგორც „საუცხოო რევოლუციონერს“ „როცა ჯარისკაცებს ელაპარაკება, განგებ ოფიცრებს ხელს არ ართმევს და ზურგს აქცევს“ (რეზო გაბაშვილი).

სავარაუდოდ, მიუხედავად ზემოაღნიშნული შეცდომებისა საქართველოს არ უნდა გასჭირვებოდა სახელმწიფოებრივი მშენებლობა, რომ არა შეცვლილი პოლიტიკური ვითარება საქართველოს საზღვრებზე და, საზოგადოდ, მსოფლიოში. მაინც, საბედისწერო აღმოჩნდა თავდაცვისა და ჯარის მშენებლობასთან დაკავშირებული სრულიად უგუნური პოლიტიკა, რამაც, საბოლოო ანგარიშით განაპირობა კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს კრახი.

ლიტერატურა:

References

1. noe Jordania. `Cemi mogonebebi~, parizi, 1928 w.
2. karlo inasariZe `patara oqros xana~, miunxeni, 1984 w.
3. saqarTvelos istoriis narkvevebi, t.6. Tbilisi, 1972 w.
4. saqarTvelo historia. XX saukune (ivane javaxiSvilis saxelobis Tbilisis saxelmwifo universitetis gamocema), Tbilisi, 1991 w.
5. karl kaucki „saqarTvelo - glexTa socialisturi respublika~ 1921 w

Giorgi Bagaturia, Tea Khakhutashvili
Public Administration System of Georgia during 1918-1921. Success and Crash

Summary

In article questions of the government of the first independent republic of Georgia are considered. Despite the most complicated and difficult political-economical atmosphere in Europe and in Georgia, the social democratic government of independent Georgia led by N.Zhordaniya, could put fundamental bases for building of democratic republic, land reform has been without serious consequences spent, the earths on favorable terms, have been transferred peasants (90 % of the population of the country), has been supported the private initiative, work has been taken as a principle of the republic existence, in the country harmony between a city and village reigned, the country leaders completely divided a social status of ordinary citizens, the relation of the majority of employees, especially the higher layer, to their duties was fair, self-government institutions which operated on a basis «peace and legality» though and it is insufficiently effective that complicated taxation have been generated. Nevertheless, finance situation of Georgia remains to much stable than in many countries, including European, not mention Russia and neighboring countries, "Bonnie's" the Georgian monetary unit played a currency role all space of the former Russian empire, even after occupation of Georgia.

By 1921 of a consequence economic and political crisis have actually been overcome, has been shown there were tendencies of improvement of position that was promoted by credits of England, the French concessions of silk, the Italian manufactures Tkvarcheli coal etc. At last, the Constitution (most advanced all over the world) has been accepted, according to which everything was authorized that was not forbidden, the judicial system was proclaimed fully free, the death penalty was cancelled and etc.

This period is characterized as «Small Gold Era», outstanding European socialists K.Kautsky, R.McDonald, etc. passed an opinion the delight of position of Georgia. Really, against chaos in Georgia the calmness and a consensus about the country future reigned, transformation of Georgia into the country of rich farmers and handicraftsmen was expected.

Nevertheless the power has admitted fatal flaws – often appointment to the important posts was carried out by a principle party membership instead of on professional signs, the socialist government fondly has trusted to Bolsheviks – to "party brothers» and their promises

of the world, measures on defensibility strengthening have not been taken, practically there was no efficient army, as has predetermined defeat of Georgia in war against Bolsheviks and wreck of independent republic.

Keywords: the social democratic government, N.Zhordanija, K.Kautsky, R.McDonald, land reform, the private initiative, «peace and legality», finance position, "Bonnie", the Constitution, independent judicial system, an abolition of capital punishment, «Small Gold Era», Bolsheviks, defensibility, army.

Reviewer – professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Багатурия Георгий Шотаевич,
Хахуташвили Теа Гивиевна**

**Система государственного управления Грузии в 1918-1921 гг.
Успехи и крах.**

Резюме

В статье рассмотрены вопросы государственного управления первой независимой республики Грузии. Несмотря на сложнейшую и трудную политико-экономическую атмосферу в Европе и в Грузии, социал-демократическое правительство независимой Грузии во главе с Н.Жордания, смогло заложить фундаментальные основы для строительства демократической республики, безболезненно была проведена земельная реформа, крестьянам (90% населения страны) были переданы земли на льготных условиях, поощралась частная инициатива, труд был положен в основу существования республики, в стране царил гармония между городом и селом, руководство страны полностью разделяла социальное положение рядовых граждан, отношение большинства служащих, особенно высшего слоя, к своим обязанностям было примерно честным, были сформированы органы самоуправления, которые действовали на основе «мира и законности», хотя и недостаточно эффективно, что затрудняло сбор налогов. Тем не менее, финансовое положение Грузии оставалось гораздо более стабильным чем во многих странах, в том числе европейских, не говоря о России и соседних странах, грузинская денежная единица «Бони» играла роль валюты на всем пространстве бывшей Российской империи, даже после оккупации Грузии.

К 1921 году последствия экономического и политического кризиса фактически были преодолены, заметны были тенденции улучшения положения, чему способствовали кредиты Англии, французские концессии шелка, итальянские производства ткачельского угля и т.д. Наконец, была принята самая передовая во всем мире Конституция, согласно которой разрешалось все, что не было запрещено, судебная система провозглашалась полностью свободной, отменялась смертная казнь и т.д.

Этот период характеризуется как «Малая Золотая Эра», выдающиеся европейские социалисты К.Кауцкий, Р.Макдональд, и др. высказывали свой восторг по поводу положения Грузии. Действительно, на фоне хаоса в Грузии царил покойствие и всеобщее согласие о будущем страны, ожидалось превращение Грузии в страну богатых земледельцев и ремесленников.

Тем не менее власть допустила роковые ошибки – часто назначение на важные должности осуществлялось по принципу партийной принадлежности а не по профессиональным признакам, социалистическая власть наивно доверила большевикам – «партийным братьям» и их обещаниям мира, не были приняты меры по укреплению обороноспособности, практически не существовала боеспособная армия, что и предопределило поражение Грузии в войне против большевиков и крушение независимой республики.

Ключевые слова: социал-демократическое правительство, Н.Жордания, К.Кауцкий, Р.Макдональд, земельная реформа, частная инициатива, «мир и законность», финансовое положение, «Бони», Конституция, независимая судебная система, отмена смертной казни, «Малая Золотая Эра», большевики, обороноспособность, армия.

Рецензент – профессор Кочорадзе Отар Георгиевич, Грузинский технический университет.

მაია ლაგვილავა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა ასპექტები

რეზიუმე

ევროკავშირი, რომელიც სათავეს იღებს 50-იან წლებში გაფორმებული რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებებიდან, დღეს მსოფლიოს ყველაზე მძლავრი ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც 27 ევროპული სახელმწიფოსგან შედგება, დაახლოებით 500 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და რომლის მიზანია უზრუნველყოს სტაბილურობა, მშვიდობა, მოქალაქეთა კეთილდღეობა და დაამკვიდროს საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური ნორმები. ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებს და უფლებამოსილებებს.

საქართველოს და ევროკავშირს შორის 2008 წლის აგვისტომდე ურთიერთობები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარეობდა, მიდიოდა დაბატები ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავების მიზანშეწონილობასა და სავიზო რეჟიმის გამარტივების შესაძლებლობებზე.

2008 წლის აგვისტოს ომმა, რუსეთის აგრესიამ და საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციამ დრამატულად გააქტიურა ევროკავშირის როლი საქართველოში და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში. თუ აქამდე ევროკავშირის ჩართულობა მხოლოდ ეკონომიკურ სფეროში იყო საგრძნობი და მნიშვნელოვანი, აგვისტოს ომის შემდეგ ევროკავშირი საქართველო-რუსეთს შორის მთავარ მედიატორად იქცა და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ჩაერთო. სწორედ ევროკავშირის დამსახურებაა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განლაგება. ასევე ევროკავშირის ფუნდამენტურად განსხვავებულ როლზე მიუთითებს

“საქართველოში კრიზისის საკითხებზე” სპეციალური წარმომადგენლის პოსტის შემოღება და ქენევის მოლაპარაკებებში ევროკავშირის წამყვანი როლი.

2008 წლის ბოლოდან ევროკავშირმა საქართველოსთან ურთიერთობის უფრო დინამიური ფორმატი განავითარა “აღმოსავლეთის პარტნიორობის” სახით. გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, რომ საქართველომ და ევროკავშირმა ურთიერთობები ასოციაციის ხელშეკრულების ფარგლებში განავითარონ. პრაქტიკულად დასრულდა მუშაობა სავიზო პროცედურების გამარტივების და რეადმისიის ხელშეკრულებებზე. რეალური გახდა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საერთაშორისო ურთიერთობები, ევროსაბჭო, ინსტიტუციონალური რეფორმები.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში შეუძლებელია უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიღწევა მხოლოდ საკუთარი რესურსებით. საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, ევროკავშირთან ინტეგრაცია საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტია.

ევროპა არის ბუნებრივი გარემო, რომელსაც საქართველო მოწვევტილი იყო საუკუნეების მანძილზე და რომელშიც ქართულმა სახელმწიფომ უნდა განაგრძოს თავისი განვითარება. ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესი ხელს უწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას ევროპული ტიპის დემოკრატიულ ქვეყნად და მის ინტეგრაციას საერთო ევროპულ სივრცეში, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

დღევანდელი ევროკავშირი ოცდახუთი ევროპული სახელმწიფოს გაერთიანებაა, რომელშიც დაახლოებით 500 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ამ გაერთიანების მიზანია უზრუნველყოს სტაბილურობა, მშვიდობა, მოქალაქეთა კეთილდღეობა და დაამკვიდროს საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმები.

ევროკავშირის საქართველოსთან გააჩნია „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ და კულტურულ თანამშრომლობას. 2006 წლის ნოემბერში მიღებული იქნა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა“ საქართველოსთვის. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ამოცანაა მეზობელ ქვეყნებთან ევროკავშირის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაზიარება. ის საშუალებას აძლევს ქვეყნებს უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ ევროკავშირთან პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკის და კულტურის სფეროებში. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ახალ ეტაპს წარმოადგენს. ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდა „ადმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში. „ადმოსავლეთის პარტნიორობა“ ხელს უწყობს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების და ყოველმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადებას.

დღეს საქართველო დგას ურთულესი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე. მათ დასაძლევად როგორც არასდროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით, ევროკავშირის დახმარებისა და მხარდაჭერის გაგრძელებასა და გაძლიერებას.

პირველ რიგში, აღსანიშნავია აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესიის შემდეგ და საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის პირობებში, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსადმი აღმოჩენილი უპრეცედენტო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა. რუსეთის აგრესიის შეკავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ პერიოდში საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის და პირადად, პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ძალისხმევამ, რისი ერთ-ერთი შედეგიც იყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ „ექვს პუნქტიანი შეთანხმების“ მიღწევა.

ქართველი ხალხის პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერის თვალსაზრისით, მართლაც უდიდესი

დატვირთვის მატარებელი იყო, როგორც რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, ასევე მის შემდეგ, ევროკავშირის მაღალი რანგის ოფიციალური პირების ვიზიტები საქართველოში ისევე, როგორც ევროკავშირში სხვადასხვა დონეზე გაკეთებული განცხადებები და მიღებული გადაწყვეტილებები. ამ კონტექსტში, მსურს გამოვიყო 2008 წლის 1 სექტემბრის ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ევროკავშირმა ცალსახად გამოხატა პატივისცემა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ; დავმო რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარება. მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან ურთიერთობის გადრმავებასთან დაკავშირებით და სხვა. ამასთანავე აღსანიშნავია, 2008 წლის 15 სექტემბრის ევროკავშირის ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საბოლოოდ დამტკიცდა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარგზავნის საკითხი. მისიის საქართველოში მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი რუსეთის მხრიდან მიმდინარე პროპაგანდის და ვითარების ესკალაციის მცდელობის ერთადერთ შემაფერხებელ მექანიზმს წარმოადგენს. გარდა ამისა, ევროკავშირის ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა „საქართველოში კრიზისის საკითხებზე“ სპეციალური წარმომადგენლის პოსტი, რომლის მთავარი ფუნქცია იქნებოდა ე. წ. „ შენევის მოლაპარაკებების“ პროცესის წაყვანა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად, ასევე დევნილი მოსახლეობის დასაბრუნებლად საერთაშორისო დისკუსიების თავმჯდომარეობა.

პოლიტიკური მხარდაჭერის გარდა, უპრეცედენტო იყო, ასევე, ის ფინანსური დახმარება, რომელიც ევროკავშირმა ქ. ბრიუსელში 2008 წლის 22 ოქტომბერს ევროკომისიის ძალისხმევით და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით გამართულ დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე გამოყო რუსული აგრესიის შედეგად საქართველოსათვის მიყენებული ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის აღმოსაფხვრელად.

ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგების დაგვარად მაღალი ნიშნულის მიღწევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ევროპული საბჭოს 2008 წლის 1 სექტემბრის საგანგებო სხდომის დასკვნითი დოკუმენტი, საქართველოს ურთიერთობების გააქტიურებასთან დაკავშირებით, გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესაძლებლობის განსაზღვრის ჩათვლით.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაში სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის სამართლისა და საშინაო საბჭოთა მიერ 2008 წლის 27 ნოემბერს ევროკომისიის მანდატის დამტკიცება საქართველოსთან სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დასაწყებად. დღეისათვის კი მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ა.წ. ივლისის დასაწყისში მხარეები უკვე ხელს მოაწერენ შეთანხმებას და 2010 წლის ბოლომდე საქართველოს მოქალაქეები ევროპული ვიზის მიღებას გაცილებით უფრო მარტივი პროცედურებით და იაფად შეძლებენ.

რაც შეეხება ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის პერსპექტივას, იმედია, რომ 2008 წლის ოქტომბერში განხორციელებული ევროკომისიის შემსწავლელი მისიის ანგარიში დადებითი იქნება, რაც დაეხმარება ევროკომისიას ქართულ მხარესთან ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო მანდატის მიღებაში.

გარდა ამისა ევროკავშირი თანამშრომლობს საქართველოსთან სოციალურ საკითხებზე. გაერთიანება ხელს უწყობს საქართველოს, თავისი მოქალაქეებისათვის შეიმუშავოს მსოფლიოში მიღებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის დონის მისაღწევად საჭირო მექანიზმები და ინსტრუმენტები შემდეგ სფეროებში: პირველადი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ბავშვთა კეთილდღეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და დაავადებების შესახებ საზოგადოების გათვინციობიერებულობის გაუმჯობესება და უახლესი დონის კვალიფიკაციის უზრუნველყოფა შესებამის სფეროს მუშაკებისათვის. 2006-2012 წლებში ევროკავშირის მიერ სოციალური და

ჯანდაცვის სექტორებისთვის გამოყოფილი დახმარების საერთო მოცულობა 142 მილიონ ევროს შეადგენს. განხორციელება პროექტები ჯანდაცვის გაუმჯობესების, სიღატაკის დაძლევისა და შესაბამისი სოციალური რეფორმების მხარდასაჭერად.

ევროკავშირს მიანია, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებები საყოველთაო ფასეულობებია და საჭიროა მათი აქტიური მხარდაჭერა. მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ სიღარიბის დაძლევისკენ მიმართულ საქმიანობაში, ასევე კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებაში. ამის გათვალისწინებით გაერთიანება დახმარებას უწევს საქართველოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროებში. ადამიანის უფლებათა სფეროში დაფინანსების ძირითადი წყაროა „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტიტუტი“, რომლის მეშვეობითაც საქართველოში 1998 წლიდან დაფინანსდა უამრავი როგორც მსხვილი, ისე მიკროპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა:

- დაკავების აღილეებში წამების წინააღმდეგ ბრძოლას და ამგვარი მოპყრობის მსხვერპლთა რეაბილიტაციას;
- უმცირესობისა და მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების უფლებათა დაცვას;
- ადგილობრივ და საერთო ეროვნულ საქმეში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფას;
- მედიის თავისუფლებას;

ამ პროგრამის ფარგლებში, რომელიც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ხორციელდება, გამოყოფილი იქნა 15 მილიონი ევრო, პროგრამის მიზანია, განამტკიცოს საქართველოს ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების საერთო ხელვა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში, ასევე ხელი შეუწყოს ისეთი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას, რომელიც შექმნიდა ამ არსებითი პრინციპების ხორცშესხმის შესაძლებლობას. კიდევ ერთი შედარებით ახალი პროგრამა „არასახელმწიფო სუბიექტების და ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობა განვითარებაში“ შეიქმნა იმ მიზნით რომ ხელი შეეწყობოდა

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შესაძლებლობების განვითარებას სახელმწიფოსთან უფრო ქმედითი ურთიერთკავშირის დამყარებაში. პროგრამა მიზნად ისახავს, განავითაროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ქმედუნარიანობა-ჩართონ ადგილობრივი თემები მათთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს პროგრამა გულისხმობს საქმიანობას კონკრეტულ ადგილებში, განსაკუთრებით მოშორებით განლაგებულ რეგიონებში, სადაც საჭიროა არასახელმწიფო სექტორის გაძლიერება და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან მათი თანამშრომლობის განმტკიცება შეჭირვებული ადამიანებისთვის ძირითადი მომსახურებების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ევროკავშირმა 2008-2008 წლებში საქართველოსთვის 3,2 მილიონი ევრო გამოყო.

2006დან 2010 წლამდე ევროკავშირმა საქართველოს კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში დახმარების სახით დაახლოებით 22 მილიონი ევრო გამოუყო. დახმარება შეეხო:

- სისხლის სამართლის სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებს, და

- სახალხო დამცველის სამსახურის, სამოქალაქო საზოგადოებისა და იმ სხვა არასამთავრობო სუბიექტების როლის გაძლიერებას, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას და ამ უფლებების დაცვის ქმედით მონიტორინგს. თავისი პროგრამებით ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს: უფრო ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებაში; ყურადღება გამახვილებულია კანონების შემუშავებასა და აღსრულებაზე მომუშავე ისტიტუტებს შორის კოორდინაციის გაზრდაზე. ეს უზრუნველყოფს სისხლის სამართლის სისტემის მექანიზმების გამჭვირვალებას და პროგნოზირებადობას; და

- ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებაში მოსახლეობის წინაშე სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

22 მილიონი ევროდან ევროკავშირი 2010 წელს 15 მილიონ ევროს უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხავს თუკი საქართველოს მთავრობა გარკვეულ პირობას დააკმაყოფილებს:

- გააგრძელებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფას; კერძოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, მაგალითად, შემოიღებს სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამებს არასრულწლოვანი პატიმრებისთვის და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის დაწესებულ მინიმალურ ასაკს 12 დან 14 წლამდე გაზრდის;

- გააუმჯობესებს არასრულწლოვანთა საცხოვრებელ პირობებს შექმნის მათთვის სასწავლო პროგრამებს;

- ხელს შეუწყობს არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში;

- დაამკვიდრებს ქმედითი იურიდიული დახმარების მომსახურებას სახელმწიფო იურისტების მხრიდან, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის;

- სახალხო დამცველის სამსახურს ქვეყნის მასშტაბით ადამიანი უფლებათა დაცვაზე მონიტორინგის პირობებს შეუქმნის;

ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს ასევე, უმაღლესი და და პროფესიული განათლების რეფორმირებაში. გაერთიანება იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს საქართველოს განათლების სისტემის განვითარებისა და რეფორმირების პროცესის დასახმარებლად. ევროკავშირის ძირითადი მიზნებია:

- განათლების პოლიტიკის შემუშავება ქვეყნის და რეგიონალურ დონეებზე;

- მოშორებით განლაგებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის ხარისხიანი საბაზისო განათლების თანაბარი მისაწვდომების ხელშეწყობა; და

- პროფესიული განათლებისა და უნარ-ჩვევებში ტრენინგისათვის შესაძლებლობათა გაუმჯობესება.

ქვეყნის განვითარებისთვის განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ და ევროკავშირმა გადაწყვიტეს მისი ერთობლივ პრიორიტეტად ქცევა. 2005-2008 წლებში 2.8 მილიონი ევრო იქნა გამოყოფილი მრავალი სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, დაწყებული დაწყებითი სკოლებიდან და დამთავრებული უმაღლესი განათლებით. საქართველოს ყველაზე მრავალეროვნულ რეგიონებში სამცხე ჯავახეთსა და შიდა ქართლში – ორი პროექტი (450 000 ევრო) განხორციელდა. პროგრამაში ცენტრალური ადგილი ეკავა

განსხვავებულობის, მრავალფეროვნების და განათლების მიღების უფლების, განსაკუთრებით კი არაფორმალური განათლების მიმართ ტოლერანტულობის დამკვიდრებას. გარდა „სამოქალაქო განათლებისა“, ევროკავშირი ხელს უწყობს ზრდასრული მოსახლეობისათვის პროფესიული ტრენინგების ჩატარებას თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით 200 000 ევრო იქნა მიმართული საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმირებისთვის. 1 მილიონი ევრო იქნა გამოყოფილი თელავში, ქუთაისა და ბათუმში სამი ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბებისათვის. ეს ცენტრები ახალგაზრდების დაუცველ ჯგუფებს აძლევს შრომის ბაზარზე საჭირო ძირითადად უნარ-ჩვევებს და ამით ზრდის მათი დასაქმების პერსპექტივებს.

რაც შეეხება გარემოს დაცვას, იგი ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მთელს მსოფლიოში. გარემოს მრავალფეროვნებით და უნიკალურობის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. ევროკავშირი საქართველოს არა მხოლოდ რეალური და პრაქტიკული გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში ეხმარება, არამედ გარემოსდაცვითი პოლიტიკის, სტარატეგიისა და კანონმდებლობის შემუშავებაში უწყევს მხარდაჭერას. 2010 წლისათვის საქართველოსი მიმდინარე გარემოსდაცვით პროექტების ღირებულებამ 20 მილიონი ევრო შეადგინა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქმიანობები მოიცავს გარემოს დაცვის ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორცაა:

- კლიმატის ცვლილება;
- ბუნების დაცვა;
- ნარჩენების მართვა;
- ჰაერის ხარისხის დაცვა;
- წყლის ხარისხის დაცვა;
- ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია;

ამრიგად, საქართველოს და ევროკავშირს შორის არსებობს როგორც პილიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები და ეს ურთიერთობები როგორც ჩანს, მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ საქართველომ აუცილებლად უნდა განახორციელოს

ინტენსიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმათა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით.

ლიტერატურა

References:

1. akobia e. evrokavSiri da saqarTvelo: mimdinare sakiTxebi da perspeqtivebi. Tbilisi 2009
2. beruCaSvili T. saqarTvelo da evrokavSiri. Tbilisi 2006
3. damoukidebel eqspertTa analizi evrokavSiris samezoblo politika da saqarTvelo. Tbilisi 2007
4. <http://www.eumm.eu/ge/>

Maia Lagvilava

The Aspects of the Relationship between Georgia and the European Union

Summary

The European Union, dated back to the 50-ies was originated from undersigning several economic transactions, which has presently proved to be one of the strongest unifications of the World, consisting of 27 European states, with approximate population of 500 million. The objective of the European Union is to provide stability, peace, population welfare and establishing common economic, political, legal and social norms.

The relationship between Georgia and European Union has been proceeding in terms of the European political neighborhood until August 2008. Debates used to be held concerning the reasonability of the development of trade relationships between Georgia and European Union and the opportunity of simplifying the visa regime, imposed between these countries.

After the August War of 2008, the Russian aggression and the occupation of two Georgian regions have dramatically activated the role of European Union in Georgian affairs and generally across the Eastern Europe. Whereas the role of the European Union was solely relevant and evident into the economic field, after the August war it has become the chief mediator between Georgia and Russia and greatly contributed to the conflict regulation. The European Union was the one, which

obtained the Cease - Fire Agreement signed in August 12 and the establishment of the observation missions. The fundamentally different role of the European Union has been proved by establishing the position of the special representative “on Crisis issues in Georgia” and the leading part of the EU in the Geneva Negotiations.

Since the end of the 2008 the EU has developed the more dynamic format of relationship with Georgia in form of the “Eastern Partnership”. There has appeared the real opportunity to develop relationship between Georgia and European Union in terms of the association agreement. The work over simplifying the visa procedures and real mission agreements has been practically completed. The possibility to undersign the Free Trading Agreement with the European Union has also become real.

Keywords: The European Union, International relations, The Council of Europe, Institutional Reforms

Reviewer: Professor Temur Todua, Georgian Technical University

Лагвилава Майя Амирановна
Аспекты взаимоотношений Евросоюза и Грузии

Резюме

Евросоюз, сформированный в начале 1950-ых годов, сформировался в результате оформления соглашений экономического характера и сегодня считается одним из мощнейших мировых объединений, включающих 27 европейских государств с населением около 500 миллионов и целью которого является обеспечение стабильности, мира, благосостояния граждан и установление общих экономических, политических, правовых и социальных норм.

Отношения между Грузией и Евросоюзом до событий августа 2008 г. развивались в рамках добрососедской политики. Проводились дебаты о целесообразности развития торговых отношений между Грузией и Евросоюзом, а также о возможности упрощения визового режима.

Августовская война 2008 года, связанная с ней драматическая российская агрессия и оккупация двух регионов Грузии активировали роль Евросоюза в Грузии и в целом в Восточной Европе. Если до сих пор Евросоюз был вовлечен исключительно в

экономическую сферу, в которой он играл довольно значимую роль, но после августских событий Евросоюз стал главным посредником между Грузией и Россией и был включен в урегулирование конфликта. Точнее, заслугой Евросоюза является подписание договора о прекращении огня и размещении наблюдательской миссии Евросоюза в Грузии. О фундаментальной роли Евросоюза в Грузии также свидетельствует введение поста специального представителя «по кризисным вопросам» на женевских переговорах.

С конца 2008 года Евросоюз разработал более динамичный формат отношений с Грузией в рамках «Восточного партнерства». Появилась реальная возможность развивать отношения между Грузией и Евросоюзом в рамках заключения договора об ассоциации.

Практически завершена работа над упрощением процедуры визового режима. Стала реальной возможность подписания договора о свободной торговле.

Ключевые слова: Европейский Союз, международные отношения, Совет Европы, институциональные реформы.

Рецензент: профессор Тодуа Темур Тариэлович, Грузинский технический университет

ლია ნებიერიძე
ფეოდალური სამეფო-სამთავროების მართვის
სტრუქტურა
(VIII-IX სს-ში)

რეზიუმე

საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ქვეყნის ეკონომიური განვითარება იყო. საერთო-ეკონომიური აღმავლობა, კერძოდ, ცალკეული რაიონების დაწინაურება მეურნეობის სხვადასხვა დარგში, დღის წესრიგში აყენებდა ქვეყნის გაერთიანების საკითხს. მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე, ფეოდალური ეკონომიკის განუსაზღვრელი ბატონობის პირობებში, ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის აუცილებელი პირობა იყო ისეთი დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა, რომელიც შეძლებდა ძირითადი საზოგადოებრივი ფენების ინტერესების ერთი მიზნისაკენ მიმართვას. ასეთი ფაქტორის როლში კი ამ დროს საქართველოს ისტორიაში საგარეო საშიშროების საფრთხე გამოდიოდა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან მისი განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუერთიანებელ საქართველოს, ერთი მხრივ, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ უხდება ბრძოლა, ხოლო, მეორე მხრივ - ბიზანტიის. საქართველოს საბოლოო გაერთიანება კი თურქ-სელჩუკთაგან საქართველოს გაწმენდას გულისხმობს. ამდენად, საგარეო საშიშროების ფაქტორი, ე. ი. უცხოელ დამპყრობთაგან თავდაცვის აუცილებლობა, აჩქარებს ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების მოქმედებას.

თუ გავაღვივებთ თვალს მთელ პროცესს, რომლის ობიექტური შედეგი საქართველოს გაერთიანებაა, დავინახავთ, რომ ეს პროცესი ჯერ ცალკეულ კუთხეებში იწყება. არაბთა და ბიზანტიელთა უღელქვეშ მოქცეული საქართველოს სხვადასხვა მხარე მათ წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროებად ეწყობა. ბიზანტია-არაბებთან ბრძოლის პარალელურად ეს სამთავროები ერთმანეთს ებრძვიან პირველობისათვის.

ქართული ფეოდალური მონარქია ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარებისა და მისი

განმტკიცების საფეხურზე ჩამოყალიბდა. ამავე დროს, ჯერ ქვეყნის გაერთიანება, ხოლო შემდეგ ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქვეყნის ფეოდალურ ძალებსა და სისტემას ემყარება, რაც საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ თავისებურ მხარეს წარმოადგენს. ფეოდალთა კლასი მთლიანად, რომელსაც სათავეში მეფე უდგას, ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვის, რასაც მისი კლასობრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები განსაზღვრავს. მაგრამ იგივე ფეოდალთა კლასი, განსაკუთრებით, და, უპირატესად, მისი ზედაფენა, დიდებული აზნაურების სახით, მძიმედ განიცდის საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას, რაც ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების დამყარებას ერთვის თან და ამდენად, დიდებულ აზნაურთა გარკვეული დაჯგუფებები თუ ცალკეული დიდებული აზნაურები პიროვნულად, გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიან. იმავე დიდებულ აზნაურებში წარმოდგენილია როგორც პროგრესული, ასევე რეაქციული ფრთაც, რომლის პოზიცია საზოგადო და პირადული ინტერესებითაა განპირობებული.

ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება ქრისტიანულ რელიგიას.

ქრისტიანობის გაერცვლება ადრეულ საფეხურებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხელს უწყობდა აღმოსავლური ქართული ტომების გაერთიანებას. შემდგომ ეტაპზე კი დასავლურქართული ქრისტიანობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, "გაქართველება" წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დასაკავშირებლად.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. იმ დროს, როდესაც ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად იმთავითვე ყველა ესენი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, თუ უფრო ადრე არა, X ს. შუა წლებში, უკვე გაერთიანებულია სრულიად საქართველოს ეკლესიასთან. ამდენად, ქართული ეკლესია, ძირითადად, გაერთიანების ხელშემწყობი ძლიერი ფაქტორის როლში გამოდის.

საკანძო სიტყვები: ცენტრალიზაცია, პროგრესული, დასაქსულობის ლიკვიდაცია, კულტურული აღმავლობა, მძლავრი აღმავლობა.

საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ქვეყნის ეკონომიური განვითარება იყო. საერთო-ეკონომიური აღმავლობა, კერძოდ, ცალკეული რაიონების დაწინაურება მეურნეობის სხვადასხვა დარგში, დღის წესრიგში აყენებდა ქვეყნის გაერთიანების საკითხს. მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე, ფეოდალური ეკონომიკის განუსაზღვრელი ბატონობის პირობებში, ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის აუცილებელი პირობა იყო ისეთი დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა, რომელიც შექმნებდა ძირითადი საზოგადოებრივი ფენების ინტერესების ერთი მიზნისაკენ მიმართვას. ასეთი ფაქტორის როლში კი ამ დროს საქართველოს ისტორიაში საგარეო საშიშროების საფრთხე გამოდიოდა.

როგორც ცნობილია, საქართველო გამუდმებულ შემოტევებს განცდიდა დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი ბიზანტიის, არაბების, ხაზარებისა თუ სხვა დამპყრობთაგან. უადრესად მძიმე საგარეო ვითარება საქართველოს წინაშე გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის საკითხს აყენებდა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან მისი განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუერთიანებელ საქართველოს, ერთი მხრივ, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიის. საქართველოს საბოლოო გაერთიანება კი თურქ-სელჩუკთაგან საქართველოს გაწმენდას გულისხმობს. ამდენად, საგარეო საშიშროების ფაქტორი, ე.ი. უცხოელ დამპყრობთაგან თავდაცვის აუცილებლობა, აჩქარებს ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების მოქმედებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარეშე მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა საგრძნობლადაა გაადვილებული, აგრეთვე, ხელსაყრელი საგარეო ვითარებით, სახელდობრ, არაბებისა და ბიზანტიის შედარებითი დასუსტებით.

თუ გავადევნებთ თვალს მთელ პროცესს, რომლის ობიექტური შედეგი საქართველოს გაერთიანებაა, დავინახავთ, რომ ეს პროცესი ჯერ ცალკეულ კუთხეებში იწყება. არაბთა და ბიზანტიელთა უღელქვეშ მოქცეული საქართველოს სხვადასხვა მხარე მათ წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროებად ეწყობა. ბიზანტია-არაბებთან ბრძოლის პარალელურად ეს სამთავროები ერთმანეთს ებრძვიან პირველობისათვის.

X ს. საქართველოს გაერთიანებას, პირველ რიგში, აპირობებს ეკონომიური აღმავლობა, ამის შემდეგ კი ძირითადი საზოგადოებრივი კლასების დარაზმვა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, რაც კლასობრივი და ეროვნული მომენტითაა შეპირობებული, ხოლო ქვეყნის გაერთიანების პროცესს აჩქარებს უშუალო საგარეო საფრთხის არსებობა.

ფეოდალური ქვეყნების გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის შექმნის პროცესი მსოფლიო-ისტორიული მასშტაბით, ძირითად ხაზებში საერთო მოვლენებით ხასიათდება. მაგრამ ამავე დროს, ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი თავისებურებანი გააჩნია, რაც კონკრეტულ- ისტორიული მოვლენებითაა განპირობებული.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ, თუ გაერთიანება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, აქ განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყის ხანას ემთხვევა, ქვეყნის შემდგომი ცენტრალიზაცია და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნა ჩვენში უფრო ჩქარდება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცენტრალიზებული მონარქიები საბოლოოდ ძირითადად გვიანდელი ფეოდალიზმის საფეხურზე ყალიბდებიან, ხოლო ჩვენში ასეთი ტიპის მონარქია განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე შეიქმნა და ისიც მრავალერიანი სახელმწიფოს სახით.

ქართული ფეოდალური მონარქია ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარებისა და მისი განმტკიცების საფეხურზე ჩამოყალიბდა. ამავე დროს, ჯერ ქვეყნის გაერთიანება, ხოლო შემდეგ ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქვეყნის ფეოდალურ ძალებსა და სისტემას

ემყარება, რაც საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ თავისებურ მხარეს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი თავისებურებაა გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში ქალაქებისა და მოქალაქეთა ფენის შედარებით სუსტად განვითარება. მართალია, ამდროინდელი ქალაქები აქტიურად მონაწილეობენ ამ პროცესში, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ გაერთიანებისათვის ბრძოლის წარმმართველ ძალას.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების თავისებურებად მიგვაჩნია აგრეთვე ის გარემოება, რომ განსხვავებით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი უმრავლესობისაგან, სადაც ქვეყნის დანაწევრებული ნაწილების გაერთიანება ერთი ცენტრის გარშემო მიმდინარეობს და გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლასაც მეტ-ნაკლებად პოლიტიკური ცენტრი ხელმძღვანელობს. ქართველი ხალხის ბრძოლა არაბი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ პერიფერიებში იწყება და აქვე ისახება დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესი. ხლად შექმნილი სამეფო-სამთავროები ბრძოლას აწარმოებენ ქვეყნის ცენტრალური რაიონისათვის და "მეფის" ხელისუფლებაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ძირითადი რაიონების გაერთიანების შემდეგ იქმნება.

პოლიტიკური დაქსაქსულობის ლიკვიდაცია და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, ისტორიული პროცესის განვითარების თვალსაზრისით, პროგრესული მოვლენა იყო. ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქმნიდა პირობებს შემდგომი ეკონომიური განვითარებისა და კულტურული აღმავლობისათვის. "ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება საზოგადოებრივი ურთიერთობის დაწინაურების შედეგად იყო და თან იყო პირობა ამ საზოგადოების შემდგომი წინსვლისა". IX — X საუკუნეებში საქართველოს საზოგადოებრივი კლასების დამოკიდებულება გაერთიანების საკითხისადმი გარკვეულად განსაზღვრავდა ამ პროცესს. გაერთიანების ხანისათვის ქართული აზნაურობა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთფეროვან სოციალურ ფენას, რის შესაბამისადაც აზნაურების

ცალკეულ კატეგორიათა ინტერესები და დამოკიდებულება აღნიშნული პროცესისადმი ყოველთვის ერთნაირი არ იყო.

ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა მთლიანად აზნაურობის კლასობრივი ბატონობის განმტკიცების მიზანსაც ემსახურებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IX — X საუკუნეებში თავისუფალ მწარმოებელთა ძირითადი მასის დაყმევების პროცესი მიმდინარეობს, რაც კლასობრივი ბრძოლის გამძაფრებას იწვევს. ასეთ ვითარებაში აზნაურობისათვის ძნელდება საკუთარი აზნაურული უფლებების დაცვა-განმტკიცება. მას ესაჭიროება ძლიერი მხარდაჭერი და დასაყრდენი ცენტრალური ხელისუფლების სახით. აღნიშნული კლასობრივი ინტერესი მთელ ფეოდალთა კლასს გამაერთიანებელი ძალის ირგვლივ რაზმავს და გაერთიანებისათვის მეგრძოდ ძალას ქმნის.

გაერთიანებისათვის მეგრძოლი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენ ძალას საქართველოს მწარმოებელი საზოგადება წარმოადგენს. მართალია, მწარმოებელი საზოგადოება ამ ხანაში ძლიერ განიცდის ფეოდალური ექსპლოატაციის სიმძიმეს და იბრძვის კიდევ მის წინააღმდეგ, მაგრამ ქართველი მწარმოებელი საზოგადოებისათვის, როგორც ჯერ კიდევ თავისუფალი, ისე დაყმევებული, ან დაყმევების პროცესში მყოფისათვის, მიიმეა გარეშე ძალის უღელიც (სახალიფო, ბიზანტია). ის დიდი გადასახადები, რაც განსაკუთრებით საარაბო ხარკის სახით აწევებოდა მოსახლეობას და გარეშე მტრების ხშირი შემოსევების სიმძიმე, აერთიანებდა და რაზმავდა ამ ძალას ცენტრალური ხელისუფლების გარშემო გარეშე მტრის განსადევნად. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ქართველი მწარმოებელი საზოგადება ძალიან აქტიურ ძალას წარმოადგენდა და ეს აქტიურობა მისი რეალური მდგომარეობით იყო განპირობებული.

ამდენად, როგორც ვხედავთ, საკუთარი მისწრაფებები აერთიანებენ ამ ეტაპზე ძირითადი საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს და მათ საერთო მიზნისაკენ, სახელდობრ, ქვეყნის გაერთიანებისაკენ მიმართავენ. აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს მნიშვნელოვან წინააღმდეგობათა არსებობას და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის ამა თუ იმ

ანტაგონისტური და ქვეყნის გაერთიანებისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფებების არსებობას.

ფეოდალთა კლასი მთლიანად, რომელსაც სათავეში მეფე უდგას, ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვის, რასაც მისი კლასობრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები განსაზღვრავს. მაგრამ იგივე ფეოდალთა კლასი, განსაკუთრებით, და, უპირატესად, მისი ზედაფენა, დიდებული აზნაურების სახით, მიიმედა განიცდის საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას, რაც ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების დამყარებას ერთვის თან და ამდენად, დიდებულ აზნაურთა გარკვეული დაჯგუფებები თუ ცალკეული დიდებული აზნაურები პიროვნულად, გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიან. იმავე დიდებულ აზნაურებში წარმოდგენილია როგორც პროგრესული, ასევე რეაქციული ფრთაც, რომლის პოზიცია საზოგადო და პირადული ინტერესებითაა განპირობებული. ყოველივე აღნიშნული ფეოდალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლინებაა.

ფეოდალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი გარკვეულად აფერხებენ საქართველოს გაერთიანების საქმეს, ხელს უშლიან მას.

მაგრამ, რადგან საერთო ინტერესი უფრო ძლიერი და დიდია, ამდენად ეს საერთო ინტერესი აერთიანებს ძირთად საზოგადოებრივ ფენებს და მათ შესაძლებლობას ერთი მიზნისაკენ მიმართავს. ეს გარემოება, შეპირობებული საქართველოს ფეოდალური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობით, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პირობას ქვეყნის გაერთიანებისათვის.

გარკვეულ როლს საქართველოს გაერთიანების საქმეში ეროვნული ერთიანობის შეგნებაც ასრულებდა. ეროვნული და კულტურული ერთობა შეპირობებულია ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობით.

ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რომლის საწყისები უკლასო საზოგადოების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის საფეხურს უკავშირდება, თავის საბოლოო ფორმირებას სწორედ ადრეფეოდალურ ხანაში ამთავრებს.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესს თან ერთვოდა საქართველოს ფეოდალურ-კულტურული

გაერთიანების პროცესი და ერთიანი ქართველი ხალხის საბოლოო ფორმირება.

ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება ქრისტიანულ რელიგიას.

ქრისტიანობის გავრცელება ადრეულ საფეხურებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხელს უწყობდა აღმოსავლური ქართული ტომების გაერთიანებას. შემდგომ ეტაპზე კი დასავლურქართული ქრისტიანობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, "გაქართველება" წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დასაკავშირებლად.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში თავიდანვე ბერძნული ეკლესია გაბატონდა. საეკლესიო მღვდელმსახურებაც ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. მაგრამ დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ეკლესიასა და ბერძნულ ენას იმთავითვე უპირისპირდებოდა ქართული ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს სახით ეგრის-აფხაზეთის მეფეების თავიდანვე აშკარად გამიზნული ზოგად-ქართული პოლიტიკა მხარს უჭერდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფას და ამ ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსო ტახტისადმი დაქვემდებარებას. როგორც უკვე აღნიშნულია, X ს. დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთას დაექვემდებარა და დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა, მღვდელმსახურებით ქართულ ენაზე.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. იმ დროს, როდესაც ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად იმთავითვე ყველა ესენი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, თუ უფრო ადრე არა, X ს. შუა წლებში, უკვე გაერთიანებულია სრულიად საქართველოს ეკლესიასთან. ამდენად, ქართული ეკლესია, ძირითადად, გაერთიანების ხელშემწყობი ძლიერი ფაქტორის როლში გამოდის.

ასეთ რეალურ პირობებში შემუშავდა ქართლის ერსიმთავრის იოანე მარუშიძის და მისი მომხრე მოწინავე ქართველების გეგმა, რომელიც "ყოველი საქართველოსთვის" ერთი ხელისუფლის — მეფის ყოლას თვლიდა საჭიროდ და

აუცილებლად. შემთხვევითი გარემოება არ არის, რომ მათი არჩევანი სწორედ ბაგრატ ბაგრატიონზე შეჩერდა. გარდა საკუთარი ინტერესებისა, აუცილებელი იყო მეფობის კანდიდატისათვის გამეფების კანონიერი საფუძვლის არსებობა. როგორც ცნობილია, დედის ხაზით მას "აფხაზთა მეფობა" მოსდგამდა, მამის ხაზით "ქართველთა მეფობა", ხოლო დავით კურაპალატის შვილობილობით დავითის მემკვიდრეობა. ასე რომ, ბაგრატ ბაგრატიონი მემკვიდრეობით იღებდა საქართველოს დიდ ნაწილს. ბაგრატი თავის პიროვნებაში საქართველოს ცალკეული კუთხეების ერთიანობის იდეას ახორციელებდა.

ბაგრატს, გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს, განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობის დაწყება. ის იბრძოდა ქართლის შემომტკიცებისათვის, კახეთისა და აფხაზეთისათვის (დასავლეთ საქართველოსათვის), სადაც მას, ჩანს, თავისი მფლობელობის კანონიერების დასაბუთება ესაჭიროებოდა; ამისი მაუწყებელია ე. წ. აფხაზეთის "მეფეთა დივანი", რომელიც უნდა იყოს ისტორიული მემორანდუმი, რითაც ბაგრატ III ხაზს უსვამს თავის მემკვიდრეობით უფლებებს და კავშირს დასავლურქართულ დინასტიასთან.

ლიტერატურა:

References

1. n. berZeniSvili da sxv. saqarTvelos istoria, I, Tb. 1946;
2. s. janaSia, Sromebi, II, Tb. 1952;
3. qarTlis cxovreba, s. yauxCiSvilis gamocema I, 1955;
4. qarTuli samarTlis Zeglebi, w. III Tb. 1970;
5. saqarTvelos istoriis narkvevebi, tomi II, Tb. 1973;

Lia Nebieridze

Structure of Governing of Feudal Royal-Supremacies (In VIII–IX c.c.)

Summary

One of the main foundations of unification of Georgia was economic development of the country. The common economic upheaval, in particular the advance of the separate regions in various fields of economy stated in the agenda the country unification. However on this stage of development in conditions of infinite masters of feudal economy the necessary condition of creation of the sole centralized

monarchy was existence of such accelerated factor which could direct the public interests towards one target. But in this factor's role while that period of Georgian history might be considered the external threat.

Fighting for unification went on simultaneously with liberation movements from the Arabs and Byzantine yoke. Even upon unification stage when this process had not been completed Georgia had to fight with Turk-Selchuks on one side and on the other side with Byzantis. Final unification of Georgia means cleaning from Turk-Selchuks. Therefore, the external threat factor that is necessity to defend the country from foreign occupants accelerated the unification forces in the country.

If we follow the whole process which resulted in unification of Georgia we will witness that this process at first started in separate places. The various spots being under Arabs and Byzantine yoke started battles against conquerors and formed independent feudal supremacies. Simultaneously with fighting against Arabs and Byzantine, the supremacies were struggling with each other for priority.

Georgian feudal monarchy was formed on the stage of raise of feudal relations and its strengthening. At the same time, at first the country unification and then centralization of power is supported by feudal forces and the system that represent one of the peculiar side of Georgia's unification. The feudal class in a whole under leadership of the King struggled for establishment of strong feudal state that is defined by its class and the state interests. However the same feudal class, especially its upper stratum represented by upgrade noblemen experienced hardly limitation of their rights and independence, that is accompanied by establishment of the strong centralized power and so the groups of the high nobles or the separate noblemen personally performed against unification. Among the same noblemen are either progressive or reaction wings the position of whom was conditioned by general and personal interests. According of all above mentioned, the national unity consciousness played the certain part in unification of Georgia. National and cultural unity is supported by economic and political unity.

One of the important factors in the national consolidation should be attributed to the Christian religion.

Spread of Christianity at the earliest stages in the Eastern Georgian Mtianeti promoted unification of mountainous tribes. Then it was followed by Western Georgia Christianity, so-called "making Georgian" represented one of the most important condition in the

process of unification of feudal Georgia for communication of Eastern Georgia with Western Georgia.

Political unification of Georgia was preceded by Ecclesiastical unification. While Tao-Klarjeti, Kakheti, Hereti were represented by political units, they were under subordination of the Mtskheta supremacy in Ecclesiastical way. Although the Church of Western Georgia and even before than in middle of X century had been united with All-Georgian Church. Therefore, the Georgian Church performs the ultimate part in unification.

Keywords: Centralization, liquidation of separation, cultural upheaval, strong rise.

Reviewer: Professor Temur Todua, Georgian Technical University

Небиеридзе Лия Геннадиевна

Структура управления феодальных поместий (VIII-IX в.в.)

Резюме

Одним из основных фундаментов объединения Грузии было экономическое развитие страны. Международно-экономический подъем, в частности преуспевание отдельных районов в разных отраслях хозяйства ставило на повестку дня вопрос объединения страны. Однако на этом этапе развития в условиях безграничного господства феодальной экономики для объединения страны и создания единой централизованной монархии необходимо было существование такого ускоряющего фактора, который смог бы направить интересы основных слоев общества на одну цель. В роли такого фактора в то время выступала угроза со стороны внешних сил.

Борьба за объединение Грузии и освобождение от арабского и византийского ига происходило параллельно. Даже еще не до конца объединенной Грузии продолжалась борьба против турков сельчуков, а с другой стороны с Византией. Окончательное объединение Грузии означало освобождение от турков-сельчуков Ефлшь образом, фактор внешней угрозы т.е. необходимость обороны от иностранных захватчиков ускоряет действия освободительных сил страны.

Если мы понаблюдаем за всем процессом, в результате которого произошло объединение, мы заметим, что этот процесс начинается в отдельных местностях. Различные уголки Грузии находившиеся под игом арабов и византийцев начинают против

них борьбу. и устанавливают отдельные правления. Парралеоьно с борьбой против арабов и византийцев происходят феодальные междоусобицы и борьба за первенство.

Грузинская феодальная монархия была сформирована на стадии развития феодальных отношений и ее укрепления. В то же время объединение страны и затем централизация власти опирается на феодальные власти и систему, что представляет своеобразную сторону объединения Грузии. Феодальный класс под предводительством царя борется за создание сильного феодального государства, что определяет его государственные и классовые интересы. Но класс тех же самых феодалов, в особенности и в большинстве его высшие слои, представленные дворянами тяжело переживает ограничения собственных прав и независимости, что сопровождается установлением централизованной власти и постольку определенных группировок и отдельных дворян. Их позиция обусловлена общественными и личными интересами. Все обозначенные внутреннего сопротивления феодализма играла роль выполняла в объединении Грузии идея национального единства. национальное и культурное единство обоснованно экономическим и политическим единством.

В процессе консолидации грузинского народа большая роль отдана христианской религии.

Распространения христианства в восточной горной Грузии, в раней стадии способствовало объединению восточных грузинских томов. На следующем этапе западно-грузинского христианство, если можно так их назвать, “грузинизация” представляла одну из важных условий в процессе феодального объединения Грузии для связи западной и восточной Грузии.

Политического объединения Грузии опережала церковное объединение. В то время как Тао-Кларджети, Кахети, Херети представляли собой независимых политическими единицами, в то же время церковно все они принадлежали Мцхетскому трону, а церковь западной Грузии в середине X века если не еще раньше уже была объединена с церковью всей Грузии. Поскольку Грузинская церковь в основном имеет огромную роль способствующему фактору объединения.

Ключевые слова: Централизация, прогресивный, ликвидация сепаратизма, культурный подъем, сильный подъем.

Рецензент: профессор Тодуа Темур Тариелович, Грузинский технический университет

ე კ ო ნ ო მ ი კ ა

ანზორ აბრალავა ეროვნული ეკონომიკის მართვა გლობალიზაციის ეპოქაში

რეზიუმე

გლობალიზაცია აიძულებს მთავრობებს, თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკა მეზობელი ქვეყნებისა და პოტენციური კონკურენტების სურვილებსა და მოთხოვნებებს მიუსადაგონ.

გლობალიზაციის პროცესები უშუალოდ ეხებიან ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ზღუდავენ მის შესაძლებლობებს. საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც ჩვენს დროში სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნების მდგომარეობას, აღარ ვრცელდება ეროვნული მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების იურისდიქცია, მათი ეკონომიკური პოლიტიკა. ამიტომ ამ პოლიტიკის ჩვეულებრივი საშუალებები შესუსტებულია, არ მოქმედებს საერთოდ ან სულაც მოულოდნელ შედეგებს იწვევს. საერთაშორისო ფაქტორები აქვეითებენ სახელმწიფო გადაწყვეტილებებისა და ეროვნულ ჩარჩოებში გატარებული ზომების ეფექტიანობას. აქედან იღებს სათავეს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკათა კოორდინაციის აუცილებლობა.

საბაზრო პროცესების კოორდინაციაში ძირითადია ეკონომიკური მეთოდები, რადგან სწორედ ისინი ეყრდნობა ადამიანთა ყველაზე უფრო სისხლხორცეულ მოთხოვნებს და ამით გააჩნია ყველაზე მეტი მასტიმულირებელი თვისებები.

იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულების ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების გლობალიზაცია იქცა, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ცალკეულ ქვეყნებზე და მათ სახელმწიფო მართვაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასებას.

არსებობს მჭიდრო კავშირი სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობასა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას შორის, ანუ სახელმწიფო მართვა ეროვნული კონკურენტუნარიანობის არსებითი ფაქტორია.

სახელმწიფოს უდიდესი როლი აკისრია გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესების რეგულირებაში და როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ მიზნებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, სახელმწიფო გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა, საბაზრო ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, ინტეგრაციის მართვა.

გლობალიზაციის პროცესები უშუალოდ ეხებიან ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ზღუდავენ მის შესაძლებლობებს. საერთაშორისო ეკონომიკაზე, რომელიც ჩვენს დროში სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნების მდგომარეობას, აღარ ვრცელდება ეროვნული მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების იურისდიქცია, მათი ეკონომიკური პოლიტიკა. ამით გლობალიზაცია იმის საშიშროებას ქმნის, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის კონტროლი შესაძლოა სუვერენული მთავრობებიდან სხვის ხელში გადავიდეს. ეს შეიძლება იყოს უფრო ძლიერი სახელმწიფოები, მრავალეროვნული ან გლობალური კორპორაციები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. გამორიცხული არაა, რომ ამგვარი რამ საბოლოოდ შესაძლოა სერიოზულ კონფლიქტებში გადაიზარდოს. [1]

გლობალიზაცია პირველ რიგში ნიშნავს ეროვნულ ეკონომიკებს შორის ბარიერების დაწვეასა და მოშლას. იგი საბაზრო ძალებს ემორჩილება და არა სახელმწიფოთა ძალისხმევას. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალის მოსახიდად და უახლესი ტექნოლოგიების დასანერგად სახელმწიფოებმა მკაცრად უნდა დაიცვან ბაზრის ზოგადი წესები: ბიუჯეტის დაბალანსება, ეკონომიკის პრივატიზაციის, ინვესტიციებისა და საბაზრო ნაკადების მიმართ კარგახსნილობის პოლიტიკა, ვალუტების სტაბილურობა. გლობალიზაცია აიძულებს მთავრობებს, თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკა მეზობელი ქვეყნებისა და პოტენციური კონკურენტების სურვილებსა და მოთხოვნილებებს მიუსადაგონ. ინტენსიური კონკურენციის ვითარებაში სახელმწიფოთა მხოლოდ მცირე ჯგუფს თუ შეუძლია ჰქონდეს რამდენადმე დამოუკიდებელი

სავალუტო პოლიტიკა და ერთგვარი ეკონომიკური თვითმყოფადობა შეინარჩუნოს. [2]

ბუნებრივია, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ჩვეულებრივი საშუალებები (ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროებში, ასევე, შრომითი და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარგშიც კი) შესუსტებულია, საერთოდ არ მოქმედებს ან სულ სხვა, დაუკავმავე შედეგებს იწვევს. საერთაშორისო ფაქტორები აქვეითებენ სახელმწიფო გადაწყვეტილებებისა და ეროვნულ ჩარჩოებში გატარებული ზომების ეფექტიანობას. აქედან იღებს სათავეს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკათა კოორდინაციის აუცილებლობა, ხოლო თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელი ხდება სახელმწიფო რეგულირების მრავალფეროვანი ღონისძიებების გარეშე.

საბაზრო პროცესების კოორდინაციაში ძირითადია ეკონომიკური მეთოდები, რადგან ისინი ეყრდნობა ადამიანთა ყველაზე უფრო სისხლხორცეულ მოთხოვნილებებს და ამის გამო გააჩნია ყველაზე ძლიერი მასტიმულირებელი თვისებები. გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო მწვავედება ქვეყნების უსაფრთხოების საჭიროებები და სოციალური პრობლემები (უმუშევრობა, სოციალური უზრუნველყოფა, ფასების რეგულირება და ა.შ.), რომელთაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება. ამიტომ ყველა ქვეყნისთვის აქტუალური ხდება ეკონომიკის რეგულირება, უპირველეს ყოვლისა კი – სახელმწიფო სექტორისა.

ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი ყველაზე კარგად ავსტრიაში განვითარდა. მეურნეობის მრავალ დარგში მისი წილი 75%-ს აღემატება. ამის მსგავსი ვითარებაა საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერ-ში, ნიდერლანდებში, იტალიასა და შვედეთში. ბევრ ქვეყანაში ბოლო ხანს გავრცელდა (ნაირგვარ დოტაციებთან ერთად) ფარული სუბსიდიები, როცა სახელმწიფო, მაგალითად, ზღუდავს რაიმე საქონლის იმპორტს ან ბაუს ადებს მას. ამ წესით ამერიკელი, ფრანგი, კანადელი და სხვა მწარმოებლები მხარდაჭერას იღებენ საზღვარგარეთელ კონკურენტებთან ბრძოლაში.

სახელმწიფო აქტიურ როლს თამაშობს შემოსავლების განაწილების საქმეშიც. აშშ-ის ჯამურ სახელმწიფო

ხარჯებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს სოციალურ დაზღვევას, თავდაცვასა და ვეტერანების დახმარებას, განათლებას და ღარიბების შემწეობებს (8-დან 28%). წარმოებაზე გაცემული სუბსიდიები სულ 3%-ს აღწევს.

სახელმწიფოს გამოცდილება გვინგნებს, რომ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის მიმართ გამოყენებული მიდგომები არასტანდარტული და არაშაბლონურია. ეს სექტორი ვრცელდა საბერძნეთში, იტალიასა და საფრანგეთში, თითქმის არაა იაპონიასა და ლუქსემბურგში; ნიდერლანდებში მხოლოდ მცირერიცხოვან დარგებსა და მეურნე სუბიექტზეა კონცენტრირებული, პორტუგალიაში კი მთელ ეკონომიკაზეა განაწილებული, შვედეთსა და საფრანგეთში დიდი ეფექტიანობით გამოირჩევა, ბელგიასა და აშშ-ში ეფექტიანი არაა და ა.შ. ასე, რომ ყველგან მოქმედებს კონკრეტული ეროვნული მოდელი, მთავარი კი რეალიზაციის წარმატებაა. [3]

იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულების ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების გლობალიზაცია იქცა, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ცალკეულ ქვეყნებზე და სახელმწიფო მართვაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასებას. დადგენილია, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი სახელმწიფო მართვის ეფექტიანობასა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას შორის, ანუ სახელმწიფო მართვა ეროვნული კონკურენტუნარიანობის არსებითი ფაქტორია.

მაგალითად, განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IND,ლოზანა შვეიცარია) სპეციალისტების დასკვნით, ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნულ მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობაზე გავლენას ახდენს აგრეგირებული ფაქტორების შემდეგი ოთხი ჯგუფი:

- ეკონომიკის ფუნქციონირება;
- სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა;
- ბიზნესის ეფექტიანობა;
- მეურნეობის ინფრასტრუქტურა.

ამ ჩამონათვალში სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის აგრეგირებული ფაქტორი თავის მხრივ შემდეგ ქვეფაქტორებს აერთიანებს: სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო ინსტიტუტები, მწარმოების საკანონმდებლო რეგულირება და განათლება

(საგულისხმოა, რომ საყოველთაო უმაღლესი განათლების შემოღება თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესის ახალი ტენდენციაა, რომელსაც წარმატებით სცდიან იაპონიასა და შვედეთში). უნდა ითქვას, რომ სწორედ სახელმწიფო მართვის ფაქტორი გვიჩვენებს იმ დონესა და ხარისხს, რომლითაც სახელმწიფო პოლიტიკა უწყობს ხელს კონკურენციასა და კონკურენტუნარიანობას. ამასთან, სახელმწიფო მართვამ უნდა განსაზღვროს არა მარტო ცალკეული ბაზრებისა და მწარმოებლების, არამედ შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობაც. საუბარია ე.წ. “დაგროვილ ადამიანისეულ კაპიტალზე”, რაც დიდ მნიშვნელობას სძენს განათლების ქვეფაქტორს. IMD-ის ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მთელი სახელმწიფოს, მისი ცალკეული ფირმებისა და ინდივიდების კონკურენტუნარიანობა იმ კონკურენტუნარიანობის ყველაზე უფრო ფუნდამენტური ფაქტორია, რომელსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნისა და დაგროვების თვალსაზრისით განვიხილავთ ხოლმე. [4]

დღეისათვის ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს მსოფლიოში გაბატონებულია ეკონომიკური განვითარების ანგლოსაქსური მოდელი. თუმცა, კვლავაც უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება მაღალკონკურენტულ ბიზნეს-გარემოსა (ანგლოსაქსური მოდელი) და ქვეყნის შიგნით სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას (ჩრდილო ევროპული მოდელი) შორის წონასწორობის მიღწევა. ამ ორი მოდელის შეხამებაში (“მესამე გზა”) ნაყოფიერ მიდგომას ავლენს ნიდერლანდები, რის ათვისებაც დღეს დიდი ბრიტანეთი და ახალი ზელანდია ცდილობენ.

საყურადღებოა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ამ საუკუნის დასაწყისში წინა პოზიციებზე იყვნენ სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლით (სინგაპური, ფინეთი, აშშ, ჰონკონგი), 2005-2006 წლებში ასევე პირველები აღმოჩნდნენ უკვე კონკურენტუნარიანობის რეიტინგით (აშშ, ჰონკონგი, სინგაპური, ისლანდია, დანია, ფინეთი).

ამასთან, ზოგიერთი ქვეყნების მთავრობები და მათი სახელმწიფო მართვა, პირიქით, საფრთხესაც კი უქმნის საკუთარი ქვეყნების კონკურენტუნარიანობას. ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე სახელმწიფო მართვის გავლენის

ხასიათის მიხედვით ცალკეული ქვეყნები პირობითად სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

1. დადებითი გავლენის მქონე;
2. "დაბალანსებული" გავლენის მქონე და
3. უარყოფითი გავლენის მქონე ქვეყნები.

პირველ ჯგუფში საუკეთესოდაა აღიარებული ფინეთი და დანია, რომლებსაც ნორვეგია, ავსტრია, ისლანდია და ჰონკონგი მოსდევენ; მეორეში – შვედეთი, ნიდერლანდები, სინგაპური, გერ და იაპონია, ხოლო მესამე ჯგუფში ისეთი რანგის ქვეყნების გვერდით, როგორც ვენესუელა, არგენტინა, ბრაზილია და მექსიკაა, მოხვდნენ, ასევე, იტალია, საფრანგეთი და აშშ. იტალიის შემთხვევაში ამგვარი შედეგი ეკონომიკური ზრდის შეჩერებამ განაპირობა, საფრანგეთისა და აშშ-ის კი – ბიუჯეტის დეფიციტმა და ვალებმა.

ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში სახელმწიფო მართვა პრინციპულად ახალ როლს იძენს. რთულდება სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები. შეუძლებელი ხდება იმ პირთა დაბეგვრა, რომლებიც ფულს ინტერნეტში შოულობენ (ამ პრობლემაზე უკვე მუშაობს ევროკავშირი). მეორე დიდი პრობლემაა კონფიდენციალობის საკითხი. მართლაც, თანამედროვე ტექნოლოგიები თავსატეხს უჩენენ ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რადგან ამ ტექნოლოგიებს ამჟამად ჰაკერები და ტერორისტებიც წარმატებით იყენებენ.

ამგვარად, გლობალურ კონკურენტულ სივრცეში სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა საგრძნობლად იცვლება. იგი კვლავინდებურად გვევლინება ქვეყნის ინფრასტრუქტურის გარანტად. ამავე დროს, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სახელმწიფო მართვის ის უნარი, რომ წინ აღუდგეს გლობალური მსოფლიო თანამეგობრობის საშიშროებასა და საფრთხეებს. გარდა ამისა, სახელმწიფომ წარმატებით უნდა მართოს ტექნოლოგიური ცვლილებები და ჩამოაყალიბოს ახალი საინფორმაციო ინფრასტრუქტურა.

ეკონომიკის არაერთი ექსპერტი განვითარების ტემპებზე სახელმწიფო მართვის ხარისხის გავლენის ფაქტორს მსოფლიო განვითარების წამყვან ტენდენციად (და თვით გლობალიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორადაც) კი მიიჩნევს. რაც შეეხება თვით ამ მართვის ხარისხს, აქ პირველ რიგში იგულისხმება მმართველი ჯგუფის

პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, სტრატეგულად აზროვნება და პროგნოზირების უნარი. [5]

ქვეყნების ეკონომიკური ხელმძღვანელობის ხარისხის საკითხი გლობალიზაციის ეპოქაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, ხარისხიანი და ეფექტიანი ეკონომიკური მართვისთვის კი, ჩვენი აზრით, ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს შექმნილი შემდეგი ძირითადი წინამძღვრები:

- სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგიის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის, მის შესახებ წარმოდგენებისა და შეთანხმებული პრინციპების არსებობა;

- იმ მმართველთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელთაც პროფესიული მომზადება და გამოცდილება აქვთ;

- მმართველ ჯგუფში პასუხისმგებლობის უნარის დამკვიდრება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას უკიდურესად ჭირდება მაღალპროფესიული, მაღალხეობრივი და ეროვნულად ორიენტირებული ელიტა.

გლობალიზაციის ვითარებაში სახელმწიფო მართვის კონტექსტში აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: რადგან სახელმწიფო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი სუბიექტია, გლობალიზაციის გამოწვევები პირველ რიგში სწორედ სახელმწიფოსკენაა მიმართული. ახალ გლობალიზებულ ეკონომიკურ სივრცეში ხდება მთელი რიგი ობიექტური პროცესები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ინსტიტუტზე აისახებიან. ასეთი პროცესების რიგში შეიძლება დავასახელოთ:

- სახელმწიფოს ბუნების ობიექტურად შეცვლა საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენით. სახელმწიფო მოწყობის ახალი მოდელის აქტიურად ძიება (“რეგულარებადი სახელმწიფო”; “რეცეპტული სახელმწიფო”; “ბიუროკრატიული” და “იერარქიული სახელმწიფოს” ნაცვლად);

- განუჭვრეტელობისა და რისკის დონის მატება სოციალური ცხოვრების ყველა პარამეტრის მიხედვით.

ამჟამად სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს დისკუსიები ეროვნული სახელმწიფოს მომავალი ბედის შესახებ. პროფესიონალთა ერთი ჯგუფი სახელმწიფოს კვდომის პროგნოზს აკეთებს, სხვები კი პირიქით –ისტორიულ

პროგრესზე მისი გავლენის გაძლიერებას ვარაუდობენ. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს ავტორიტეტის შემლახავი მრავალი მიზეზის მიუხედავად, სახელმწიფო უარს ვერ იტყვის სულ მცირე მის შემდეგ ოთხ მთავარ ფუნქციაზე მაინც:

1. ბაზარზე “თამაშის” წესების დადგენა;
2. ფულადი სისტემის საბაზო პარამეტრების კონტროლი;
3. ეროვნული ინტერესების შემუშავება და რეალიზაცია;
4. სამეურნეო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და ეროვნული ეკონომიკის მისაღებად გლობალური ეკონომიკური პროცესების დინამიკასთან. [6]

დღეს ბევრი სპეციალისტი აღიარებს იმას, რომ ანტიეკონომიკური შეტევის მთელი სერიოზულობის მიუხედავად და სწრაფი ტექნოლოგიური ინოვაციების საპირისპიროდ სახელმწიფოები გვიჩვენებენ მორგება – შეგუების მძლავრ პოტენციალს და დამატებით უპირატესობათა ათვისების დიდ უნარს. მრავლად არიან ისეთი ანალიტიკოსებიც, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ეკონომიკის ფუნქციონირების სახელმწიფო კონტროლის დონე ისე მაღალი არასდროს ყოფილა, როგორც XXI ს. დასაწყისში. ეს შეგვიძლია ავხსნათ როგორც ტერორიზმის საფრთხეებით, ისე ეკონომიკურ – ფინანსური კრიზისებითა თუ ტექნოგენური და ეკოლოგიური პრობლემებით.

თანამედროვე სახელმწიფო (როგორც ავტორიტარული, ისე დემოკრატიული) სულ უფრო ეფლობა პოსტმოდერნისტული ეპოქის სინამდვილეში. გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო მეტად უკარგავს მას ეფექტიანობას. ამიტომ საჭიროა იმ ახალი მოდელების მოძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი სისტემების სტაბილურობას და განვითარებას ახალ, შეცვლილ პირობებში.

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემა, მართალია, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დღეს ექსპერტები აშკარად ამჩნევენ იმის ნიშნებს, რომ მოდერნის შედეგ დამდგარი ეპოქა სათუოს ხდის თანამედროვე სახელმწიფოს შესაბამისობას ახალ რეალობებთან. 2008წ. დაწყებულმა კრიზისმა კიდევ ერთხელ ახადა ფარდა თანამედროვეობის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას

სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ეკონომიკური გლობალიზაციის მასშტაბებს შორის. იმ პირობებში, როცა მსოფლიო სამრეწველო წარმოების და საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის არსებითი ნაწილი ტნკ-ებზე მოდის, ბუნებრივადაა შეზღუდული ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების შესაძლებლობები. ამიტომ ბოლო ათწლეულებში ძალიან თვალში საცემი გახდა სახელმწიფო მართვის არსებული სისტემებით საყოველთაო უკმაყოფილება.

გლობალიზაციის ფარგლებში მიმდინარე პროცესების და, მთლიანად, ამ ფენომენის უპირატესობათა გამოყენების მიზნით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლება. დღეს სახელმწიფოს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესების რეგულირებაში და როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ მიზნებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფაში. მისი ეს პასუხისმგებლობა და როლი უნდა გამოვლინდეს:

- კლასიკური საზოგადოებრივი მომსახურების გაწევაში;
 - ბაზრების ზედამხედველობასა და მათი ნაკლოვანებების კორექციაში;
 - სოციალური დაცვის უზრუნველყოფაში;
 - იმ სფეროების ინვესტირებაში, რომლებშიც კერძო კაპიტალს არ აბანდებენ;
 - გარემოს დეგრადაციის გამოსწორებაში და სხვა.
- როგორც უკვე ვთქვით, სახელმწიფოს საქმიანობის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა მაკროეკონომიკური პოლიტიკა – ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, სრული დასაქმება და მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

ლიტერატურა:

References:

- 1.A. Abzalava, “Erovnuli ekonomika da globalizacia” “inovacia”, Tbilisi, 2005.(Georgian)
- 2.J. V. Jakovec, “Globalizacia i transformacia mirovoi ekonomiki”.SPb. Izdatelstvo SPb GUEF, 2004. (Russian)

3. A.V. Artemov., A. V. Brykin., V. A. Shumaev. “Modernizacia gosudarstvennogo upravlenia ekonomikoi”, - Ekonomist, 2008, №2. (Russian)
4. E.V. Drobot, “Aktualnoe voprosi gosudarstvennogo upravlenia v XXI veke: transformacia roli gosudarstva v usloviakh globalizacii”. Viborg 2007. (Russian)
5. S. Garelli, The World Competitiveness Landscape in 2006/IMD World Competitiveness Yearbook 2006 // <http://www.imd.ch>.
6. A.U. Podberezkin., A. V. Korovnikov. “Rossia i mir v period globalizacii”. M., “Finansovii control”, 2003 (Russian)
7. M.A. Muntian, “Globalizacia i ustoichivoe razvitie”. M.: Stupeni, 2003, (Russian)
8. O. Shabrov, “Effektivnost gosudarstvennogo upravlenia v usloviakh postmodernizma”. “Pozicia” 2010. (Russian)
9. G. Kubishina, “Kitai v usloviakh globalizacii”. Obozrevatel – Observer 11/ 2006 (Russian)

Anzor Abralava

Management of National Economy in the Era of Globalization

Summary

Globalization makes governments adjust their economic policies to the desires and needs of their neighboring countries and potential competitors.

The processes of globalization directly touch the national economic policy and restrict its potentials. The jurisdiction of national governments and central banks, their economic policy, no longer extend over market economy, which in our times more than ever determines the state of individual countries. Therefore, conventional measures of this policy are weakened, do not work at all or cause unexpected outcomes at all. International factors lower the efficiency of state-made decisions and the actions taken within the national framework. This gives rise to the need for coordination of economic policies of individual states.

In the coordination of market processes, of greatest importance are economic methods, for exactly they rest on the most vital needs of people, and this accounts for the most stimulatory features of these processes.

Due to the fact that globalization of the world economic relations has become the basic characteristic feature of the recent

decades, it is impossible to bypass assessment of its effects on individual states and their public administration, public and economy.

There is a close relationship between the efficiency of public administration and competitiveness of national economy, i. e. public administration is an essential factor of national competitiveness.

State plays the greatest role in the regulation of the process of integration into global economy, and in providing for its relevance to both, economic and social aims.

Keywords: globalization, national economic policy, international economy, efficiency of state-made decisions, market economy, competitiveness of national economy, management of integration.

Reviewer: Professor Parmen Lemonjava, Georgian Technical University

Абралава Анзор Григориенч

Управление национальным хозяйством в Эру Глобализации

Резюме

Глобализация заставляет правительства гармонизировать экономическую политику с потребностями и пожеланиями соседей и потенциальных конкурентов.

Процессы глобализации непосредственно затрагивают национальную экономическую политику, ограничивая ее возможности. Международная экономика, оказывающая все большее влияние на положение отдельных стран, находится вне юрисдикции национальных правительств, центральных банков и их экономической политики. Поэтому обычные средства этой политики действуют ныне в ослабленной форме, а то и вовсе не работают или приводят совсем к иным результатам. Международные факторы снижают эффективность государственных решений и мер, осуществляемых в национальных рамках. Отсюда объективная необходимость координации экономической политики отдельных стран.

В координации рыночных процессов основными надо считать экономические методы, поскольку они базируются на наиболее насущных человеческих потребностях и потому обладают самыми сильными стимулирующими свойствами.

Поскольку основной характеристикой последних десятилетий является глобализация мирохозяйственных связей,

невозможно оставить без внимания ее влияние на государство и эффективность государственного управления, на общество и экономику.

Существует тесная связь между эффективностью государственного управления и конкурентоспособностью национальной экономики: государственное управление является фактором национальной конкурентоспособности.

Государство играет важнейшую роль в управлении интеграцией в глобальную экономику и обеспечивает его соответствие и экономическим, и социальным целям.

Ключевые слова: глобализация, национальная экономическая политика, международная экономика, эффективность государственных решений, рыночная экономика, конкурентоспособность национальной экономики, управление интеграцией.

Рецензент: Профессор Лемонджава Пармен Бегиич, Грузинский технический университет

ბიორბი ბალათუშია
მერაბ ტაბატაძე
საქართველოს რეინიგზის მგზავრთა ბაღაყვანის
ფილიალი როგორც სახელმწიფო მართვის ობიექტი

რეზიუმე

სტატიაში ეხება შპს “საქართველოს რეინიგზის” საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად მიმართულებას, მგზავრთა გადაყვანას, რომელიც კომპანიაში ფილიალის სახითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, მოცემულია საქართველოს რეინიგზის მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ორგანიზაციულ-სამართლებრივი დახასიათება. აღწერილია ფილიალის “მგზავრთა გადაყვანას” საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მისი სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია - მოვალეობები, კომპეტენციები და მათი მოქმედების სფეროები.

პუბლიკაციაში განხილულია საქართველოს რეინიგზის მგზავრთა გადაყვანის ფილიალი როგორც სახელმწიფო მართვის ობიექტი. ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის მისია, მიზნები და ამოცანები. გაკეთებულია SWOT – ანალიზი, შესაბამისად მოცემულია საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საშიშროებები. გაანალიზებულია კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და აღნიშნულია, რომ ფილიალი “მგზავრთა გადაყვანა” თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის შესაბამისად, იერარქიის ფორმის მიხედვით წარმოადგენს “მაღალ ორგანიზაციას.” რადგან მისთვის დამახასიათებელია მაღალი ორგანიზაციული, პირამიდული ფორმის სტრუქტურა; უფლებამოსილების განაწილების მრავალი დონე; მართვის დონეების დიფერენციაცია (ტოპ-მენეჯმენტი, მიდლ-მენეჯმენტი, ლოვერ-მენეჯმენტი) და სხვ. ასევე, ფილიალისთვის მეტწილად დამახასიათებელია კონკრეტული მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების დროს, საკითხის შესწავლისა და დამუშავებისას ადამიანური და სხვა რესურსების ორგანიზების “პროდუქტის შემუშავების ჯგუფის სტრუქტურის” მეთოდის გამოყენება. სტატიაში აღნიშნულია, რომ ფილიალის დახასიათება დანაყოფური ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმის მიხედვით ვერ განხორციელდა, რადგან ამ ნიშნით ორგანიზაციის დახასიათებითვის საჭიროა კომპანია განვიხილოთ როგორც ერთიანი, მთლიანი სიტემა.

საქართველოს რკინიგზაში კი სამგზავრო გადაყვანები წარმოდგენილია ფილიალის სახით, შესაბამისად ის წარმოადგენს რკინიგზის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს. შპს “საქართველოს რკინიგზისთვის” კი, დანაყოფური ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმის თეორიის მიხედვით დამახასიათებელია “პროდუქტის სტრუქტურა”. ფილიალი “მგზავრთა გადაყვანა” განხილულია როგორც ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი და აღნიშნულია, რომ იგი არ წარმოადგენს ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემას. შესაბამისად გაანალიზებულია კომპანიის ორგანიზაციული გარემო, რომელით თავის მხრივ მოიცავს სამუშაო და საერთო გარემოს და მათ ზემოქმედების ფაქტორებს საწარმოს საქმიანობის შედეგებზე. კომპანიისა და ორგანიზაციული გარემოს კავშირის მაგალითად მოყვანილია წლების მიხედვით ფილიალის შემოსავლებისა და ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებლების თანაფარდობა და ამ მაჩვენებლებს შორის დადებითი კორელაციური კავშირის არსებობა. სადაც ნათლად ჩანს ქვეყნის ნომინალური მშპ-ის ირიბი ზემოქმედების ტენდენცია ფილიალის შემოსავლებზე. სატატიში ასევე, საუბარია პროგნოზირების მნიშვნელობაზე როგორც ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების უმნიშვნელოვანეს ელემენტზე და გაანალიზებულია შედეგების პროგნოზირებისას მიკრო და მაკრო გარემოს გათვალისწინების მნიშვნელობა.

საქართველოს რკინიგზის მგზავრთა გადაყვანის ფილიალისთვის როგორც სახელმწიფო მართვის ობიექტისთვის მოცემულია რეკომენდაციები პროგნოზირების მეთოდების გამოყენებისა და ორგანიზაციულ გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ უფრო მოქნილი და ადაპტური მართვის სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტის ობიექტი; მართვის სისტემა; ფილიალი “მგზავრთა გადაყვანა”; მისია; მიზნები; პროგნოზირება; ორგანიზაციული გარემო; სამუშაო გარემო; კომპანია; ორგანიზაცია; საწარმო; სატარიფო პოლიტიკა; SWOT ანალიზი; ტოპ-მენეჯმენტი; მიდლ-მენეჯმენტი; მარკეტინგი.

ფილიალის ორგანიზაციულ-სამართლებრივი დახასიათება

საქართველოს რკინიგზის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის კაპიტალის წილის 100%-იანი მფლობელი სახელმწიფოა. მის ღირებულებათა სისტემას წარმოადგენს – ერთიანობა, ეფექტურობა, პასუხისმგებლობა და სამართლიანობა. კომპანია ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით:

- ა) სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურება, მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვა;
- ბ) ახალი ხაზებისა და ობიექტების კვლევა-ძიება, პროექტირება და მშენებლობა;
- გ) არსებული მატერიალური რესურსების მიზნობრივად გამოყენება და მართვა;
- დ) სამხედრო-სარკინიგზო გადაყვანა-გადაზიდვის ორგანიზება და განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამგზავრო გადაყვანები, რომელიც წარმოადგენილია ფილიალის სახით და იწოდება, როგორც შპს “საქართველოს რკინიგზის” ფილიალი “მგზავრთა გადაყვანა”. ფილიალი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზებას უკეთებს სამგზავრო მატარებლებით მგზავრების გადაყვანას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და ასევე, მის ფარგლებს გარეთ კანონით დადგენილ ნორმებში; სამგზავრო ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკურ განვითარებას; მოძრავი შემადგენლობის (სამგზავრო ვაგონები, ელექტრომატარებლები, ლოკომოტივები) ექსპლუატაციას, მათ რემონტს და მგზავრთა მომსახურების სრულყოფის სამუშაოებს; სატარიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის სფეროში; განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანების სფეროს განვითარების ძირითად მიმართულებებს, მასში ახალი მიღწევების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა საკითხებს.

ფილიალს ხემლძღვანელობს შპს “საქართველოს რკინიგზის” მგზავრთა გადაყვანის დირექტორი, რომელიც არის დირექტორთა საბჭოს წევრი და ამავდროულად ფილიალის დირექტორიც. მისი უფლება-მოვალეობები

რეგულირდება ორგანიზაციის საქმიანობის მარეგლამენტირებელი დოკუმენტებითა და ფილიალის დებულებით. დირექტორს ჰყავს ოთხი მოადგილე. მოადგილე კომერციისა და სერვისის საკითხებში, მოადგილე ადმინისტრაციულ საკითხებში, მოადგილე ტექნიკურ საკითხებში, მოადგილე ფინანსურ საკითხებში. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორთა საბჭო. თითოეული მოადგილე წარმართავს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, რომლებსაც თავის მხრივ ქვემდებარებიან შედარებით წვრილი სტრუქტურული ქვედანაყოფები. მოადგილეები ანგარიშვალდებულები არიან დირექტორის წინაშე, ასრულებენ მის დავალებებს, წარუდგენენ წინადადებებს მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის, წახალისებისა და სასჯელის დადების შესახებ და ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორთან შეთანხმებით და შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება და ხელი მოაწერონ ბრძანებას. თავის მხრივ ფილიალ “მეზავრთა გადაყვანა”-ს სტრუქტურული ერთეულებში შემავალი ქვედანაყოფების ხელმძღვანელები წარმართავენ დაქვემდებარებული დანაყოფების საქმიანობას, ანაწილებენ ფუნქციებს თანამშრომელთა შორის, აგვარებენ ორგანიზაციულ საკითხებს, უზრუნველყოფენ მიღებული დავალებების შესრულებასა და მათი მუშაობის ეფექტურობას. ფილიალ “მეზავრთა გადაყვანა”-ს თითოეული თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობები, დანიშნულება, უფლებები და პასუხისმგებლობები გაწერილი და დარეგულირებულია საზოგადოების შიდა ნორმატიული დოკუმენტებით. მოადგილეების გარდა ფილიალის დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია დირექციის აპარატი, შემდეგი სტრუქტურული ერთეულებით: დირექტორის თანაშემწე, მონიტორინგის სექტორი, მოძრაობის უსაფრთხოების სექტორი, თანაშემწე ქონებრივ საკითხებში და პრეს-მდივანი.

ფილიალი როგორც სახელმწიფო მართვის ობიექტი

შპს “საქართველოს რკინიგზა” წარმოადგენს კომერციულ საწარმოს, შესაბამისად კომპანია ორიენტირებულია მოკმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის

შედგად ეკონომიკური მოგების მიღებაზე. საქართველოს რკინიგზის სამგზავრო გადაყვანები, სხვა ქვეყნების რკინიგზების სამგზავრო გადაყვანების მსგავსად (იშვიათი გამონაკლისების გარდა), მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფს დანახარჯების დაფარვასა და მოგების მიღებას. ეკონომიკურად არამომგებიანი საწარმოო პროცესები კი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისთვის მიუღებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შესაძლოა იფუნქციონიროს მსგავსი ტიპის საწარმოებმა, თუ მათი საქმიანობა ძირეულად არის დაკავშირებული საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციის შესრულებასთან. სწორედ ასეთი სპეციფიკით გამოირჩევა შპს “საქართველოს რკინიგზის” ფილიალი “მგზავრთა გადაყვანა”, რომლის მისია – სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრების სწრაფად, უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაყვანისა და ასევე, ბარგისა და ტვირთ-ბარგის ეფექტურად გადაზიდვის უზრუნველყოფაა (მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება).

სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისთვის დამახასიათებელი, ზემოთ აღნიშნული სპეციფიკის გამო დღის წესრიგში დგას არსებული სისტემის იმგვარად მოდერნიზება, რომ ზარალის ოდენობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. შესაბამისად ფილიალის **სტრატეგიულ მიზანს** წამოადგენს: ბიზნეს-ერთეულის ნულოვანი მოგების მიღწევა, სოციალური ფუნქციის შენარჩუნების პირობებში. ამის გარდა, ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს შემდეგი **მიზნები**:

- ტრანსპორტირებისას მგზავრების უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესება
- მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება
- მგზავრობის დროის შემცირება
- ფილიალის თანამშრომლების შრომის პირობების გაუმჯობესება.

მოცემული მიზნების შესასრულებლად, კომპანიას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

- მოძრავი შემადგენლობისა (სამგზავრო ვაგონები, ელექტრომატარებლები, ლოკომოტივები) და სხვა

- სამგზავრო ინფრასტრუქტურის შექმნება, რეაბილიტაცია და ოპტიმიზაცია;
- სალიანდაგო მეურნეონის რეაბილიტაცია, განახლება. “სწრაფი რკინიგზის” პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს რკინიგზაზე ჩქარი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას;
 - სამატარებლო განრიგისა და მარშრუტების ოპტიმიზაცია;
 - სატარიფო პოლიტიკის სრულყოფა;
 - საშტატო განრიგის ოპტიმიზაცია და თანამშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება (საშუალო ხელფასის გაზრდა, მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესული ფორმების შემოღება და სხვ.)
 - მგზავრთა მომსახურების სფეროში ახალი ტიპის სერვისების დანერგვა.

SWOT – ანალიზი

დასახული მიზნებისა მიღწევისათვის აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრხეები ეფექტური და ეფექტიანი მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად.

prices, productivity, partial or full loss of resources and variation of the state policy, incomes leading significant fluctuations on years. Besides agricultural innovative manufacture is subject to risk of acts of nature situations. Such natural dangers as a drought, a hailstones, a storm, flooding can lead to serious industrial losses.

Insurance operations are one of the major tools of protection of interests of subjects of managing, as well as innovative activity in agriculture from negative influence of the uncontrollable natural and other random factors leading essential economic losses. Consequently, insurance operations should be understood as the tool of management of risk.

In article are presented the analysis of the market of insurance services and possibilities of insurance of risk in innovative activity of agrarian sector of branch of plant growing, by creation special institutional environments in market conditions of managing. It speaks many-sided nature and complexity of economy of insurance and impossibility without damage to quality of a statement to capture insurance operations in all fields of activity of the person.

The agrarian sector is one of the most complexes for the analysis of branches where besides cleanly market factors on results factors of природно-биological property have economic-economic activities essential value.

Keywords: insurance operations, protection of subjects of the market, risks in an agriculture, sources of risk, regulation of risks, the market of insurance services, insurance premiums, insurance compensations, reduction of risks of innovative activity in plant growing.

Reviewer: Professor Georgi Bagaturia, Georgian Technical University

ს ა ზ ო ბ ა დ ო ე ბ ა

ნათია ასათიანი “შემოქმედი თეატრში” (მეფე ლირი მწველიძისეული სცენობრაფიით)

რეზიუმე

1987 წელს, რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლში - შექსპირის “მეფე ლირი” რ. სტურუამ და მ. შველიძემ გ. ყანჭელის ავისმომასწავლებელი, გოდებასავით მუსიკის ფონზე, თითქმის ჩაბნელებულ სცენაზე წარმოგვიდგინეს უზარმაზარი, მთლიანად გახსნილი სივრცე, რომლის მარჯვენა მოწითალო-მოვარდისფრო სინათლით ოდნავ განათებული, სისხლის ასოციაციის აღმძვრელი კედელი, თითქოს რუსთაველის თეატრის ლოკებისა და იარუსების გაგრძელებააო, ზუსტად იმეორებს მათ. მხოლოდ მისგან განსხვავებით სცენაზე აღმართული კლასიკური არქიტექტურა ოდესღაც მწყობრი კოლონებით, კაპიტელებით, ამფითეატრით და მოოქროვილი ჩუქურთმებით დამშვენებული, ამჟამად კი ბათქაშჩამოცვენილი, ორნამენტებ-ოქროს-ვარაყმოცლილი და სიღრმისკენ ჩამონგრეული დეკორაცია ხარაჩოებშია ჩასმული.

უდიდესი ფანტაზიითა და თეატრალური ნაზრევით ამეტყველებული და სიმბოლოებით გაჯერებული დეკორაცია თავიდანვე მიგვანიშნებს სცენაზე “ლირის თეატრის” მის (ლირის) მიერ შეგნებულად, კარგად გააზრებული სპექტაკლის გათამაშებას. სწორედ ასეთი მახვილგონივრული და ორიგინალურად გადაწყვეტილი დეკორაცია, დამატებით ნივთებთან და რეკვიზიტთან ერთად ზუსტად ასახავს და ესატყვისება (მიუხედავად ეპოქისა და ქვეყნის არაკონკრეტულობისა) სპექტაკლში მიმდინარე მოვლენებს.

ემოციური დამაბულობის მატარებელია ავანსცენასთან ახლოს “სამეფო ტახტად” აღქმული - სპექტაკლის მსვლელობისას სახრჩობელად გადაქცეული - ჭუჭყიანი სამშენებლო დაზგა-დანადგარი - ყვარყვარეს “ჯვარ-სახრჩობელა” ჩანაცვლებული სამეფო “ტახტ-სარხრჩობელათი” - მის ხის “საზურგეზე” - ხის უბრალო, უსწორმასწოროდ გამოჩორკნილ “ჭოკ-ბომზე” მაყურებლისაკენ ზურვით შემოსკუპული მულაჟის გრძელკუდიანი მაიმუნით და გორგოლაჭებზე ჩამოკიდებული

წყლის ვარცლით. ტახტის კენწეროში მოქცეულ მაიმუნთან ერთად, დეკორაციის მესამე იარუსზე სცენისკენ ძლიერ გადმოხრილი მჯდომარე მამაკაცის მულაჟის ფიგურა და მაყურებლისაკენ ზურგშექცეული, ერთნაირ უნიფორმებში ჩაცმული მსახიობების მწკრივი -დამატებით ატრიბუტად ქცეული ხალხის მასა – სპექტაკლის მიმდინარე მოვლენების უტყვი მოწმენი არიან. პირველი და მეორე სართულის დამაკავშირებელი სახელდახელოდ “შეკოწიწებულ” ხის უბრალო კიბეებთან ერთად, აქა-იქ უწესრიგოდ მიყრილი სამშენებლო მასალები თუ ინვენტარი, გატენილი ტომრები, ხარაჩოებთან ერთად მიმდინარე რემონტზე მიგვანიშნებენ. სცენის მარჯვნივ “გაშიშვლებული” სოფიტებისა და სხვადასხვა მიღებენილ კედელთან, სიღრმეში, თითქოსდა უსასრულობაში ან არსაით მიმავალ ღიანდაგზე რონოდასმაგვარი ორსართულიანი რკინის ცხაურისებრი კონსტრუქციაა.

მიუხედავად რეკვიზიტის სიმრავლისა, სცენა განტვირთულია მსახიობთა თავისუფალი მოქმედებისათვის-თამაშდება მეფე ღირის ცხოვრების ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდები.

დიდია სპექტაკლში კოსტუმის როლი. სცენოგრაფიის განუყოფელი კომპონენტი, მასთან პარმონიულად შეხამებული, თუ ფერადოვანი მახვილებით გაფორმებული კოსტუმი დეკორაციასთან, მუსიკასთან და განათებასთან ერთად განსაზღვრავს, როგორც პიესის შინაარსს, ასევე სპექტაკლის მიმდინარე მოვლენებს. თავისი მხრივ კოსტუმი, გრიმთან და ვარცხნილობასთან ერთად, პერსონაჟთა პლასტიკის, შინაგანი სამყაროს, საზოგადოებაში მათი როლისა და ადგილის, გემოვნებისა და ცხოვრების წესის აქტიური მახასიათებელია. მათი გადაწყვეტა იმდენად მეტყველი, ემოციური და ფსიქოლოგიური მუხტის მატარებელი და თუ შეიძლება ითქვას ინფორმაციულია, რომ მაყურებელი სპექტაკლის ამა თუ იმ ეპიზოდში, წინასწარ ხედება მოქმედ პირთა არამტოუ ხასიათს, არამედ თვითოეულის განზრახვასაც კი. ისინი რადიკალურად იცვლებიან პერსონაჟებთან ერთად.

სტურუასა და მ. შველიძის დეკორაციისამებრ არც კოსტუმები კონკრეტდებიან ეპოქისა და ქვეყნის შესატყვისობის ჩვენებით. ისინი შემოქმედთა თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგია, რომლებიც დეკორაციასთან,

მუსიკასთან, განათებასა და ფერადოვნებასთან ერთად უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენენ მაყურებელზე.

მათში ვლინდება, ფერწერულად მოაზროვნე მხატვარი-თეატრალი, რომლის გამომგონებლური ფანტაზიით შექმნილი სიმბოლური, ბაქტისებური კოსტუმები, ტირანიასთან ერთად, დედოფლების გარყვნილებისა და ავხორცობის მორევში გადაშვებას გვამცნობს.

დასასრულს როცა თავის დროზე ლირის მიერ ბოროტებით ჩაკეტილ სივრცესთან ერთად, ინგრევა და ნადგურდება, ერთმანეთის სიძულვილით, დაუნდობლობითა და გაუტანლობით აღსავსე ეს საზარელი ბუნაგი. თითქოს მიწისძვრაა და აპოკალიფსი იწყება, გრუსუნის ხმაზე, იარუსები მაყურებლისკენ იშლება ისე, რომ სახურავი ეხდება თეატრის მონუმენტურ ნაგებობას, ამფითეატრი სიღრმეში მიდის, ხოლო რონოდა თავზედამაგრებული – ყვავებით ჩამომსხდარი – სოფიტებით (ამ უპატრონო ქვეყანას ყვავები ეპატრონებიან) წინ მოიწევს. საშინელ ბოლსა და ბუღში გახვეულ სამყაროში, თითქოს სულს დაფავსო, ქანდარაზე გადმოეკიდება ჰაერში მოფართხაღე მულაჟის მამაკაცის ფიგურა- ლირის ცხოვრების “უამთააღმწრელი”. და ამ ქაოსურ, დანგრეულ გარემოში სცენის სიღრმიდან, გაქვავებული სახით, ნელა მოიწევს ლირი და ბაწრით მოათრევს მისთვის უძვირფასეს ტვირთსა და უკანასკნელ საზიდარს – კორდელიას ფეხშიშველა, უსულო სხეულს.

საკვანძო სიტყვები: მხატვრის როლი; სცენოგრაფია; რეკვიზიტი; დანადგარი; ფერადოვნება; გარდასახვა; სიმბოლოები; სინათლის და მუსიკის ეფექტები; კოსტუმი; უტყვი მოწმენი.

1987 წელს, რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლში - შექსპირის “მეფე ლირი” რ. სტურუამ და მ. შველიძემ გ. ყანჭელის ავისმომასწავლებელი, გოდებასავით მუსიკის ფონზე, თითქმის ჩაბნელებულ სცენაზე წარმოგვიდგინეს უზარმაზარი, მთლიანად გახსნილი სივრცე, რომლის მარჯვენა მოწითალო-მოვარდისფრო სინათლით ოდნავ განათებული, სისხლის ასოციაციის აღმძვრელი კედელი, თითქოს რუსთაველის თეატრის ლოჟებისა და იარუსების გაგრძელებააო, ზუსტად იმეორებს მათ. მხოლოდ მისგან განსხვავებით სცენაზე აღმართული

კლასიკური არქიტექტურა ოდესღაც მწყობრი კოლონებით, კაპიტელებით, ამფითეატრით და მოქროვილი ჩუქურთმებით დამშვენებული; ამჟამად კი ბათქაშამოცვენილი, ორნამენტებ-ოქროს-ვარაყმოდლილი და სიდრმისკენ ჩამონგრეული დეკორაცია ხარაჩოებშია ჩასმული.

ემოციური დაძაბულობის მატარებელია ავანსცენასთან ახლოს “სამეფო ტახტად” აღქმული - სპეკტაკლის მსვლელობისას სახრჩობელად გადაქცეული - ჭუჭყიანი სამშენებლო დაზგა-დანადგარი. ხის “საზურგეზე” -ასევე ხის უბრალო, უსწორმასწოროდ გამოჩარკნილ “ჭოკ-ბომზე” მაყურებლისაკენ ზურგით შემოსკუპული მულაჟის გრძელკუდიანი მაიმუნით და გორგოლაჭებზე ჩამოკიდებული წყლის ვარცლით.

იქვე, პირველსა და მეორე სართულს აკავშირებს სახელდახელოდ შეკოწიწებული ხის უბრალო კიბე-მოშორებით კი, შედარებით დიდი, სახელურებიანი ასევე ხის კიბე “საპარადო” შემოსასვლელის ფუნქციას ასრულებს, ეს უკანსაკნელი და აქა-იქ უწესრიგოდ მიყრილი სამშენებლო მასალები თუ ინვენტარი, გატენილი ტომრები, ხარაჩოებთან ერთად მიმდინარე რემონტზე მიგვანიშნებენ. სცენის მარჯვნივ “გაშიშვლებული” სოფიტებისა და სხვადასხვა მიღებნილ კედელთან, სიდრემში, თითქოსდა უსასრულობაში ან არსაით მიმაგალ ლიანდაგზე რონოდასმაგვარი ორსართულიანი რკინის ცხაურისებრი კონსტრუქციაა.

ამავე მხარეს, ავანსცენასთან ახლოს, კედლის მცირე ნაწილზე დაშვებული თეთრი ფარდა, იარუსებიდან დაცემული განათების შედეგად იგივე მოწითალო-მოვარდისფრო (გადარეცხილი სისხლის ასოციაციის აღმძვრელ) ელფერს იძენს. იქვე ხის უბრალო მორყეული მაგიდაა, რომლის თავდაპირველი მუქი რუხი შეფერილობა ჭუჭყიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მხოლოდ განათებისას ვხედავთ მის სითეთრეს. სცენის შუაში უცნაური ფორმის - თითქოს ერთმანეთზეაო გადაბმული - სკამია, ხოლო დეკორაციის მესამე იარუსზე სცენისკენ ძლიერ გადმოხრილი მჯდომარე მამაკაცის მულაჟის ფიგურაა. ტახტის კენწეროში მოქცეულ მაიმუნთან ერთად სპეკტაკლის მიმდინარე მოვლენების უტყვი მოწმენი არიან. იგივე დატვირთვის გამოხატველია მაგიდასთან ახლოს - სასეირნოდ გამოყვანილი პატიმრებივით ერთნაირ

უნიფორმებში ჩაცმული -კომპოზიციითა თუ ფერადოვნებით ვან გოგის მიერ 1890 წელს სულით დაავადებულთა საავადმყოფოში დაწერილი ფერწერული ტილოს “პატიმართა გასეირნებას” რომ მოგვაგონებს, მაყურებლისაკენ (მაიმუნებით) ზურგშექცეული მსახიობების მწკრივი-დამატებით ატრიბუტად ქცეული ხალხის მასა, სტურუას მრავალი სპექტაკლის თანამგზავრი.

ამ საშინელ, ქაოსით მოცულ, მტვრიან, ნანგრევებიან და მუსიკასავით ავისმომასწავებელი სიმბოლოებით დატვირთულ გარემოში (დეკორაცია უცვლელია მთელი სპექტაკლის მანძილზე), სადაც ლოკები და იარუსები კინომონგრეული ხომალდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო სცენა მისი ტრიუმისა თუ ბუნკერისას. ამ ღვთისგან მივიწყებულ სამყაროში-სადაც მიუხედავად რეკვიზიტის სიმრავლისა, სცენა განტვირთულია მსახიობთა თავისუფალი მოქმედებისათვის-თამაშდება მეფე ლირის ცხოვრების ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდები. თვითონ ტირანი და დესპოტი, თავად ხდება უფროსი ქალიშვილების, მასავით დაუნდობელი ნაშიერების მსხვერპლი.

ახევრადღანგრეული “თეატრი”, “სამეფო ტახტი”, სისხლისფერი მთელი გარემო და თავდაპირველად ძნელად აღსაქმელი (ძალიან უნდა დააკვირდე რომ დაინახო) მაიმუნი, სპექტაკლის დასაწყისიდანვე განაწყობს მაყურებელს “მაიმუნების” მიერ მოწყობილ, ყოვლად დაბალ, შეუბრალებელ უზნეობასთან და სასტიკ ტრაგედიასთან შესახვედრად. სწორედ ამის მკაფიო დასტურია სპექტაკლის დაწყება ფლიდი, ბილწი და ბოროტი ბუში ედმუნდით (ა. ხიდაშელი), რომლის მლიქვლენური, ჩუმი, ფრთხილი მოძრაობა, პირფერული გამოხედვა და “მოკრძალება” შეხედვისთანავე ნათელს ხდის მის მიერ სპექტაკლში ჩადენილ ბოროტებათა ლოგიკურ აუცილებლობას.

ასეთ დაუნდობელ, ერთფეროვან ნაცრისფერ “მასაში” მხოლოდ კორდელია, კენტი და ედგარი არიან ნათელი პიროვნებები, რომლებიც თავიანთი სიკეთისა და სიმართლის გამო ისჯებიან.

სრულიად შეუფერებელია არამარტო ამ დახვესებული გარემოს, დიდებულთათვის და რაც მთავარია მეფისათვის “სამეფო დარბაზში” სახელწიფოს სერიოზული საქმის გადაწყვეტისას, ლირის მიერ თუთიყუშიანი გალიის შემოტანა და მით უფრო, მისი მაგიდაზე, სახელმწიფო

დოკუმენტებსა და ზემოდსხენებულ სიგელებზე დადგმა. ვფიქრობთ, მეფის ეს წინასწარ გამიზნული ქმედება და მის მიერვე გვირგვინის – ვითარცა მობეზრებული და მოსაშორებელის – მაგიდაზე დაგდება, სიმბოლური მიმანიშნებელია ჯიუტი და თავნება ღირის, საკუთარი სურვილით, თუთიყუშივით იმ ჩაკეტილ გალიაში მომწვედევა, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან რთულია.

სიძეებისათვის თავ-თავიანთი წილის – ძაღლისთვის სახრავისდაგვარად – გადაგდების შემდეგ, კორდელია თამაშ-თამაშით გაუწოდებს მამას ბადეს თავისი წილის ჩასაგდებად. სწორედ კეპლების საჭერი ხდება კორდელიას და შემდეგ ღირის ბედისწერის სიმბოლური მატარებელი: პირველად, ღირი მოულოდნელად, უხეშად ართმევს ქალიშვილს ბადეს და ავტომატით მიმართავს მისკენ; შემდეგ ღირი საკუთარი ხელით თავზე ბადენამოფარებული პირდაღებული, თითქოს ძლივს სუნთქავსო, თავისი ნებით თანდათან ეხვევა სიცრუის, მზაკვრობის, მუხთლობისა და შეთქმულების ბადეში. შვილების სიგელებით წვალების შემდეგ ღირი ჭმუჭნის მათ და იმავე ბადეში მოისვრის გვირგვინივით – როგორც უვარგისსა და სასწრაფოდ გადასაგდებელს. სწორედ აქედან იწყება ღირის თავბრუსდამხვევი დაცემა.

მეფისა და დიდებულების გასკლის შემდეგ მეფედ აღზევებული უფროსი ქალიშვილების გასაოცრად მყისიერი სულიერი და გარეგნული გარდატეხა ხდება. სადღაა ის “მოკრძალება” და შიშით გაფითრებული სახეები. გააფთრებული დები ხარბად სწვდებიან გვირგვინს და პირველყოფლისა გვირგვინის, შემდეგ კი ედმუნდის ხელში ჩაგდებისათვის, მზად არიან ერთმანეთის დასაგლეჯად... მარამ მათი ურთიერთსიძულვილი და ქიშპობა მსლოდ დროებით ცხრება საერთო მიზნის, მამის წინააღმდეგ შეთქმულების გამო.

თუ თავდაპირველად მამასთან ერთად, კორდელიას მიერ შემოტანილი ბადე ღირის ხელში სარკასტული გართობისა და წვალება-დამცირების იარაღადაა ქცეული და მამისთვის სრულიად მოულოდნელად, კორდელიას უარყოფითი ქმედებიდან გამომდინარე ენიჭება კეპლების საჭერს ტრაგიკული დატვირთვა სპექტაკლში, რაც ლოგიკურად ესატყვისება მასში მიმდინარე მოვლენების განვითარებას. გლოსტერი კი, რომელსაც თავად შემოაქვს

ბადე, იოლად რწმუნდება რა ღალატში და ასევე იოლად და გულუბრყვილოდ ხვდება ედმუნდის მიერ ძმისა და მამისათვის დაგებულ საფანგში, რადგანაც ყველგან იგი ელანდება. სიმბოლური ხასიათისაა.

ღირიული მუსიკის თანხლებით, მსახურს ღიანდაგზე ნელ-ნელა შემოყავს სოფიტებიანი რონოდა, რომლის მეორე სართულზე მოწყობილ “სამხატვრო ატელიეში” (მაღალ მოლბერტზე დამაგრებულ ტილოსთან პალიტრით ხელში) ხატვის პროცესშია გონერია.

საკვირველია ასეთი სწრაფი ტრანსფორმაცია არამარტო, მოელვარე ფერებით აღვსილი გარემოსი (უკიდურესად კონსტრასტული და შესაბამისად შეუფერებელი), არამედ იმ ბოროტების, თავაშვებულობისა და გარყვნილებისა, რაც მაყურებლის თვალ წინ მოულოდნელად ხდება და რაც მომავალში მას უარესს უქადის.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ თვალში საცემი გარეგნული გარდაქმნითა და აღვირახსნილობით უფროს დას არ ჩამოუვარდება რეგინა. აღმოსავლურ-ევროპული სამოსში გამოწყობილი რეგინა, საზარელ უცხო ფრინველს რომ მოგვაგონებს, აშკარა პირფერობითა და მლიქვნელობით გაბოროტებულ ფურიად წარმოგვიდგება.

თუ სპექტაკლის დასაწყისიდანვე მაყურებელი მომზადებული იყო დრამატიზმით აღსავსე ამბავთან შესახვედრად, ასევე მეორე მოქმედებაში გაგრძელებულ და შემდეგ განვითარებულ წარმოუდგენელ სისატიკეს, ჯერ კიდევ მოქმედების დაწყებამდე მძაფრად შევიგრძნობთ პირველყოფლისა, ავანსცენასთან ახლოს მდგომი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი სამეფო ტახტად ქცეული, ეხლა უკვე ქსოვილგადაფარებული, სამშნებლო დაზგა-დანადგარის “საზურგეზე” ანუ “ტახტის” თავზე მოქცეული, ამჟამად მკაფიოდ აღსაქმელი და ღრმა ემოციური დატვირთვის მატარებელი მაიმუნით, რომელიც თითქოს დაპატრონებიან არა მარტო სახელმწიფოს ერთერთ ძლიერებას - “სამეფო ტახტს”, არამედ ისეთ მძლავრ და სასიცოცხლო ძალას, როგორც წყალია - მის (მაიმუნი) ფეხებთან გორგოლაჭებზე თოკზე დაკიდებული ვარცლის სახით. იგი, ერთი მხრივ, თუ ადამიანობადაკარგულ და ცხოველად ქცეულ მაიმუნთან გაიგივებული პერსონაჟების პროტოტიპად წარმოგვიდგება. იმავდროულად გამოხატავს ოდესღაც ძლევაშობილი, ახლა კი თავის ნება-სურვილით გვირგვინ და

პატივყრილი, დამცირებული და ნახევრად გონარეული, გამასხარავებული ღირის კიდევ უფრო დამძიმებულ და მის ამჟამინდელ “მცონარულ” მდგომარეობას. დანადგარის ქვეშ სამშენებლო ხელსაწყოებისათვის განკუთვნილი ხის ძველებური მადალსახელურიანი ყუთი და გვერდით ერთამენთზე დაწყობილი აგურები კი ადასტურებენ სარემონტო სამუშაოების დაუსრულებლობასა და მის სრულს შეწყვეტას (ამ სამეფოს რესტავრაცია წარმოუდგენელია, იგი უნდა დაინგრეს). ლიანდაგი, რომელიც პირველ მოქმედებაში სცენის მარცხენა მხარეს კედელთან სიღრმეში მიდიოდა, ეხლა იგი სიღრმიდან ცენტრისკენ მოემართება. ხოლო მასზე უწინდელი რონოდა-“ატელიეს” ნაცვლად დაფლეთილი ძონძებნამოფარებული და მიუსაფარი რონოდა “ქოხი” დგას. იგი სპეკტაკლში, ისევე როგორც დეკორაცია და სხვა ნებისმიერი ნივთი, საგანი თუ დანადგარი სიმბოლური მნიშვნელობისაა. თუ თავდაპირველად, მისი პირველი სართული განრისხებული მამისაგან თავდასაცავად გაქცეული კორდელიას თავშესაფარი “რკინის გალია” იყო, შემდეგ სურათში მისი მეორე სართული გადაიქცა აღზევებული გონერილას “მდიდული ფარდავით” მორთულ “სამხატვრო ატელიეთ”. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ განრისხებული ქალიშვილების მიერ გაძევებული ღირის თავშესაფარი - ისევე როგორც კორდელიასი - ხდება რონოდის ამჟამად უკვე ქოხად ქცეული სწორედ იგივე პირველი სართული. რონოდა-ქოხს, ამ მიმე ტვირთს, მდაბიო მსახურივით მოათრევს ღირი სიღრმიდან ავანსცენისკენ. ქოხს სიმბოლურობის გამომხატველობასთან ერთად მსგავსი ბედისწერის ადამიანთა თავდაპირველად კორდელიას, შემდეგ გაუსაძლისი აწმყოთი გაუბედურებული ღირის და მასში ღირივით თავშეფარებული, დახვეულ-დამძინილი, ნახევრად შიშველი და ველურ ტყის კაცად ქცეული ფეხშიშველი ტომის, ოდესღაც ედგარის საშინელი ყოფის გამაერთიანებელის ფუნქცია აკისრია.

ტრაგიკულ-ირონიული ელფერი დაჰკრავს ხის “ჯოხ-ცხენზე” ჯერ ტომის, შემდეგ კი გონებადაბინდული ღირის “ჯირითს”. ჯერ მასხარას მიერ ბაწრით ღირის ოთხზე ტარებას, შემდეგ პირიქით, ღირის მიერ კისერზე ყულფნამოცმული მასხარას თრევას. ახალგაღვიძებული და ისევ გონება დაბნელებული ღირის მასხარას ჭუჭყიან

ფეხსაცმელებთან (მის წარმოსახვაში გონეროილასთან და რიგანთან) სასამართლოს ინსცენირებას (სწორედ ჭუჭყიან, დახეულ-გაცეთილ ფეხსაცმელებთან ასოცირდება მისთვის საკუთარი ქალიშვილები). “პროცესის მსვლელობისას” კეთილი მასხარას მტრად აღქმა და იმ დანით, რომლითაც გულქვა რეგინას “გაკვეთას” ლამობდა, მისთვის კეთილის მსურველისა და ერთგულის - მასხარას მოკვდინებას. ამ უკანასკნელის “შეკვრეთით აღდგომა”, (შექსპირთან ხომ მასხარა ქრება), პაროდირებული ცეკვით, რეიტატივითა და მუხლებზე ჩოქვით, ისევე სწრაფად გადის სცენიდან, როგორც თავიდან შემოდის. მ პირობითი ხერხით ხაზგასმულია “თეატრში თეატრის, სპექტაკლ-წარმოდგენის” რაობა.

ვგონებ, ურიგო არ იქნება აქვე იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ დიდია სპექტაკლში კოსტუმის როლი. სცენოგრაფიის განუყოფელი კომპონენტი, მასთან პარმონიულად შეხამებული, თუ ფერადოვანი მახვილებით გაფორმებული კოსტუმი დეკორაციასთან, მუსიკასთან და განათებასთან ერთად განსაზღვრავს, როგორც პიესის შინაარსს, ასევე სპექტაკლის მიმდინარე მოვლენებს. თავისი მხრივ კოსტუმი, გრიმთან და ვარცხნილობასთან ერთად, პერსონაჟთა პლასტიკის, შინაგანი სამყაროს, საზოგადოებაში მათი როლისა და ადგილის, გემოვნებისა და ცხოვრების წესის აქტიური მახასიათებელია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისინი ამ სპექტაკლში (რადგან სტურუა-შველიძის თანაშემოქმედებაში როგორც დეკორაციის ასევე კოსტუმების ცვლა იშვიათი გამონაკლისია), მათი გადაწყვეტა იმდენად მეტყველი, ემოციური და ფსიქოლოგიური მუხტის მატარებელი და თუ შეიძლება ითქვას ინფორმაციულია, რომ მაყურებელი სპექტაკლის ამა თუ იმ ეპიზოდში, წინასწარ ხვდება მოქმედ პირთა არამცთუ ხასიათს, არამედ თვითოეულის განზრახვასაც კი. ისინი რადიკალურად იცვლებიან პერსონაჟებთან ერთად. სტურუასა და მისი მხატვრების, ამ შემთხვევაში შველიძის ნებისმიერ სპექტაკლში, მათი შემოქმედებითი ხელწერიდან გამომდინარე, დეკორაციის მსგავსად, არც კოსტუმები (ისინი კი მრავლადაა სპექტაკლში) კონკრეტდებიან ეპოქისა და ქვეყნის შესატყვისობის ჩვენებით. ისინი შემოქმედთა თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგია, რომლებიც დეკორაციასთან, მუსიკასთან,

განათებასა და ფერადოვნებასთან ერთად უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენენ მაყურებელზე. ასე, მაგალითად: თავდაპირველად ოდნავ მბუბტავ სცენაზე, ავისმომასწავებელი იდუმალებით კონტურებადჩენილი, ჩამონგრეული დეკორაცია და მასთან ერთად გ. ყანჭელის გოდებასავით მუსიკა კედელთან ლანდებივით ჩამწკრივებული სოციუმის ხალხი და ასევე ლანდებივით მთარული ჯერ ედმუნდი და შემდეგ გლოსტერი, ტრაგიზმით აღსავსე შეთქმულებით ტვირთავს სცენას, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს უკვე განათებულ, სისხლგადარეცხილ ნაცრისფერ, ცივ გარემოში, ღირის უფროსი ქალიშვილების გაფითრებული, უმეტყველო სახეები, შუბლზე გადატკეცილი და უკან შეკრული სადა ვარცხნილობით, კენტისა და კორდელიას გარდა, ღირის ჩათვლით ყველა პერსონაჟის დიდებულშეკრული, კონსერვატული და შემბოჭველი, ნაცრისფერი უნიფორმებივით კოსტუმები, რომლებიც თავიდანვე გვამცნობს დახავსებული, ძირმომპალი სამეფოს მკაცრ, შეზღუდულ ცხოვრებას და თითქოს “ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს” რეჟისორი და მხატვარი, საოცარი სისწრაფით გვიჩვენებენ, გადგეოფლების შემდეგ “მოკრძალებული, მოყვარული” და მოშიშარი ქალიშვილების მყისიერ მეტამორფოზას. მკვეთრი გრიმიტა და ავადმოელვარე თვალებით ხვდება მაყურებელი, რომ ისინი არა მარტო სამოსს იცვლიან, არამედ კარგად შენიღბულ, თავიანთ ნამდვილ სახეს, დაუნდობელ ტირანულ ბუნებას ავლენენ. განათების შედეგად აელვარებულ გარემოსა და ნათელ ფერადოვან, იმავდროულად პაროდირებულ - გროტესკულ (რეგინა, გლოსტერი, მასხარა) კოსტუმებში ვლინდება, ფერწერულად მოაზროვნე მხატვარი-თეატრალი, რომლის გამომგონებლური ფანტაზიით შექმნილი სიმბოლური, ბაქსტიანური (განსაკუთრებით რეგინას ბოლო კოსტუმი ბეწვის ქურქით) კოსტუმები, ტირანიასთან ერთად, დედოფლების გარყვნილობასა და ავხორცობის მორევში გადაშვებას გვამცნობს. სპექტაკლის მსველდობისას ბნელითმოსილ გარემოში, გამაფრთხილებელი შიშისმომგვრელი მუსიკისა და განათების მკვეთრი მახვილები უცნაურად და ფიგურული ფორმის სინათლით პერსონაჟთა წარმოჩენა, ჭეჭა-ჭუხილის გრუხუნის, უეცარი, წამიერი გამონათებები (განსაკუთრებით დეკორაციის

ჩამონგრეულ კედელთან) და ზემოთაღნიშნული სხვა მრავალი მსგავსი პასაჟი, საგანგაშოდ წინასწარმეტყველურად უღერს სპექტაკლში, რომელიც ფინალში ნგრევით სრულდება.

მამა-შვილის (ლირისა და კორდელიას) შეხვედრისას გონებაარეულ ლირს კენტის მიერ მოწოდებული თუთიყუშის გალია უბრუნებს გონს და მალევე იჭერენ ორთავეს. მხოლოდ თეთრი სამოსის ამარა დარჩენილ კორდელიას, ლირთან ერთად ბაწრით შებოჭილს საპყრობილეში აგდებენ. სიმბოლურად უღერს ლირის სიტყვები: “როგორც ჩიტი გალიაში ისე ვიცხოვრებთ და ვიგალობებთ”. უკვე გასაგები ხდება რას ნიშნავდა სპექტაკლის დასაწყისშივე ლირის, უმკაცრესი მეფის მიერ თუთიყუშიანი გალიის შემოტანა და იმ მაგიდაზე, სადაც სამეფოს სამად გაყოფილი სიგელები დევს, დაუღვერად დადგმა. სიღრმეში მდგომი რონოდის რკინის გალიისებური ცხაური პირველი სართულის შემცირებულ მოდელად წარმოგვიდგება. იგივე გალია მიაქვს კორდელიას მზითვად და ბოლოს მისი საშუალებით, ხდება ლირის გონების განათება და მამის მიერ შვილის ცნობა. ალია სიმბოლურად გამოხატავს მამა-შვილისათვის თავის დროზე ლირის მიერვე ბოროტებით ჩაკეტილ სივრცეს, რომელიც ამჟამად მათ გარს არტყიათ და ასეთი ცხოვრების თუთიყუშივით განმეორებადობას უსასრულოდ, ვიდრე სიკვდილამდე, და როდესაც ყანწელის გოდებასავით მუსიკის ფონზე (რითაც დაიწყო სპექტაკლი) ბოროტება მარცხდება, მათთან ერთად ინგრევა და ნადგურდება, ერთმანეთის სიძულვილით, დაუნდობლობითა და გაუტანლობით აღსავსე ეს საზარელი ბუნავი. თითქოს მიწისძვრაა და აპოკალიფსი იწყება, გრუხუნის ხმაზე, იარუსები მაყურებლისკენ იშლება ისე, თითქოს სახურავი ეხდება თეატრის მონუმენტურ ნაგებობას, ამფითეატრი სიღრმეში მიდის, ხოლო რონოდა თავზედამაგრებული – ყვავებით ჩამომსხდარი – სოფიტებით (ამ უპატრონო ქვეყანას ყვავები ეპატრონებიან) წინ მოიწევს. საშინელ ბოლსა და ბულში გახვეულ სამყაროში, თითქოს სულს დაფავსო, ქანდარაზე გადმოეკიდება ჰაერში მოფართხალე მულაჟის მამაკაცის ფიგურა- ლირის ცხოვრების “უამთაადმწრელი”. და ამ ქაოსურ, დანგრეულ გარემოში სცენის სიღრმიდან, გაქვავებული სახით, ნელა მოიწევს ლირი და ბაწრით მოათრევს მისთვის უძვირფასეს ტვირთსა

და უკანასკნელ საზიდარს – კორდელიას ფეხშიშველა, უსულო სხეულს.

როდესაც სრულიად მარტო დარჩენილ ლირს, გარდაცვლილი შვილი ჰყავს გულში ჩაკრული, კენტის მიერ თუთიყუშიანი გალის მოტანა, ერთი მხრივ, ამ საშინელი მიკროკოსმოსის უცილობელი დაღუპვის განმეორებაზე მეტყველებს, რადგანაც მისი არსებობა მაკროკოსმოსის გარდაუვალი დაღუპვის მომასწავებელია, მეორე მხრივ, კეთილი და სათნო კორდელიას საყვარელი ფრინველის გადარჩენა შეიძლება გაუბედურებული ლირისთვის შვების მომგვრელად, თითქოს იმედის ნაპერწკალად და “მიწასთან გასწორებული ჯოჯოხეთის” ადგილზე ახალი, ჯანსაღი სამყაროს გაჩენის მაუწყებლადაც გვევლინებოდეს.

Natia Asatiani

The painter at theatre (King Lear on M.Shvelidze's scenography)

Summary

In 1987, in the play “King Lear”, staged at the Rustaveli Theatre, R. Sturua and M. Shvelidze, on the background of ominous, mournful music of G. Kancheli, performed on the almost darkened stage the vast, completely open space, right wall of which was slightly lighted with pink-reddish lights, causing the association with the blood. It precisely repeated the shapes of the Rustaveli Theater boxes and circles, as if were its continuation; but unlike it, the classical architecture, erected on the stage, was formerly straight pillars, column heads, amphitheater and gilded decorations, and at present with sloughing plaster and faded gild of the backdrop in scaffolds in the depth of the stage.

With greatest fantasy and theatrical meaning, saturated with symbols backdrop from the first indicates on the stage of the “Lear Theater” conscious and meaningful play of Lear. Exactly this ingeniously and originally resolved backdrop, along with other things and props precisely reflects and corresponds to the events, taking place in the play (irrespectively of non-concreteness of the epoch and country).

A dirty building lathe, placed close to forestage, perceived as a royal throne and transforming into gallows during the play carries the emotional tenseness. Kvarkvare's “cross -gallows” is replaced by “throne-gallows” and its back is simple wooden, roughly cut log with moulage of a long-tailed monkey, sitting with its back to the audience and hung wheeled washing tub. There is a man moulage figure on the

third circle of the backdrop, strongly bent toward the stage, sitting with the monkey on the top of the throne, and the range of actors, dressed in uniforms, and the additional attribute of running crowd – are the silent witnesses of the events in the play. There is the roughly made wooden staircase, connecting the second and third floors, scattered around building materials and inventory, stuffed sacks and scaffolds, indicating to ongoing restorations, on the right of the stage, in depth of walls with exposed pipes and “nude” soffits, as if going into the infinity, or the railway, going to nowhere, there is two-storey van-like iron bar construction.

In spite of numerous props, the stage is unloaded for actors' free performance -the most tragic episodes of King Lear's life are played.

The role of costumes is great in the play; an integral part of scenography, harmonically combined with it, decorated with colorful accents, the costume, along with backdrop, music and lights, defines the contents of the play and events in it as well. The costume itself, with makeup and hairdo is active characteristic feature of personages' plastics, inner world, their role and position in society, taste and lifestyle. Their resolution is so impressive, emotional and psychologically charged and it may be said informative, that the audience in one of another episode of the play can foresee the character of personages and also their particular intentions. They are radically changing along with personages.

R. Sturua and M. Shvelidze's costumes do not show the concrete epoch or country. They are results or they free creative interpretation, which along with the backdrop, music, lights and colors greatly impress the audience.

An artistically thinking artist and theater enthusiast, whose inventor's fantasy created symbolic, Baxt like costumes reveal the tyranny and queens' lust, vortex of filth as well.

In the end, when created at some time the closed evil space and the terrible den of mutual hatred and untruthfulness, as if by the earthquake and apocalypses, with the thundering sound, the circle unfolds toward the audience, the roof of the monumental theatre building is thrown away, the amphitheatre spreads to the depth, and the van with fixed on its top crows and soffits (This abandoned country is mastered by the crows) moves forward through the terrible smoke and hot dust of the world; as if dying, the violently shaking figure of the man moulage is hung from the gallery, depicting the “chronicles” of Lear's life; and through this chaotic, collapsing environment, from the

depth of the stage Lear with the jaded frozen face slowly moves forward and drags with the rope his most precious load – Cordelia's barefooted, lifeless body.

Keywords: artist's role, scenography, props, lathe, colorfulness, transformation, symbols, light and musical effects, costume, silent witnesses.

Reviewer: Professor Samsom Lejava. Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ასათიანი ნათია ილინიშნა
Живописец в театре (Король Лир по сценографии М. Швелидзе)

Резюме

В 1987 году в спектакле "Король Лир", поставленном в театре Руставели, Р. Стуруа и М. Швелидзе на фоне зловещей музыки Г. Канчели, на почти затемненной сцене представили зрителю огромное полностью открытое пространство, где правая стена, чуть освещенная красновато-розоватым светом, словно повторяет и продолжает ложи и ярусы самого театра.

Оживленная величайшей фантазией и театральным чутьём, разбавленная символами декорация с самого начала указывает на его (Лира) осознанную, хорошо продуманную игру в спектакле "театра Лира". Именно такая остроумная и оригинально решенная декорация вместе с дополнительными предметами и реквизитами точно передает и соответствует происходящим в спектакле явлениям.

Эмоциональную напряженность вносит расположенная возле авансцены и воспринимаемая как "царский трон" грязная установка, меняющаяся по ходу действия на "трон-веселицу". Вместе с расположенной на вершине трона длиннохвостой обезьяной, фигура сидящего на третьем ярусе декорации и сильно наклоненного к сцене мужчины и шеренга актеров, стоящих спиной к зрителю и одетых в одинаковую униформу - людская масса, превращенная в дополнительный атрибут - являются дезмолвными свидетелями действия спектакля.

Связывающая первый у второй этажи сколоченная простая деревянная лестница и разбросанные в беспорядке строительные материалы и инвентарь, набитые мешки указывают на текущий ремонт. С правой стороны сцены, в глубине, на будто-бы уходящих

в бесконечность или в до никуда видна двухэтажная металлическая конструкция.

Несмотря на большое количество реквизита, сцена все же достаточно разгружена для свободного действия актеров - разыгрываются самые трагические эпизоды из жизни "Короля Лира".

Большая роль в спектакле отведена костюму. Являясь неотъемлемым и гармоничным компонентам сценографии, оформленный цветными острями костюм вместе с декорацией, музыкой и освещением в точности определяют содержание спектакля. Вместе с этим костюм, грим и прически активно характеризуют пластику, внутренний мир, роль и место в обществе, вкусы и жизненные правила персонажей. Их решение настолько красноречивое, эмоциональное и информативное, что зритель в том или ином эпизоде заранее угадывает не только характер, но и намерение каждого из действующих лиц.

Костюмы М. Швелидзе также как и декорации не конкретизируют эпоху и место действия. Эти костюмы являются плодом свободной интерпретации творца и вместе декорацией, музыкой и освещением и цветовым решением оказывают огромное воздействие на зрителя. В них проявляется живописно мыслящий художник-театрал, чьи символические костюмы, созданные с изобретательной фантазией, повествуют о тирании и королебах, ринущихся в поток плотских наслаждений.

К концу, когда разрушается и уничтожается это наполненное жестокостью и непримиримостью мерзкое логово, будто начинается землетрясение и апокалипсис, под раската грома будто срывается крыша монументального здания театра, амфитеатр уходит вглубь, а вагончик-ронода с софитами наверху усиженная боронами (этой безхозной страной завладевают вороны), направляется вперед.

В этой окутанной ужасным дымом, хаотической и разрушенной среде из глубины сцены, с каменным лицом, медленно движется Лир и тащит за веревку драгоценную и последнюю для него ношу - босое, бездыханное тело Корделии.

Ключевые слова: Роль художника; сценография; реквизит; цвет; перевоплощение; символы; световые и музыкальные эффекты; костюм; безмолвные свидетели.

Рецензент: Профессор Лежава Самсон Зурабович, Тбилисский государственный университет им. Ив.Джавахишвили

CONTENTS

THEORY

Roza Gaprindashvili

Good and evil and mechanisms of regulation of human relations -----4

Laura Kutubidze-Zubashvili, Vaja Zubashvili

Influence of media: Powerful or limited/selective? -----13

HISTORY

Giorgi Bagaturia, Tea Khakhutashvili

Public Administration System of Georgia during 1918-1921. Success and Crash-----27

Maia Lagvilava

The Aspects of the Relationship between Georgia and the European Union-----41

Lia Nebieridze

Structure of Governing of Feudal Royal-Supremacies (In VIII-IX c.c.) -----53

ECONOMICS

Anzor Abralava

Management of National Economy in the Era of Globalization-----65

Giorgi Bagaturia

Merab Tabatadze

Passenger transportation’s branch of Georgian Railway Ltd, as an object of public administration-----77

Tea Kbiltsetskhilashvili

The Importance of Foreign Direct Investments on Economic Development of Georgia-----91

Karlo Ghurtskaia, Tatia Ghurtskaia,
Management - Science, Practice, Art-----106

Faina Shulenbaeva, Asel Shulenbaeva,
Insurance of risk in innovative activity of agriculture of Republic
Kazakhstan-----117

SOCIETY

Natia Asatiani
The painter at theatre (King Lear on M.Shvelidze's scenography)----130

СОДЕРЖАНИЕ

ТЕОРИЯ

Гаприндашвили Роза Григориевна

Доброе и злое начало и механизмы регулирования человеческих отношений -----4

Кутубидзе-Зубашвили Лаура Полиевна,

Зубашвили Важа Романович

Влияние медиа: всеобъемлющее или ограниченное/селективное?-13

ИСТОРИЯ

Багатурия Георгий Шотаевич, Хахуташвили Теа Гивиевна

Система государственного управления Грузии в 1918-1921 гг.
Успехи и крах.-----27

Лагвилава Майя Амирановна

Аспекты взаимоотношений Евросоюза и Грузии-----41

Небиеридзе Лия Геннадиевна

Структура управления феодальных поместий (VIII-IX в.в.)-----53

ЭКОНОМИКА

Абралава Анзор

Управление национальным хозяйством в Эру Глобализации-----65

Багатурия Георгий Шотаевич , Табатадзе Мераб Тенгизович

Филиал «Пассажирские перевозки» Грузинской железной дороги как объект государственного управления-----77

Кбилцецхлашвили Теа Георгиевна

Значение прямых иностранных инвестиций для экономического развития Грузии-----91

Гурцкаиа Карло Ипполитович, Гурцкаиа Татиа Карловна,
Управление - наука, практика, искусство-----106

Шуленбаева Фаина Ахмедовна, Шуленбаева Асель Саяновна
Решение проблем риска в сельском хозяйстве Республики
Казахстан-----117

ОБЩЕСТВО

Асатиани Натиа Илинишна
Живописец в театре (Король Лир по сценографии М. Швелидзе)
-----130

აგტორები

ანზორ აბრალავა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ნათია ასათიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი ბაღათურია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
როზა გაფრინდაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ვაჟა ზუბაშვილი	რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი
თეა კბილცეცხლაშვილი	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი	იკოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
მანია ლავგილავა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი
ლია ნებიერიძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
მერაბ ტაბატაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
კარლო ღურწკაია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
თათია ღურწკაია	პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტი
ვანაა შულეშბაევა	დოცენტი, ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ასტანა, ყაზახეთის რესპუბლიკა
ასელ შულეშბაევა	მაგისტრი, დოქტორანტი
თეა ხახუტაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

Authors

Anzor Abzalava	Professor, Georgian Technical University
Natia Asatiani	Professor, Georgian Technical University
Giorgi Bagaturia	Professor, Georgian Technical University
Roza Gaprindzshvili	Professor, Georgian Technical University
Karlo Ghurtskaia	Professor, Georgian Technical University
Tatia Ghurtskaia	Quality Assurance Department Specialist, Caucasus University
Tea Kbiltsetskhlashvili	Professor of International Black Sea University
Laura Kutubidze-Zubashvili	Professor, Jacob Gogebashvili Telavi State University
Tea Khakhutashvili	Graduate student, Georgian Technical University
Maia Lagvilava	Graduate student, Georgian Technical University
Liana Nebieridze	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Faina Shulenbaeva	Professor, Kazakhstan University of Economics, Finances and international Trade, Astana, Republic of Kazakhstan
Asel Shulenbaeva	MBA, Doctoral Candidate
Merab Tabatadze	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Vaja Zubashvili	Professor, Shota Rustaveli Theatre and Film State University

Авторы

Абралава Анзор Григориевич	Профессор Грузинского технического университета
Асатиани Натиа Илинишна	Профессор Грузинского технического университета
Багатуриа Георгий Шотаевич	Профессор Грузинского технического университета
Гаприндашвили Роза Григориевна	Профессор Грузинского технического университета
Гурцкаиа Карло Ипполитович	Профессор Грузинского технического университета
Гурцкаиа Татиа Карловна	Специалист Департамента обеспечения качества, Кавказского университета
Кбилцецхлашвили Теа Георгиевна	Профессор Международного Черноморского университета
Кутубидзе-Зубашвили Лаура Полиоевна	Профессор Телавского государственного университета им. И. Гогебашвили
Зубашвили Важа Романович	Профессор Тбилисского государственного университета театра и кино им. Шота Руставели
Лагвилава Майя Амирановна	Магистрант Грузинского технического университета
Небиеридзе Лия Геннадиевна	Докторант Грузинского технического университета
Табатадзе Мераб Тенгизович	Докторант Грузинского технического университета
Шуленбаева Асель Саяновна	Магистр МВА, докторант
Шуленбаева Фаина Ахмедовна	Доцент кафедры менеджмента и маркетинга Казахского университета экономики, финансов и международной торговли, г.Астана, Республика Казахстан
Хахуташвили Теа Гивиевна	Магистрант Грузинского технического университета

- ჟურნალის რედკოლეგია**
- რუდიგერ ანდრესენი** - ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი
ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი
- ნანა ავალიანი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო
დავალებათა ელჩი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი
- მეუფე აბრამი
(გარმელია)** დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი
- ეგგენი ბარათაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
- გიორგი ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- ოთარ ბალათურია** - პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
- ვახტანგ გურული** - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
- შოთა დოდონაძე** - მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო
მართვის მიმართულების ხელმძღვანელი
- პარალდ ვერტცი** - სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის
პროფესორი ინფორმატიკის დარგში.
- გენადი იაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- სერგო ლომინაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- როინ მეტრეველი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
- ქეთი ქოქრაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- ოთარ ქოჩორაძე** - მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- რუსუდან ქუთათელაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, ჰუმანიტარულ-სოციალური
ფაკულტეტის დეკანი
- მაია ჩხეიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, უცხო ენებისა და კომუნიკაციების
დეპარტამენტის ხელმძღვანელი
- ია ხუბაშვილი** - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

EDITORIAL BOARD

RUDIGER ANDRESEN

– Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University
– Ambassador at large MFA of Georgia, PhD of History
– Metropolitan of Western Europe

NANA AVALIANI

His Eminence **ABRAHAM (GARMELIA)**

EVGENI BARATASHVILI

– Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Management
– Professor of Georgian Technical University

GIORGI BAGATURIA

OTAR BAGATURIA

– Responsible Editor, Doctoral Candidate of Georgian Technical University

MAIA CHKHEIDZE

- Professor of Georgian Technical University, Head of the Department of Foreign Languages and Communication

SHOTA DOGONADZE

- Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Administration Department

VAKHTANG GURULI

- Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

GENADI IASHVILI

- Professor of Georgian Technical University

IA KHUBASHVILI

- Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

KETI KOKRASHVILI

- Professor of Georgian Technical University, Head of the Administration

OTAR KOCHORADZE

- Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University

RUSUDAN KUTATELADZE

- Professor of Georgian Technical University, Dean of Humanitarian-Social faculty

SERGO LOMINADZE

- Professor of Georgian Technical University

ROIN METREVELI

- Academy of Science of Georgia, Academician

HARALD WERTZ

- Professor of Informatics of Sorbona University "Pari-8"

РЕДКОЛЛЕГИЯ

НАНА АВАЛИАНИ

**Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)
РУДИГЕР АНДРЕСЕН**

ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ

ОТАР БАГАТУРИЯ

ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ

ХАРАЛЬД ВЕРТЦ

ВАХТАНГ ГУРУЛИ

ШОТА ДОГОНАДZE

КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ

ОТАР КОЧОРАDZE

РУСУДАН КУТАТЕЛАDZE

СЕРГО ЛОМИНАDZE

**РОИН МЕТРЕВЕЛИ
МАЙА ЧХЕИDZE**

ИЯ ХУБАШВИЛИ

ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ

- Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук
- Митрополит Западной Европы
- профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета
- профессор Грузинского технического университета
- ответственный секретарь, докторант Грузинского технического университета
- профессор Грузинского технического университета, руководитель департамента экономики и управления бизнесом
- профессор информатики Сорбонского университета «Пари-8»
- профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
- главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления
- профессор Грузинского технического университета, глава администрации университета
- заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета
- профессор Грузинского технического университета, декан гуманитарно-социального факультета
- профессор Грузинского технического университета
- академик АН Грузии
- профессор Грузинского технического университета, руководитель департамента иностранных языков и коммуникации
- профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
- профессор Грузинского технического университета